

659  
1973/2



## ඩොශනාවලුව

# ක්‍රිස්ත්‍රිය

හාඳාක්තිකය — තමෝතිය —	
ඡපන්වෙල්ස යෝගිලුව ලේඛිත	3
ඇට්ටාල පාතාධාරී — තාංක්‍රාක්තිකය	
ලේඛිත	4
කුරාඡ ගැන්දිලාපී — ලේඛිත	5
අලෝක්සාන්දර සාමූහිකය — පූජා	
විශ්වාස මත මෙත්කරණ දා	
සාරුලි	8
වෛතික තාංක්‍රාක්තිකය — තිබූ තා	
සාම්බුලු ලේඛිත	43
පෙළෙනා පාතාධාරී — ලේඛිත	44
උග්‍රාන්ත පාතාධාරී — ලේඛිත	45
මෙදාර ගැන්දාපී — එදාමිතානු	
මෙත්කරණ	46
වෘත්ත පාතාධාරී — ලේඛිත	66
ඡමතා පාතාධාරී — ලේඛිත	69
<b>80 ඩුල්යාක්තික ඕනෑම අංශයෙහි 80</b>	
ජාතිය ජාතිය — ඉංග්‍රීස දා	
පොටිත	70

## වෛතික ඕනෑම අංශයෙහි

6. මෙදාභාෂ්‍ය ඕනෑම — ප්‍රාග්‍රාමීය ලේ	
භාෂා මානව අංශයෙහි	84

## ඩොශනුව තාක්ෂණ

8. පාත්‍රිය — සාර්ථකාරීය නොමැති	
ජාතියෙහි සාම්ප්‍රදායික පාර්ශ්වීය අංශයෙහි	
පිළිබඳ තාක්ෂණ අංශයෙහි	90

ලිංගභාරාත්‍රි රුවල-ජයත්තිරුවල දා  
 සාම්බුලු පාතාධාරී පාතාධාරී පාතාධාරී  
 ජ්‍යෙෂ්ඨයි

සාක්ෂිතයෙහි සාක්ෂිතය  
 මුද්‍රාලේඛන පාතාධාරී දා  
 ප්‍රාග්‍රාමීය පාතාධාරී පාතාධාරී

මුද්‍රාලේඛන

ඡාත්‍රාම තාක්ෂණ — 1973

වෛතික ඕනෑම අංශයෙහි

1. ප්‍රාග්‍රාමීය අංශයෙහි නොමැති  
 ජාතියෙහි සාම්ප්‍රදායික පාතාධාරී  
 පාතාධාරී පාතාධාරී

### რედაქტორი ა. შონია

სარედაქციო კოლეგია: ხ. ახვლედიანი, მ. გარშანიძე (პ. მგ.  
მდივანი), პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენელსის ქ. № 21.  
ტელეფონი — 33-71.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22. 10.73, საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბახი.  
შეკვეთის № 5269, ემ 00119, ქალალდის ზომა 60×90, ტირაჟი 2.040.

\* \* \*

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო  
კომიტეტის მთავარპოლიგრაფრენტვის ბათუმის სტამბა № 9  
(ლუქსემბურგის, 20).

# 30 გენუკტილი 30

პოეზია — უპირველეს ყოვლისა

სული გვერდეს უსამართეს თოვლისა!  
მეგობრებო, სიცილიამძის მიწება  
მხოლოდ ერთი ციხარულის ჟირება:  
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

თავდაჭვებულ გრძოლებისთვის ნახვა!  
გზად დალლილი არვის არ ვუნაბდარ,  
მარად მათება უშემ სვეტიცხოვლისა:  
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

სიცილივით მარადია სურვილი  
მთელი ქვეყნის ციხესიმაგით მოვლია,  
ყველაფრიში უშემით შემოგურვილი:  
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

თუ სამუგლო მაიც არ მომივარება,  
ეს მოგვდები — როგორც პოეტს უკავშირის,  
ციხესიმაგი ხალის და გრძოლია:  
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

## Ց Ա Լ Ը Տ Ք Ո Ռ Ե Ո

ուս մոլովա...  
սագ մոլովա?!  
Սյուլո ծոլազօն, հոշորչ զշլյան.  
Ծլեցիս ցածաղմա ոեցեցօնօն  
դա ամոնեցօն սոյալու թոյարատ.

Ցուրցից ըկունա Շորո ցոյմիատո,  
դա սայահուզելո եղամի ըկացա.  
Տալքս Ծոն մոշյոնդա մուսո և սուրատո,  
տցալեցից պրեմլո զեր մեյացա.

Մազնաձանց վարո աթուլոն,  
Ծոյց Մեամբոտա ցրոտ Մեծերցոտ,  
ցարոնցեցուլո ուզո մտաթմոնդա —  
ցոլուսաւեցիս սոնտվա ծեծերո.

## ვ06 დარჩა შენი ჭვის თანაბარი

იგრძენი განა? თეთრ აკლდამაში,  
ქლიავისფერი მოების ბინდები.  
შენი გასრულდა ბედთან თამაში,  
სივრცეში რომელს შეუშინდები?..

მზით შეედერილი უღალი ფაფარი  
ქარში ბრიალებს ცისფერ ლანდივით,  
ვინ დარჩა შენი წვის თანაბარი,  
იგი მეღინი თუ პალადინი?

წავიდა ერთი,  
წავიდა ორი,  
ვაიმე! — როგორ მიღის მესამე,  
მარადის კენტი და მატადორი  
სიკვდილი ყველას ანათესავებს.

## დავხურო ჭიბნი

დავხურე წიგნი...  
წიგნი სივრცის ერთი ფურცელი.  
მიმოვიხედე, რა თრობაა, რა სიმშვიდეა,  
შშვენიერებას შეწირული მღერის დიდება  
და ტირის ბავშვი, კვნესის ბავშვი, ბავშვი  
გულწრფელი.



დავხურე წიგნი...

წიგნი, ზეცის ერთი ფურცელი,  
ნისლის ყვავილი, ელვის ლერწი, კენჭი ქუხალის, გამდლობის  
კაცური ცოლვა, შენდობა და წყნარი წუხილი,  
რაღან გენის გალვიძებას ვერ გავუძელი.

დავხურე წიგნი...

წიგნი, მწის ერთი ფურცელი,  
ძველი ჭიშკარი, ლურჯი სხვენი, მწვანე მიღამო,  
ცვრიანი მოლი, საჭიდაო და საჭილდაო,  
რაღან გენის გალვიძებას ვერ გავუძელი.

დავხურე წიგნი...

წიგნი, წუთის ერთი ფურცელი,  
დავა ჩრდილებთან, ბილიკებთან, დავა დაფუნებთან,  
შეხლა-შემოხლა, გაწბილება, ეჭვი, დაბნევა,  
რაღან გენის გალვიძებას ვერ გავუძელი.

ფრიალებს ქარში ფაფარივით თეთრი ფურცელი,  
აავსო მთვარით ის თასები შენმა ივლისმა,  
რა გული გქონდა, რა ბალანი, ანდა აილისმა,  
შენ! — ვინც გენის გალვიძებას რომ გაუძელი.

## გ ო დ ე რ ძ ი

თეთრი ეჟვანები გზისპირ,  
ჩიტიყურა თუ ძილა,  
შენი სევდაა ნისლი  
და სიმღერაა წვიმა.

ჩემო ძმაო თუ მთაო,  
დაო, მოკლულო ასგზის,  
მე იმ სქელ წვენთან ვდაობ  
შენ რომ კისერში ჩაგდის.

მე იმ ცის ნამთან ვდავობ,  
შენს ქოჩორზე რომ ბრწყინავს,  
ჩემო ძმაო თუ მთაო,  
ჩემო სისხლო და ბინავ.

ქარებს ტყეების კართან  
ველის ხმაური მოაქვს,  
მე მემღერება მართლა  
თუ სიმღერების დროა.

მე მემლერება მართლა,  
თუ შენს მოკუმულ პაგეს.  
მოწყდა სიტყვები ნათლის,  
გუშინ მახვილს რომ აგეს.

ჩემო ძმაო თუ მთაო,  
შენი პერანგის სისხლი,

შორით გაჰყურებს ტაოს  
და რა ახლოა ნისლი!



თეთრი ეჟვნები გზისპირ,  
ჩიტიყურა თუ ძილა,  
სევდა რად არის ნისლი  
და სიმღერები — წვიმა!

აღექსანდრე სამსონია

# ჰ რ მ გ ი ნ ი ს მ ი ნ ი ს

თბილისიდან ერთი კაცი ჩამოვიდა

გერასიმე ბურძგლასთვის რომ გექითხათ, ზაფხულობით ქობლიანს ხალხი რატომ ეტანებათ, სიცილით მოკვდებოდა, ჭკუა არა აქვთ და იმი-ტომო... მაინც რა ნახეს ასეთი გადასარევი! დიდებული ზღვააო, ისაა და ესააო... კაი ახლა, მამა ნუ მოგიყვდებათ... მე რა მენალება, მარა მო-დაა მაგი და მეტი არაფერი! ერთმა თუ დააპირა წამოსვლა, სხვები იტ-ყვიან, ჩვენ რა წითელი კვერცხი ვართო და შეასკდებიან, ერთმანეთს... ქობლიანის ჰაერი გულს უხდებაო, დავიჭრო ვითომ? ორმოცდათი წე-ლიწადია ამ ჰაერს ვყლაპავ და სასიკეთო არაფერი შემოტყვია, თუმცა გოდერძი ლობეანიძესთანა მეზობლის ხელში ცოცხალი რომ ვარ, ისიც გასაკვირია!

უმალესში გამოცდების მოახლოებასთან დაკავშირებით, გერასიმეს რისხვა გოდერძის მიმართ სულ უფრო ძლიერდებოდა, მაგისთანა ღვთის გლახა მასწავლებლად რატომ გამოგვიგზავნესო, ბავშვების აღმზრდელას მაგას არაფერი ცხიაო. ტყუილად ფიქრობს, ორიანების დაწერით ჭვეყანას ავაშენებო. კარგი, ბატონო, ვთქვათ, ბავშვი გენიოსი არაა, „ვეფხისტყაო-სანი“ არ დაუწერია ჯერ, მაგრამ შვილის მაგიერ მშობელს ჩააბარებინე საგანი. დაშავდება რამე ამით, საქართველოს დედაენა დაეკარგება? კაცი თუ საშუალებას მოგცემს, მოიხმარე, რაც მოსახმარია, გაგონებაც კი არ უნდა, ვითომ მიწაზე ჩამოსული ანგელოზი მყავდეს!

ამ სიტყვებს, ცხადია, გერასიმე ბურძგლა წმაღაბლა ამბობდა, ხმამა-ლლა კი თავის შვილს ლაზარეს აგინებდა, ამისთანა უნიჭო ღმერთმა რა-

\* დასასრული. იხ. „ჭოროხი“ № 4.

ტომ გაგაჩინაო, მერე მეზობლის გასაგონადაც მიაყოლებდა წყევლას, ჩე-  
მი ცოდვა შენი რუსულის მასწავლებლის კისერზე იყოსო. ზორა მეს  
დიდი გული იმიტომ ჰქონდა, რომ ოთხი იმ ხანებში სოფელში რკინი-  
სული, ხოლო გოდერძი მის სიტყვებს ყურადღებას არ აქცირდა უკიდურე-  
ს მეს ეს ამბავი კიდევ უფრო აბრაზებდა, მაგრამ ყველაზე დიდი საფიქრე-  
ბელი მაინც შვილის უმაღლესში მოწყობა ჰქონდა. ლაზარე გათენებისთა-  
ნავე ლოგინილან წამოაგდო, წიგნს მოკიდე ხელი, გამოცდებისათვის მო-  
ემზადეო.

ლაზარემ წიგნის მაგივრად გიტარას მოპყიდა ხელი და წინა ღამით  
ტელევიზორში მოსმენილი სიმღერა გაიხსენა.

გაირდვა ღრუბელი და მოვარემ გოლიათს  
სხივები მოსტაუა, ქუჩებში დაყარა...

— რომელ გოლიათზეა აქ ლაპარაკი, — გაკვირვებულმა ლაზარემ  
მხრები აიჩეჩა, — იქნებ შენ იცი, მამაჩემო?

— მაგი გიტარა მომაშორე, თორემ გადავირევი! — იყვირა გერა-  
სიმებ.

ლაზარე ისევ ამღერდა.

მივდივარ მივყვები და ასე მგონია,  
ისევ ის ბიჭი ვარ, ხუჭუჭა, პატარა.

— გიტარა-მეთქი, თორემ დავამტვრევ ამ წუთში!

— ცოდვაა, მამაჩემო, ნიკოლოზისდროინდელია, უშენოდაც ბევრი  
გაჭირვება გადაუტანია.

გერასიმემ ხელები მაღლა აღაპირო.

— ღმერთო და მამაზეციერო, რა შეგცოდე, მითხარი!

— ახლა გაგახსენდა ღმერთი, ხომ? — არ მოეშვა ლაზარე.

— ბიჭო, სერიოზულად გეკითხები, უმაღლესში სწავლა არ გინდა?

— მაინცდამაინც გულზე არ მეხატება!

გერასიმე ფანჯარას ეცა.

— რა გაყვირებს, შე მუტრუკო, ხალხი გაიგონებს და თავი მოგვეპ-  
რება!

მუტრუკის მსგავს სიტყვებზე წინათ ლაზარე დიდ პროტესტს არ აც-  
ხადებდა, მაგრამ ახლა ვეღარ მოითმინა, მან კარგად იცოდა, რომ „ხალ-  
ხში“ გოდერძი იგულისხმებოდა და ამიტომ კიდევ უფრო აუშია ხმას.

— გოდერძი მასწავლებელო, გარეთ გამოიხედეთ! თქვენც გაიგონეთ  
მეზობლებო, უმაღლესში მოწყობა არ მინდა!

გერასიმემ ჯერ ის იფიქრა, სანადირო თოფი რომ მქონდეს ონისესა-  
ვით შემომავდებოდათ, მერე საკუთარი თავი შეეცოდვა, ნერვებს რატომ  
ვიშლი, მაგისთვის ყველაფერი ახიაო. ამიტომ რაც შეიძლება წყნარად  
ჰქითხა.

- უმაღლესი არ გინდა, ხომ, ბაბა?
- არ მინდა! — მტკიცებ დაუდასტურა ლაზარემ.
- გერასიმებ ისევ იფეთქა.
- აბა რა გინდა, შე წამხდარო, ქარხანაში სლესარობა გინდა?
- რაღა მაინცდამაინც ეს შემომთავაზე?
- ინჯინერობას ღიპლობი უხდა, საყვაოელო შეილო, დირექტორობისათვის არც მაგი კმარა.

ლაზარემ უცებ ნახა გამოსავალი.

- ჭარში წავალ და დაგასვენებ ორ წელიწადს.
- მაგი კი მოგიწონე, რუსულს მაინც ისწავლი! სკოლაში გოდერძი ლობეანისემ გამარჯობაც ვერ გასწავლა რუსულად.
- არაფერი შეგეშალოს, ჩემი საყოფი რუსული კი ვიცი მე! „ზდრავსტვიტე მილაია დევუშა, პილიომტე სეგოდნია გულიატ“.
- ბრავო, ბრავო! — ტაში შემოკრა გერასიმემ.

კამათის გამწვავებას ლაზარემ თავი მოარიდა, ახალი პერანგი ჩაიცვა და მამას დაუბარა, ცისანა მახათაძესთან სამეცადინოდ მივდივარო.

როგორც ადრე მოვახსენეთ, ცისანა მახათაძე ლაზარეს თანაკლასელი იყო, ნიჭთან ერთად არც თუ ისე ურიგო შეხედულება ჰქონდა, მაგრამ გერასიმეს მისი სახელის გაგონებაც არ უნდოდა, უფრო სწორად დედა-მისი, უუჟუნა მახათაძე ეჭავრებოდა, რაფგან გაუთავებელი ლაპარაკი იცოდა და მასთან შეხვედრას ყველა ერიდებოდა.

უფროსების გასაგონად ვაძბობ ამასო, საჯაროდ აცხადებდა უუჟუნა, თუ უმაღლესში ბალანას დამიჩაგრავენ, თბილისს ავაფეთქებო.

ვინმე რომ შეხვეწებოდა, მეტონ მაინც დატოვეო, უუჟუნა არ დაუთმობდა, ყველაფერს გადავბუგავო. გერასიმეს მისამართით კი ხმამაღლა ამბობდა, მაგას რა ენაღვლება, ბიჭის წონა ფული აქვს და საქმეს მოაქახრაჟებსო, არც პირში თქმას ერიდებოდა, მოხერხებული კაცი ხირ, ჩემო გერასიმე, უმაღლესში შეიღს კი არა, თუ დაგჭირდა, მთელ ბატიალიონს მოაწყობო.

- გულს მიკეთებ, ხომ? — ცალი ყბით გაიცინებდა გერასიმე.
- არ იყო ჩვენს დროს აგი უმაღლესობიე, — გააბამდა უუჟუნა, — თბილისი კაცს თვალითაც არ ჰქონდა ნანახი, მაგრამ ფარცაკი არ დამართია.

— მერე რაღას იქლავ, ქალო თავს?

— მთელი ქვეყანა რომ იქლავს, ჩემი ბავშვი უსწავლელი რატონ დარჩეს?

— გოგოს რა უნდა მეტი, ადექი და გაათხოვე, — ისე დაარიგებდა გერასიმე, თითქოს არ იცოდა, მის შეიღს რომ ცისანა მოსწონდა.

უუჟუნა რაის უუჟუნა იყო, გერასიმესთვის სიტყვა შეერჩინა.

— გათხოვით კი გავათხოვ, მაგრამ სიძის მშობლებმა დიპლომი და  
მანახველი, რომ მითხრან?

— მარტო დიპლომი არ კმარა, მანქანაც უნდა მიაყოლო, — უკანასკნელი  
და გერასიმე.

უკუუნას პასუხი მზად ჰქონდა, მაგრამ ლაპარაქს სანატორიუმის ეზო-  
ში ჩამოკიდებული რადიო დაასწრებდა, „ჩამოსული დამსვენებლები ოე-  
გისტრაციაში უნდა გატარდნენ საყურორტო განყოფილებაში, რომელიც  
მდებარეობს ანთიმოზ ჭირაქაძის სამწვადის პირდაპირო“.

ომისტინანდელი უზარმაზარი რეპროდუქტორი იყო. ბებერი ძალი-  
ვით ყველა შეეჩვია და გამოცვლაზე არავინ ფიქრობდა. რეპროდუქტო-  
რიც შეძლებისდაგვარად ემსახურებოდა ქობლიანელებს, მართალია,  
ნიც ფეხბურთის დროს ავაღმყოფივით ლაპარაქი უჭირდა, მაგრამ მზან ამი-  
ნდში მომჯობინდებოდა და ხმას დაიბოხებდა.

სანამ რადიო ლაპარაქობდა, გერასიმე დროს იშვიიდა და სახლში  
შევიდოდა, უკუუნას კი რა გზა ჰქონდა, სხვა უბანში უნდა წასულიყო.

ამასობაში რეპროდუქტორში მეორე ცნობას წაიკითხავდნენ: „ჩა-  
მოსული დამსვენებლების საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ სასტუმრო  
. მოდი, გაიხარეში“ ყველა ნომერი დაკავებულია და დირექტორმა ასა-  
ლო კილურაძემ თქვა, ტყუილად თავს ნუ შეიწუხებთო“.

ასეთ ცნობებს საკურორტო სეზონის დადგომასთან დაკავშირებით  
ქობლიანის რადიო ყოველწლიურად გაღმოსცემდა. გერასიმე ბურძგლა  
იმავე დღეს ჭიშკარზე რუსულ და ქართულ ენაზე დაწერილ განცხადებას  
ჩამოკიდებდა, „ვაქირავებ თოახებს“, „სდაიომ კომნატაო“.

ასეთი რუსულის შემხედვარე გოდერძი სიცილით მოკვდა და გერასი-  
მეს ჭიბრზე მანაც განცხადება ჩამოკიდა, „არ ვაქირავებთ ოთახებსო“. მი-

გერასიმემ ჭერ იფიქრა, რაც უნდა ის გააკეთოს, ყურადღებას არ მი-  
ვაქცევო, მაგრამ ბოლოს ვეღარ მოითმინა.

— გოდერძი ლობეანიძე, რატომ გინდა მაინცდამაინც ინფარქტით  
მოვკვდე?

აიგანზე გამოსულ გოდერძის სერიოზულად გაუკვირდა, რა დროს  
თქვენი ინფარქტია.

— რატომ გინდა, სამუდამოდ დაგვარგო და შეგაჩვენო! — ხმას აუ-  
წია მეზობელმა.

— რა ბრძანეთ, ბატონო გერასიმე?

— რა ვბრძანე, ბატონო და ჭერ იმაზე გამეცი პასუხი, ქართველ ხა-  
ლხში მეზობლობა და კაიკაცობა ხომ არ აუკრძალავს ვინმეს?

— როგორ გეკადრებათ!

— იმასაც ხომ ამბობენ, ჭერჯერობით, მეზობელმა მეზობელს ტუდ  
არ უნდა გაუკეთოსო?

— მეტს აიყვი, სიამტკბილობით უნდა იცხოვრონო, ერთმანგლო  
უსახელო წერილები არ უნდა დაუწერონო.



გერასიმებმ არ შეიძნია.

— გოდერძი, ბიჭო, მამისტოლა კაცს ყველაფერში წინაურებულის  
შერავ, დამიბრიყვე თუ რაშია საქმე!

— რა ვქნა, ბატონო, — აუხსნა გოდერძიმ, — თქვენი შვილი ძალიან  
მიყვარს, მაგრამ არ ისწავლა რუსული და ორიანი იმიტომ დავუწერე.

— მაგაზე ნუ მერუსულები, თუ კაცი ხარ, თავის დროზე გითხარი  
სათქმელი.

— კი, ინსტანცია არ დაგიკლია, საჩივარი რომ არ გაგეგზავნოს.

— გოდერძი ლობდანძე, — ხვეწნა გაურია ხმაში გერასიმებმ, —  
პირდაპირ მითხარი, ყველაფერს ჩემს საწინააღმდეგოს რატომ აკეთებ?

— მაინც რა ვქნი, ბატონო, თქვენი საწინააღმდეგო, ავდეჭი და სა-  
ხალხო კონტროლში განვაცხადე, გერასიმეს ქონება უკანონო გზით აქვს  
ნაშოვნი-მეთქი?

ამისთანა ხუმრობას გერასიმე არ მოელოდა, მაგრამ ვითომ არც გა-  
მიგონიაო, თავისი გააგრძელა.

— მე რომ კიშკრზე დავწერე, ოთახებს ვაქირავებ-მეთქი, შენ არ  
ვაქირავებო, რატომ გამოაკარი?

გოდერძის სიცილი აუტყდა.

— პირიქით, გახარებული უნდა იყო, ჩემო გერასიმე. მე რომ შენი  
კონკურენტი არა ვარ და ხელს გიწყობ.

გოდერძი სახლში შევიდა, მაგრამ გერასიმეს სიტყვები იქაც აღწევდა.

— ხელს გიწყობო? შენი ხელშეწყობილი მე ჯერ არ მინახავს! მოვა  
ამ კურორტობაზე უცხო კაცი და ამისთანა წარწერას რომ დაინახავს, რა  
გააჩერებს მერე, არ იტყვის, ინტრიგანისა და გაფუჭებულის მეზობლად  
ცხოვრება როგორ შეიძლება?.. არა, მთელი ქობლიანი აქირავებს ზაფ-  
ხულში ბინებს და შენ რა ღმერთი გაგიწყრა, პატიოსნებაზე რატომ დებ  
თავს, დაგაწინაურებს ვინმე სამსახურში თუ ხელფასს მოგიმატებენ?.. სა-  
სწავლო ნაწილიც ვერ გახდები შენი პატიოსნებით! ასეა მაგი და ყური  
გამოიფხიქ უნდა პატარა!

გოდერძიმ ერთი კი გაიფიქრა, გასალახავია და მაგას კი მოვერევი  
მაინცო, მაგრამ ნერვები დროულად დაიწყნარა, კარი გამოკეტა და გასა-  
ლები გერასიმეს დაანახვა, ავერ ამ ყუთის ქვეშ ვტოვებ, ჩემს არყოფნაში  
თუ კომისიას მოიყვან, გოდერძი ლობდანძემ ცარცი მოიპარაო, კარის  
გატეხა აღარ დაგჭირდებაო.

გოდერძი სახლიდან გავიდა თუ არა, რადიომ ისევ გამოაცხადა.  
საღამოს ჩვენ საათზე კულტურის სახლში გაიმართება ლექცია „არის თუ  
არა ღმერთი ქვეყანაზეო“.

გერასიმე სიმწრით თავი გადააქნია, ღმერთი რომ იყოს, გლოვანი  
შეზობლად როგორ დამისახლებდათ. მერე ბოსტანში გადავიდა ჭურულებულ  
სიმინდის მარგვლას უნდა შესდგომოდა, რომ ჭიშკართან ტაქსიაჭურულფაზ  
ტაქსიდან საშუალოზე მაღალი თბილისური გარეგნობის ჩემოდნიანი კაცი  
ჯალმოვიდა.

გარარებული გერასიმე ჭიშკარს ეცა, მდგმური ასე უცებ ვიშვეო!

— გამარჯობა, გამარჯობა! როგორც საკუთარ ოჯახში, ისე მობრძან-  
დოთ, ჩემთ ბატონო!

უცნობს დიდი სიხარული არ გამოხატვია სახეზე, საკმაოდ ცივად შე-  
ხედა გერასიმეს და სალამის დაუბრუნებლად ჰკითხა, ინდუსტრიალიზა-  
ციის ქუჩა ხომა ესო.

გერასიმე ჭილის ქუდი მოიხადა და გაოფლილი მელოტი თავი მოი-  
წმინდა.

— კი, ბატონო, ახლა ინდუსტრიალიზაციის ქუჩაა, მაგრამ ნიკოლო-  
ზის დროს მაგას სახნისის ქუჩა ერქვა.

— არ მაინტერესებს, — თქვა უცნობმა და ტაქსი გაისტუმრა.

— მე გერასიმე ბურძგლა ვარ და ნიკოლოზის დროსაც გერასიმე ბუ-  
რძგლა ვიყავი.

უცნობს არ გაულიმია, ისევ ცივად შეეკითხა, ცამეტი ნომერი რომე-  
ლი სახლი იქნებაო.

— ცამეტი და თარისი ის გახლავთ, — გოდერძის ეზოსკენ მიუთითა  
გერასიმემ, — ჩემი თხუთმეტია... კარებში გაჩერება არ ვარგა; მობრძა-  
ნდით, სადელეგატო ბინა მაქვს. რიგის ავეჯი მიდგას, ტელევიზორი, მაცი-  
ვარი...

— მე ცამეტი ნომერი მინდა... გოდერძი ლობუანიძე! — შეაწყვეტინა  
უცნობმა.

— ამხელა ასოებს ვერ ხედავ შენ, ოთახებს არ ვაქირავებო! — გაბ-  
რაზდა გერასიმე.

— თქვენ, ამხანაგო, ბევრს ლაპარაკობთ! — უცნობმა ჯიბიდან ცხვი-  
რსახოცი ამოილო და წითელი წიგნაკიც ამოაყოლა.

წიგნაკის დანახვაზე გერასიმეს წარბი აუთამაშდა, შანტაქს ხომ არ  
მიწყობენო.

— მაშ თქვენ გერასიმე ბურძგლა ხართ, არა? — უცნობმა ცხვირსა-  
ხოცი და წიგნაკი ისევ ჯიბეში ჩაიღვა.

— გახლავართ... უპარტიონ პენსიონერი, „პრავდა“ გამოწერილი მაქვს  
და „კომუნისტისაც“ ვკითხულობ.

უცნობმა დაკვირვებით შეათვალიერა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

გერასიმემ თოხი მხარზე გამოიდვა.

— ტელევიზორი რომ გითხარი წალან, განვადებით მაქვს ნაყიდი, ავე-



ჭი კიდევ ძმამ მაჩუქა... ჩემს ძმას სოფელში მანდარინის ბალი აქვს.  
— თქვენ საინტერესო პიროვნება ყოფილხართ, — უცნობი უცნობი უცნობი  
პირველად გამოჩნდა ღიმილი.

— მაგი წითელი წიგნაკი კარგად შეინახე, თუ კაცი ხარ... ვინმე და-  
პერას თუ აპირებ, გოდერძი ლობჟანიძე მომაცილე აქედან!

სტუმარი უკვე მეზობლის კიბეებზე ადიოდა.

— გოდერძი ნაკლასევს დაბრუნდება, გასაღები ყუთის ქვეშ დატოვა,  
— აუხსნა გერასიმემ.

### ჩამოსული პაცი ვალიძო სოხაძეა

როგორც შემდეგ გამოირკვა, გოდერძის სტუმარს სახელად ვალიკო  
ერქვა და გვარად სოხაძე იყო.

თუ არა წითელი წიგნაკი და სოლიდური გარეგნობა, ასეთი სახელი-  
სა და გვარის პატრონი კაცი გერასიმე ბურძგლაზე შთაბეჭდილებას ვერ  
მოახდენდა. მაგრამ ამ ორივე ფაქტორის წყალობით გერასიმეს შიში  
შეეპარა, კონტროლიდან გამოგზავნილი არ იყოს.

სინამდვილეში ვალიკო სოხაძე გოდერძის თანაკურსელი გახლდათ,  
სწორედ ის თანაკურსელი, გოდერძიმ რომ ქორწილში თავისი პალტო  
აჩუქა და გახარებულმა სამაგიეროდ მანქანა შეპირდა. მანქანის ყიდვა არა,  
მაგრამ ვალიკო სოხაძეს გოდერძის მისამართი არ დავიწყნია, ამიტომ იყო,  
ქობლაბში ინდუსტრიალიზაციის 13 ნომერი ადვილად მიავნო.

ნაშუადღეს სკოლიდან დაბრუნებულმა გოდერძიმ რომ ლოგინზე  
წამოწოლილი კაცი დაინახა, ქურდი ეგონა, მაგრამ დროზე მიხვდა, ქურ-  
დი რომ სხვის ბინაში არ დაიძინებდა, დიდხანს ათვალიერა, სანამ დარწ-  
მუნდებოდა, ვალიკო სოხაძეა ნამდვილად.

— საიდან სადაო! არც წერილი გამოუჯზავნია და არც დეპეშა, —  
შეწუხდა გოდერძი, — ალბათ, საქმეზე ჩამოვიდა, ან დასასვენებლად  
გვესტუმრა, თუმცა დასასვენებლად რომ იყოს, წინასარ შემატყობინებდა.

ადრე ვალიკო და გოდერძი გამარჯობით იცნობდნენ ერთმანეთს, მაგ-  
რამ პალტოს ჩუქების შემდეგ ძალიან დაახლოვდნენ. მართალია, გაურკ-  
ვეველი მიზეზების გამო, მდიდარი ცოლი ვალიკომ სამ თვეში გაუშვა,  
მაგრამ ფული მაინც ჩეჩქივით ჰქონდა და გოდერძისთან ხარჯვას არ ერი-  
დებოდა. უმაღლესის დამთავრებისთანავე რომელილაც სამინისტროში  
შორწყო და კოოპერაციულ ბინაშიც მოახერხა შესვლა.

უმაღლესში სწავლის დროს ვალიკო სოხაძე დიდი ნიჭით არ გამოი-  
რჩეოდა, მაგრამ ქართული ანდაზები კარგად იცოდა: „ხერხი სჯობია ღო-  
ნესა, იუ კაცი მოიგონებსა“, „ხელი ხელს ბანს, ორივე კი პირს“ და  
სხვა ამისთანები.

თბილისიდან წამოსვლის შემდეგ გოდერძიმ ვალიკოს არაფერო და, მაგრამ ერთ დღეს გაზეთიდან შეიტყო, რომ ინსპექტორბა თუ რაოდ ამდაგვარი ხელობა დაეწყო, მაგი იმისთანა კაცია, თუ მოინდომ ტრიუმფის ტრიუმფისაც მიაღწევსო, თავისთვის გაიფიქრა გოდერძიმ, ეს იყო და ეს, მეტი ვალიკო სოხაძე არც გახსენებია და არც დასჭირვებია.

ოთახი არეული ჰქონდა და გოდერძი მის წესრიგში მოყვანას შეუდგა, თანაც სულ იმის ცდაში იყო, ნამგზავრ სტუმარს ძილი არ დავუფრთხოობო, მაგრამ ასეთ დროს კაცი ჩვეულებრივზე მეტად ხმაურობს. გოდერძიმაც სკამს ფეხი წამოკრა და სტუმარი გააღვიძა.

ვალიკომ კარგა ხანს იფშვნიტა თვალები და მერე მასპინძელს ჰყითხა, ვინ ვარ, ხომ მიცანიო.

— გოდერძი ხელები გაშალა.

— გიცანი აბა, ვალიკო სოხაძე ხარ შენ!

სანამ სტუმარი წამოდგებოდა ხელები ასე გაშლილი ჰქონდა, მერე გადაეხვია და პირზე კოცნით მიესალმა.

— ხაში ჭამე ხომ ამ დილით? — შეიტმუხნა ვალიკო.

გოდერძი, ცოტა არ იყოს, დაიბნა.

— კი ვჭამე...

— დილით წვერი გაგეპარსა, არ ჯობდა?

— რა ვიცი, ვერ მოვასწარი, — ლოყაზე ხელი ჩამოისვა გოდერძიმ და გუნებაში გაითიქრა, ამისთანა ლაპარაკი როდის ისწავლაო.

— შენ პროვინციელო, შენა! — ვალიკომ მხარზე დაადო ხელი — სხვა როგორა ხარ, რას შვრები!

— მე ვარ, როგორც მხედავ, მაგრამ შენ როგორა ხარ?

ვალიკომ ფანჯარა გამოაღო და ზღვის ჰერი ღრმად ჩაისუნოქა.

— გული რომ არ მაწუხებდეს, არაფერი მიჭირს.

— რა დროს შენი გულია! — გაუკვირდა გოდერძის.

— ვინ მოგასვენებს, ათასი ძალლი და მამაძალლი დადის ამ ქვეყანაზე, მაგრად თუ არ დახვდი, ცოცხლად შეგვამენ... ექიმებმა ზღვა მირჩიეს... ძლივს გამოვიშვი თავი, ხომ იცი, ზაფხულობით თბილისში როგორა სიტუაცია?

— კი, დიდი სიცხე იცის, — თქვა გოდერძიმ.

ვალიკომ გოდერძის მოტანილი რვეულები გადაფურცლა.

— სიცხე არც აქა ნაკლები, მაგრამ ზაფხულში ოფლი ყველაზე მეტად უმაღლესში მოსაწყობ ხალხს სდის.

— მასწავლებლებიც არა ვართ უკეთეს დღეში, — გოდერძიმ ერთი რვეული უჩვენა, — მითხარი ახლა, ამის დამწერს სკოლა უნდა დაამთავრებინო? მეზობელი არ იყოს მაინც...



— რომელი მეზობელი?  
 — აგერ, ჩემს გვერდით ცხოვრობს, ლაშარე ბურგლა. უკუკულები  
 — მამამისს გერასიმე ჰქვია, ხომ? — დაინტერესდა ვალევალიშვილი  
 — უკვე მოასწარი გაცნობა? შვილს უნიჭობის გარდა ვერაფერ  
 ნაკლს უნახა, მამამისს კი ნუ იყითხავ!

ვალიკომ რვეული დახურა და გოდერძის შეხედა.  
 — უნიჭობა დანაშაული არაა, მთავარია კაცმა სიცხეში ოფლის მოწ-  
 მენდა იცოდეს.

— როგორ? — ვერ გაიგო გოდერძიმ.  
 — არაფერი... რადიო მგონი რაღაცას ლაპარაკობს.  
 მორიგი ცნობა მობანავეთა საყურადღებოდ იყო ნათქვამი, „ვინც წი-  
 თელი დროშის იქით გაცურავს, თავისთვის დააბრალოს, რაც მოუვაო“.

გოდერძიმ აუხსნა, ზაფხულში ყოველთვის ასეა, დამსვენებლებს კუ-  
 ლტურულად ვემსახურებითო.

— სასტუმროში რომ ნომრები არა გაქვთ, ეს როგორი მომსახურე-  
 ბაა? — იყითხა ვალიკომ.

გოდერძიმ გაუმეორა, ზაფხულში ყოველთვის ასეათ. ვალიკომ გაე-  
 ცინა, ზამთარში აბა ქეციანი სასტუმრო რად გინდათ, ზღვა შეუშვით შიგო.

„ქეციანის“ ხსენება გოდერძის ეჭყინა, მაგრამ არ შეიმჩნია.  
 — ზაფხულობით ქობლიანში ბევრი ხალხი ჩამოდის, სასტუმროს კი  
 არა, კერძო ბინის შოვნაც ძნელია.

ვალიკომ პაპიროსს მოუკიდა.  
 — მეც იძიტომ მოგადეჭი კარზე... ჰო, მართლა, თავიდან უნდა მეკი-  
 თხა, იქნებ არ მღებულობ?

— დამიწყე ახლა შენც, — ხელი ჩაიქნია გოდერძიმ.  
 ვალიკო კედელზე გაჭრულ სურათებთან მივიდა.  
 — რა ვიცი, სტუდენტობის მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა.  
 ... მორჩი ერთი მაგნაირ ლაპარაკი!

— რაც უნდა იყოს, ხუთი წელი ერთად ვსწავლობდით, ერთი პალტო  
 ჯვევა, ჭირსა და ლენის ერთად ვიყოფდით... შემდეგ დავშორდით...

— კი, დავშორდით, — დაუმოწმა გოდერძიმ, — მე პროვინციაში წა-  
 მოვედი ხალხის გასანათლებლად.

— მე კიდევ ზოგიერთი წიგნის უარყოფითი გმირივით თბილისში და-  
 ვრჩი და კარივერის გაკეთება დავიწყე.

— ერთბაშად ვარსკლავები არ მოწყვიტე ციდან! — ისე დაბეჭითე-  
 ბით თქვა გოდერძიმ, თითქოს სტუმრის ასავალ-დასავალი ხუთი თითა-  
 ვით იცოდა.

ვალიკომ შორს დაიჭირა.  
 — ქერჯერობით მე ბედს არ ვემდური... შენ?

— მე რა... ისა ვარ, რასაც მხედვა.

რასაც სტუმარი ხედავდა, არც თუ ისე აღტაცების მომგვრელი /სანა-  
ხაობა იყო, მაგრამ გოდერძის ხომ უნდა ეთქვა რალაცა. არც ის ვაჟულებული  
თავის მართლება დაეწყო, ხელფასის შემყურე მაშტავლებელი ჭარბი და  
მდიდრულად იმიტომ ვერ ვცხოვრობო. ვალიკოსთან ბოდიში მოიხადა, ამ  
წუთში მოვალო და მეზობლად მდებარე სავაჭრო ფარდულს მიაკითხა,  
სადაც მისი ძველი ნაცნობი ვარდენ გურგენიძე ვაჭრობდა.

ვარდენი კეთილი კაცი იყო. წინათ სკოლიდან დაბრუნებულ გოდერ-  
ძის იმდენ „პადუშკა“ კამფეტს აძლევდა, რამდენი ხუთიანიც ეწერა დღი-  
ურში. „პადუშკა“ კამფეტებს კარგა ხანია აღარ აკეთებდნენ, მაგრამ გო-  
დერძის მისი გემო ახლაც ახსოვდა. სანამ გოდერძი უმაღლესში სწავლო-  
ბდა, ვარდენ გურგენიძე აღათის ეკითხებოდა, შენი ბიჭი რომ დიდი კაცი  
გახდება, უნივერსიტეტის დირექტორად თუ დამნიშნავსო? აღათი ამშვიდე-  
ბდა, შენგან იმდენი სიტკბო ახსოვს, მაგას როგორ დაგამადლისო.

გოდერძის უმაღლესის დამთავრების შემდეგ ვარდენი ისევ თავის  
ქველ ფარდულში ვაჭრობდა და ზოგჯერ ხელფასის აღებამდე ქველ ნაც-  
ნობს ფულსაც ასესხებდა. თუ კი გაპატივებას დაიწყებდა, ამხნევებდა, მა-  
რთალია, მე ვერ მოვესწრები, მაგრამ შენ ჩემი სიტყვა არ დაგვიწყდეს,  
დიდი კაცი გახდებით. გოდერძის საშინლად უკვირდა, ასეთი ოპტიმისტი  
რამ გამოგიყვანაო.

ფარდულში შემოსულ გოდერძის რომ თვალი მოკრა, ვარდენი იმ  
წუთში მიხვდა, რაღაც გიჭირს და მზად ვარ დაგეხმაროო. გოდერძის რომ  
ეთქვა, კაცი მომაკვლევინეო, უკან არ დაიხევდა.

რაკი შემოსული თქმას ერიდებოდა, თვითონ დააასწრო.

— ჰო, რამდენი გინდა?

— ფული არა, — იუარა გოდერძიმ, — კონიაკი მომეცი ერთი და რა-  
მე საჭმელი... აღათის სოფელში წასვლის შემდეგ სახლში არაფერი მაქვს.

ვარდენმა ჯერ კონიაკი შეახვია ქალალდში, მერე ძეხვის დაჭრა დაწყო.

— სტუმარი გყოლია სახლში, რადგან კონიაკი მიგაქვს.

— ჰო, თბილისიდან მესტუმრა.

— ეგებ ძეხვი არ უყვარს, რას იტყვის, თბილისში რომ ჩავა?

— რა უნდა თქვას, ჩემი მეგობარია.

— კუჭმა მეგობარი არ იცის, შვილო, ყველი და ხიზილალა მაქვს,  
ისიც წაიღე, — ვარდენმა ყველაფერი დიდ ქალალდში გაახვია და გოდე-  
რძის მიაწოდა, — კარგად დაიჭირე, არ გაგივარდეს.

— რამდენისაა ეს? — სხვათა შორის იყითხა გოდერძიმ.

— შენ ჯერ წაიღე, ფულზე მერე ვილაპარაკოთ.

— დიდი მაღლობა, აბა...

— კარგად იყავი... ოლონდ იმ თბილისელ სტუმარს არ მიშენინო...



ვიცი მე მაგათი ამბავი!

გოდერძი რომ სახლში დაბრუნდა, ვალიკო ელექტროსაპარტიულუსტრი  
იპარსავდა.

— ვლამაზდებით, ხომ ქართველები? — ჰყითხა გოდერძიმ.

ვალიკომ მიუგო, მე კი ვლამაზდები, მაგრამ შენ ოჯახს რატომ  
აქცევ, ამდენი ხორავი რად გინდოდა.

გოდერძიმ ყველაფერი მაგიდაზე დაალაგა და ძალადაუტანებელი სა-  
უბარი რომ გაეგრძელებინა, მასპინძელს ჰყითხა, „ნევაა“ მაგი საპარსი  
თუ „ხარკოვიო“.

— „ხარკოვი“. — ვალიკო ახალგაპარსულ სახეს კმაყოფილად ათვა-  
ლიერებდა სარკეში.

— ერთნაირი კია, მაგრამ მაინც „ხარკოვი“ ჭობია... ქობლიანშიც  
ჩამოაქვთ ხანდახან გასაყიდად.

სტუმარმა ლაპარაკი სხვანაირად გაიგო.

— ბევრი გამოვიცვალე და ბოლოს ამ ერთმა გამიმართლა, მიზეზია-  
ნი კანი რომ არ მქონდეს, გაჩუქებდი.

— მასე რატომ ითიქრე, — ეწყინა გოდერძის, — მე მხოლოდ პარი-  
კმახერთან ვიპარსავ.

ვალიკომ საპარსი ჩემოდანში ჩადო და სანთებელი ამოილო.

— ჩემგან საჩუქრად ეს გქონდეს, პარიზში ვიყიდე, შეხედე, რა ქა-  
ლებია ზედ... არ თქვა ახლა, მაგაზე უკეთესი მინახვესო... ჰო, მართლა,  
პაპიროსს თუ ეწევი?

— ექიმმა გამაფრთხილა, თამბაქო ჯანმრთელობის მტერიაო. — გა-  
ლიმა გოდერძიმ.

ვალიკომ სანთებელა ჭიბეში ჩაიდვა.

— თუ არ ეწევი, სათამაშოდ ამის გაფუჭება არ ვარგა.

ერთბაშად უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. დუმილი გოდერძიმ  
დაარღვია.

— პარიზში როდის იყავი?

— შარშან გაზაფხულზე, ტურისტული საგზურით.

გარეთ ზღვა ხმაურობდა, ღია ფანჯრიდან მისი აქოჩრილი ტალღები  
მოჩანდა.

— ღიღი ქალაქია ხომ პარიზი?

ვალიკო ფანჯარასთან მივიღა.

— ქობლიანის ხელა არ იქნება, მაგრამ...

გოდერძის რატომლაც უმიზეზოდ დასჯილი ბავშვივით სევდა შემთაწვა.

— ქობლიანი... პატარა ქობლიანი... ოთხი თვე საბანაო სეზონი, მე-  
რე წვიმები, გაუთავებელი წვიმები... მერე ნესტიანი ზამთარი, მერე  
ლოდინი...



ვალიკო მობრუნდა და დაკვირვებით შეხედა.

— ლირიკული გადახვევები როგორც სტუდენტობის დროს... შესიმისტო შენა!

— ჩემთვის ქობლიანი მაინც პარიზზე უაეთესია! — დაბეჭიობით უთხრა გოჭურიძმ.

— ნუ გეშინია, არავინ წაგართმევს, — ვალიკო დაუპატიუებლად მიუჩდა მაგიდას, — დავიწყოთ თუ უცდი ვინჩეს?

— ვის უნდა ვუცდიდე... ოარიბი სუფრაა, მაგრამ კეთილი გულით მორთმეული, — გოდერძიმ კონიაყი დასხა, — შენს ჩამოსვლას გაუმარჯოს და ჩემს დახვედრას!

— გავვიმარჯოს, აბა! — ვალიკომ ჭიქა მიუჭახუნა და გადაკრა, — სამვარსკვლავიანია ხომ?

— სხვა არ ჰქონდათ კიოსკში, — თავი იმართლა გოდერძიმ.

— ამას არ შეეჩვიო, თორემ თირქმელს გავითუჭებს, ოთხსა და სუთს კიდევ არა უშავს.

— არც „გრემია“ ცუდი! — თქვა გოდერძიმ და გულში გაიცინა, ვარდენ გურგენაძე გულთმისანი ყოფილაო.

მეორე სადლეგრძელოს რომ სვამდნენ, ვიღაცამ დაკაკუნა. კარი რომ გაიღო, თვალს არ დაუჭერა, — ზღურბლზე ლურჯ კაბაში გამოწყობილი თინა წილოსანი იდგა.

რაკი მასპინძელმა მობრძანდის თქმა ვერ მოახერხა, სტუმარი დაუპატიუებლად შევიდა ოთახში.

— რუსულ-ქართული ლექსიკონის მეორე ტომი მინდოდა, ვიღაცას ვათხოვე და აღარ მომიტანა, — თინამ გვიან შენიშვნა, გოდერძიმ რომ მარტო არ იყო და შეწუხდა, — ბოლიში, სტუმარი გყოლიაო...

დაბნეული იდგნენ და ვალიკო ორთავეს ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა.

გოდერძიმ, როგორც იქნა, ხმა ამოიღო.

— იცნობდეთ, ჩემი თბილისელი მეგობარი ვალიკო სოხაძეა... ეს კი-დევ თინიკოა, ჩემი... ჩემი კოლეგა... ერთ სკოლაში ვასწავლით.

— ძალიან სასიამოვნოა, — თქვა ვალიკომ და გაწითლებულ ქალს ხელი ჩამოართვა, მერე შინაურივით კარადიდან ჭიქა გადმოიღო და კრიიკი შეუვსო.

— ჩემთვის ნუ წუხდებით, — იუარა ქალმა.

— შევიძლიათ არ დალიოთ, მაგრამ სადლეგრძელო უნდა წარმოთქვათ, — აუსნა ვალიკომ.

— ქობლიანსა და ქობლიანელებს გაუმარჯოს... ბოლიშს ვიხდი, რომ ქვეენს მყუდროებაში შემოვიწერი.



სტუდენტობის დროს ვალიკო სოხაძეს დღიურების კი არა, წერილების წერა ეზარებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში შეხედულება შეეცვალა და ბოლოს დღე ისე არ გავიდოდა, თავისი შთაბეჭდილებები ქალალდებოდა არ გადაეტანა. ალბათ არცთუ ისე შორეულ მომავალში ეს დღიურები ფართო საზოგადოების მსჯელობის საგანი გახდება, მანამდე კი ვალიკო სოხაძის მიერ ქობლიანში გატარებული ზაფხულის რამდენიმე ეპიზოდი უნდა გაგაცნოთ.

„1 ივნისი. არ ვიცი დილაალრიან რამ გამაღვიძა! თავისი ტკივილმა თუ გოდერძის ხმაურმა, მეონი თრივემ ერთად. თავი ნამდვილად კონიაქში ამატკინა, არ უნდა დამელია, მაგრამ მასპინძელს ხათრი ველარ გავუტეხს. საწყალი, როგორ ცდილობს მასიამოვნოს. კაცმა რომ თქვას, მის ბინაში სასტუმროშე უფრო სიმყუდროვეა, სიმყუდროვე და სიღარიბე. არ მეგონა, თუ ასეთი მოუხერხებელი იქნებოდა, რამდენი ვუმტკიცე წუხელ, თვალი გაახილე, ერთი კოსტუმის მეტი რატომ არ უნდა გეცეას-მეოქი, ეწყინა, მეორეჯერ მაგ საკითხე ნურაფერს მეტყვიო. ნუთუ ვერ ხედავს, ირგვლივ ხალხი როგორ ცხოვრობს, გერასიმე ბურძგლასთანა მეზობელი როგორ უნდა მოიმდურიო კაცმა!.. ეგ გერასიმე ბურძგლა სხვანაირი ჩიტია, კარგად უნდა შევისწივლო.

2 ივნისი. დილით საბანაოდ რომ მივდიოდი, გერასიმე დიდი ამბით მომესალმა, კაი გამარჯობა პატივცემულო.

— გაგიძარჯოს-მეოქი, — ვუთხარი.

— ხომ კარგად გეძინათ, პატივცემულო?

— ისე, რა...

— კარგ სიზმრებსაც ნახავდით...

ვიფიქრე, მასხრად ხომ არ მიგდებს-მეოქი და მკაცრად ვკითხე.

— რა ბრძანეთ?

— არაფერი, — გერასიმეს ღიმილი არ მოშორებია სახიდან, — საით გაგოწევით, პატივცემულო?

— იალბუზზე ვაპირებ ასვლას.

მაგი რა მითხარიო და სიცილი აუტყდა, შაყირი ძალიან გყვარებიათ, შემთხვევით „ნიანგში“ ხომ არ მუშაობთო.

— განათლებაში ვმუშაობ, — ავუხესნი მე, — ხანდახან უმაღლესში მისაღები ხალხის გამოცდებსაც ვესწრები.

გერასიმე ვერ მიხვდა, ხუმრობად ჩემი სიტყვები თუ სერიოზულად მიეღო. მე კიდევ გავუმეორე, მისაღებ გამოცდებს ნამდვილად ვესწრები-მეოქი.

რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ რადიომ დაასწრო, „მობანავეთა მზე-

ზე დიღხანს გაჩერება აკრძალულიაო“.

— რატომაა აკრძალული? — შევეკითხე გერასიმეს.

— მზემ რომ დაგარტყას, სად მიხვალ მერე? — კითხვაზე  ურთისასი გერასიმეს მიპასუხა მან.

დავამშვიდე, ქვეყანაზე ბევრი დარტყმული დადის-მეთქი. ისევ სი-  
ცილი დაიწყო, რა ხუმარა ყოფილხართო, თუ ძალიან არ გეჩქარებათ,  
ჩემთან ვისაუბროთ, თავი შევიქციოთო.

— რომელი პრობლემები გაინტერესებთ, საერთაშორისო ფუ საში-  
ნაო? — დავინტერესდი მე.

— შინაურული.

— ძალიან გაინტერესებთ?

— მაგის დარღით ღმე არ მძინავს.

— ახლა არ მცალია, საბანაოდ მივდივარ.

— დაბრუნდებით?

ახლა მეც გამეცინა.

— ვიოომ დავიხერხობი? ცურვა კარგი ვიცი.

გერასიმე ბურძგლა პრიაუმდე გამომყავა, გზაში სულ მარიგებდა,  
შჩეზე დიღხანს ნუ გაჩერდებით და ცხელ ქვებზე ფეხშიშველი ნუ გაივ-  
ლითო.

4 ივნისი. ორი დღე მხერხა გერასიმემ, მესტუმრე და მესტუმრე,  
სალაპარაკო მაქვსო. სპეციალურად საღილი რომ მოამზადა, უარი აღარ  
მითქვამს. ორი კაცი ვიყავით, მაგრამ მაგიდაზე იმდენი ხორავი ეყარა,  
ერთ ქორწილს გადაიხდიდა. სუფრაზე უფრო მისმა ბინამ გამაოცა. ჩემი  
წარმოდგენით გერასიმე ბურძგლა პროვინციული მასშტაბის საქმოსანი  
იყო, მაგრამ სიმდიდრით თბილისელ კოლეგებსაც არ ჩამოუვარდებოდა.  
გოდერი ლობევანიძის სახლიდან მოსულს, თავი ანტიკური ხელოვნების  
მუზეუმში მეგონა.

გაოცება აღარ დამიმალავს.

— ბატონი გერასიმე, ძალიან აღრე შესულხართ კომუნიზმში.

— როგორ გეკადრებათ! — იუარა ბატონმა გერასიმემ.

— ეს შეაფისხელა ტელევიზორი მაიც სად იშვივეთ?

— ხომ გითხარით, ძმას სოფელში მანდარინის ბაღი აქვს-მეთქი.

— ბაღი აქვს არა? — გამეცინა მე, — ალბათ ჩაიშიც მუშაობს.

გერასიმემ დამიდასტურა, სულ გაღაჭარბებით ასრულებს, გეგმებს.  
მეტი იშილო-ბიწილო საჭირო აღარ იყო და პირდაპირ საქმეზე გა-  
დავიდი.

— იმ შენს ძმას, ალბათ, უმაღლესში მოსაწყობი შვილი ჰყავს...

— უმაღლესში მოსაწყობი შვილი მე მყავს, — მითხრა გერასიმემ და

სუფრაზე მიმიპატიუა, — დაბრძანდით, პატივცემულო, ფეხზე  დგეხართ?

სუფრის თავში დამსვა. არ მშიოდა, მაგრამ კეცზე შემწვალის გარკალი მაინც გაღმოვილე.

გერასიმემ ტყემალი გაღმომაწოდა და მკითხა, მამათქვენს რა ჰქვაა, პატივცემულო.

— ობოლი ვარ-მეთქი, — თავი შევაბრალე.

— მაგი არ გეთქვათ და მოგეკალით, — შეწუხდა გერასიმე.

— ვარლამი ჰქვიოდა...

მასპინძელმა კონიაკი დამისხა.

— დიდებული სახელია... ესე იგი, ვარლამოვიჩი... მამათქვენის საუკუნი ხსოვნა იყოს!

ჰიქები მივუჭახუნეთ და გადავკარით.

— მშვენიერი გემო აქვს, — კონიაკი მოვუწონე.

— „გრემია“, ორი თუანი მივეცი, — არ დაუმალავს გერასიმეს.

— აკი სამვარსკვლავიანის მეტი ქობლიანში კონიაკი არ იშოვებაო! გერასიმემ წარბები შეჭმუხნა.

— ვინ თქვა მაგი?

— გოდერძიმ.

— გოდერძისთანა ღვთის გლახისთვის მართლა არ იშოვება!

„როგორ გამიშინაურდა, ახლავე უნდა ვასწავლო ჰკუა“.

— აბა, აბა მასეთები არ ვამაგონო, გოდერძი ჩემი მეგობარია!

მიხვდა, შორს რომ შეტოპა და ხმას დაუწია.

— მეგობარი კი არა, ვარლამოვიჩ, ძმა გამოსდის კაცს ცუდი... ის პატიოსანია, ერთ თვეს ასი მანეთით ცხოვრობს.

— რას იზამ, შეწელა ტელევიზორი არა აქვს!

გერასიმემ ჰიქები ხელახლა შეავსო.

— მე რომ მაგის ადგილას ვიყო, ტელევიზორი კი არა, რადიოსადგურიც მეჯნებოდა.

— მაინც ასეთს რა იზამდი? — დავინტერესდი მე.

— ჩემთან რად გინდათ ამნაირი ლაპარაკი, ვარლამოვიჩ... თინა წილისანი მეცოდვება მაგის გადამკიდე, არ გააბეღნიერებს ერთბაშადი... რას იტყვით, ხომ ლამაზი გოგოა?

— ისე რა, — ვთქვი მე და იმ საღამოს გაცნობილი სახეაწითლებული ქალიშვილი გავიხსენე. „ისე რა“ კი არა, ნამდვილად ლამაზი გოგო იყო, ეშხიანი, მიმზიდველი.

გერასიმე არ მომეშვა.

— ხომ მოგეწონათ?

— სიმპათიური ქალიშვილია, — დავუდასტურე შე.

— თბილისელებს ვერ შევადარებ, მაგრამ ქობლიანის პირობაზე ხატული ანგელოზია... მაგი პროვინციაში გასაჩერებელი არაა, მაგრამ ამოიჩემა ეს გოდერძი ლობეანიძე და სხვებს აღარ უყურებს. გიგლიოთივა — ეტყობა, საქმე სერიოზულად ჰქონიათ.

გერასიმე დამიდასტურა, ქორწილის მეტი არაფერი აქლიათ.

— რა ხართ, რა ეს პროვინციელები! — თავი გავიქნებ მე.

— ჩუმი და უშვინარი ხალხი, ვარლამოვიჩ, — გერასიმე ხაჭაპური გადმომილო.

— უშვინარო, მაინც რატომ ემდური გოდერძის?

— არ ვემდური, მაგრამ ჩემი ხელიდან მოსაკლავი კია, — კლავ ხმა აიმაღლა გერასიმე, — მაცალეთ, ვარლამოვიჩ, ბოლომდე ვათქევა-ნეთ. კარს მეზობელი რომ ბალანს დაგიჩაგრავს და სამიანს გაგიხდის სახვეწნებლად, თოფი არ უნდა ესროლო, მითხრით?

— აბა როგორ გვონიათ, სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გა-ტკბილდების...

გერასიმე ისევ დაასხა კონიაკი.

— ვიცი, ვარლამოვიჩ, მაგი გურამიშვილმა თქვა... ჰოდა, გაუმარ-ჯოს ახლა ჩემს მაჟულიშვილებს!

მესამე ჭიქის შემდეგ ერთბაშად გავშინაურდით და გერასიმეს სათქ-მელი პირდაპირ ვუთხარი, წელს უმაღლესში მოწყობა ძალიან გაჭირ-დება-მეთქ.

— მაგი ვიცი, ვარლამოვიჩ, — არ დაიბნა მასპინძელი.

— ორი გამოშვება აბარებს...

გერასიმე ოფლი მოიწმინდა.

— ისეთი კაცი მანახვა, გზაზე რომ დამაყენებდეს...

წინადადების დამთავრება ვეღარ მოასწრო, ოთახში ვიღაც ქალი შე-მოვიდა, შევატყვე, მძაპინძელს არ ესიამოვნა მისი დანახვა, მაგრამ მაინც დიდი ამბით გამაცნო, უუფუნა მახათაძე გახლავთ და მაგასაც შვალი უმა-ღლესში ჰყავს მოსაწყობიო.

— სალამი პატივცემულო უუფუნა! — მოწიწებათ მივესალმე.

— გაგიმარჯოს, ნენა! — ძველი ნაცნობივით მითხრა უუფუნამ, — ჩემს შვილს ცისანა ჰქვია.

— ძალიან სასიამოვნოა.

— სხვა როგორ ბრძანდებით, ჩემო ბატონო?

— ვართ რა, ქალბატონო.

— სიცხემ ხომ არ შეგაწუხათ? — უუფუნა გაჩერებას აღარ პირებ-და, — ინისი ახლა დადგა, მაგრამ იწვება ყველაფერი... ისე, თბილისიდან ხომ კარგი ამბებია?

— ფული გამოუგზავნიათ, მაგრამ დააგვიანდა ჩამოსვლა.

ჩემი სიტყვები არც უუფლის გაკვირვებია და არც გერმანული ქაბ-  
ლიანში ასეა, ფოსტის იმედი ნუ გექნებათო.

იმედის დაკარგვას მაინც არ ვაპირებდი, როცა იქნება მიზანშეუგა-  
მეთქი. გერასიმემ დამიღასტურა, ნამდვილად მოვაო და თუ არ მოვიდა,  
დიდი უბედურება არც მაგი იქნებაო. მერე საერთაშორისო პროპლემები  
გავარჩიეთ, ამერიკაში ზანგებს რატომ ჩაგრავენო და როცა კონიაკი და-  
იცალა, მრავლობითში დაწყებული საუბარი მხოლობითში დავამთავრეთ.

გერასიმეს კი დავემშვიდობე, მაგრამ უუფლის მახათაძის მოშორება  
არ იქნა. ჯერ კიდევ ადრე იყო და სანაპიროს ჩავუყევი, მხიარულ ხასიათ-  
ზე ვიყავი და მემღერა მინდოდა, მაგრამ უუფლის შემომიჩნდა, ჩემი ქა-  
ლშვილი თუ მოეწყობა უმაღლესშიო. დიდ ხანს ვუმტკიცე, აუცილებ-  
ლად მოეწყობა-მეთქი და როგორც იქნა, თავი დავალწიო.

მშვენიერი საღამო იდგა, ქუჩაში ბევრი ხალხი დასეირნობდა რატო-  
შლაც გავიფიქრე, ამ ხალხში იქნებ თინა წილოსანს ვნახავ-მეთქი, მაგრამ  
ნაცნობი არავინ შემხვედრია“.

### იყო საღამო მავიდი და ჭყნარი

სიბნელე უბილეთო მგზავრივით შემოიპარა ოთახში და ვალიკო სო-  
ხაძეს გაზეთის კითხვა შეაწყვეტინა.

მზის ჩასვლისთანავე პროვინციელები ქათმებივით ძილის თაღარიგს  
იჭერენ, ქალაქის პულსი საგრძნობლად ეცემა, ქუჩებში მხოლოდ შეცვა-  
რებულებს და მოვრალებს ნახავთ, ხანდახან მორიგე მილიციელიც ჩაივ-  
ლის თავის შესაქცევად, და როცა სადგურიდან თბილისის მატარებელი  
გავა, ქობლიანს საბოლოოდ ეუფლება ძილი. პატარა ქალაქი ღიდი ჯა-  
ფის შემდეგ ისვენებს, ენერგიას იკრეფს, რომ ხვალიდან ისევ ჩვეულებ-  
რივი, მაგრამ მაინც ახალი ცხოვრება დაიწყოს.

ღივანზე წამოწოლილ ვალიკოს სინათლე არ აუნთაა, რაღგან ბნელში  
უბეტესად ფიქრობდა. ეს ფიქრები ძირითადად ქობლიანში გატარებული  
დღეების შთაბეჭდილებები იყო, თვალწინ გაიღვებდნენ გოლერძას, გე-  
რასიმეს, უუფლის სახეები, მერე თინა წილოსანი გამოეცხადა და მასზე  
ფიქრში ჩაეძინა კიდევაც. სიზმარშიაც თინიკოს ხედავდა, მაგრამ კაკუნ-  
ბა გამოაღვიძა, უკმაყოფილოდ წამოდგა, სინათლე აანთო და როცა კა-  
რებთან თინა წილოსანი დაინახა, თვალს არ დაუჯერა, თავი ისევ სიზმარ-  
ში ეგონა.

— მობრძანდით, მობრძანდით! — როგორც იქნა, გამოერკვა ვალიკო.

ქალი მიხვდა, რომ გოდერძი სახლში არ იყო და წასვლა დაპირა.

— საღაცა მოვა, — უთხრა ვალიკომ, — თქვენ, ალბათ, ლექსიკონი  
გინდოდათ...



თინიკოს ლოყები წამოუწითლდა.

— არა, თავისუფალი თემები მოვიტანე გასასწორებლად ჩამოვარდეთ.

— დაპრანდით მერე, ფეხზე რატომ დგეხართ? — ხელჭიშას მასპინძელივით გეპატიუებით.

— თქვენ ხომ უკვე სტუმარი აღირა ხართ, — ქალი სეაშზე ჩამოვდა.

— რასაკვირველია, — დაეთანხმა ვალიკო, მაგრამ მერე რა ეთქვა, ვერ მოეფიქრებინა.

თინამ მაგიდაზე გაშლილი გაზეთის კითხვა დაიწყო. სტატიის „მეცნიერებელება ახალი მიზნები“ ერქვა და არც თუ ისე საინტერესო უნდა ყოფილიყო.

— მოგწყინდათ, ხომ, პატივცემულო თინა? — ჰქითხა ვალიკო?

— სრულიადაც არა, — ქალმა გაზეთს თავი დაანება და პირდაპირ შეხედა.

ვალიკომ გამოცდაზე ჩატრილი ბავშვივით მოარიდა თვალი. არ შეამჩნია, მაგრამ საკუთარ თავზე ბრაზი მოსდიოდა, ასე რამ დამაბნიაო, ჯიბიდან სიგარეტი ამოილო და ზრდილობის წესის თანახმად მოწევის ნება ითხოვა. თინამ უპასუხა, როგორ გეკადრებათო და ვალიკოს თანდათან დაუბრუნდა ძველებური სითამამე.

— თქვენ, რასაკვირველია, პაპიროსს არ ეწევით?

— საიდან დასკვენით?

— პროვინციელი ქალიშვილები არ ეწევიან.

— რატომ, ახალი ცხოვრება აქაც შემოვიდა, — თინამ გაიცინა და კოლოფიდან სიგარეტი ამოილო, ვალიკომ თავსი საზღვარგარეული სანთებელა მიაშველა. ქალმა ერთი მოწია და ხველა აუტიყდა.

— ძალად რატომ წვალობთ? — შეწუხდა ვალიკო.

— თბილისელ ქალიშვილებს არ მინდა ჩამოვრჩე. — უთხრა თინამ.

— თქვენ, როგორც კეშმარიტი პროვინციელი, თბილისელებს, ალბათ, დასანახავად ვერ იტანთ?

— პირიქით, მშურს მათი, ისეთი ლამაზები არიან, ისე კოხტად იცვამენ...

— განა თქვენ მათ სილამაზეში ჩამოუვარდებით? — გაბედა ვალიკომ.

— გმადლობთ კომპლიმენტებისათვის! მე მგონი...

— საწყებად რატომ მიიღოთ, მე გულწრფელად გითბარით... შეეშვით მავ პაპიროსს, ისეთი სახე გაქვთ, თითქოს ნერვიულობჲეთ.

— გოდერძის დააგვიანდა.

— აა რაში ყოფილა საქმე! გოდერძი არ დაიკარგება! — ვალიკომ თბილისიდან ჩამოტანილი ტრანზისტორი ჩატოო.

განცხადებებს გაღმოსცემდნენ, უმაღლეს სასწავლებლებში საბუთე-

ბის მიღება დაწყებულიყო. მერე დიქტორმა თქვა, ფილარმონიკის /დიდ  
დარბაზში „ორერას“ კონცერტია დანიშნულიო.

— წარმომდგენია, რა ხდება ახლა თბილისში, — ამოიონის /მუსიკურის დარბაზში,  
თითქოს თბილისში რომ არ იყო, იმას წუხდა, — მთელი ქალები, ქალები, ამ კონცერტზე წასვლას აპირებს.

— თქვენც დაესწრებოდით, არა? — დაინტერესდა ვალიყო.

— თბილისში რომ ვიყო, რა სათქმელია, მაგრამ ბილეთის შოვნა გა-  
მიჭირდებოდა.

— სხვა რომ დაგხმარებოდათ?

— ვინ სხვა?.. გოდერძის ესტრადა არ უყვარს.

— სხვათა შორის, არც მე ვგუდები.

— კარგ ესტრადას ჩვენ მხოლოდ ტელევიზორში ვუსმენთ, — თით-  
ქოს ვალიყოს სიტყვები არ გაუგონიაო, ისე გააგრძელა თინამ — რომე-  
ლი საათია ახლა?

— ცხრა... გოდერძი სადაცაა მოვა.

— ცხრა საათზე თბილისში კონცერტი იწყება, ხალხით გაჭედილ და-  
რბაზს მუსიკა ეფინება.

— ცხრა საათზე ქობლიანში დასაძინებლად წვეპიან, — შენიშნა  
ვალიყომ.

თინა არ დაეთანხმა.

— არც მასეა საქმე. კინოში ბოლო სეანსი ჩვენთანაც ათ საათზე იწ-  
ყება.

— დიდი შეღავათია!

— თბილისშიც ხომ ბოლო სეანსი ათ საათზე იწყება?

— დაწევისართ, აბა, თბილისელებს! — ვალიყომ ტრანზისტორი გა-  
მორთო.

— ჩვენთან ყოველთვის ახალ სურათს უჩვენებენ...

— დღეს რა გადის? — დაინტერესდა ვალიყო.

— არაბული ფილმია, სათაური არ მახსოვს.

— უკვე ნახეთ?

— პირველ დღეს ვინ შევა, თავპირის მტვრევა.

— გაინტერესდთ ნახევა? — სხვათა შორის ჰქითხა ვალიყომ.

ქალმა თვით დაუქნია, ძალიან მაინტერესებსო.

— მე რომ შემოგთავაზო კინოში წასვლა? — ვალიყომ პირდაპირ  
დაუსვა კითხვა.

— ახლა? — გაწითლდა ქალი.

— დიახ, ახლა, გვიანია, არა?

— გვიანი კია...

— თუ გოდერძი არ მოსულა?

თინა წამოდგა.

— არც გოდერძი მოსულა!

— გაბრაზდით?

— არა მგონი...

— სულ დამავიწყდა, პროვინციაში რომ ცხოვრობთ.

— მერე, რა ვუყოთ, პროვინციაში რომ ვცხოვრობ?

— ხალხი რას იტყვის, უცხო მამაკაცთან გავლილს რომ დაგინახავთ?

— ის უცხო მამაკაცი თუ გოდერძის მეგობარია? — თინამ ისევ გა-

უსწორა თვალი.

ვალიკო წამოენთო.

— მეგობარი!.. განა არ შეიძლება შენი მეგობრის... — როგორ ეთ-  
ქვა ახლა, შენი მეგობრის მეგობარ ქალიშვილს კინოში წასვლა შესთა-  
ვაზო?

ამ ლაპარაჯში გარედან გოდერძის სიმღერა მოისმა. ჩემს ეზოში წვი-  
მა მოდისო, დარდობდა. გრადუსებში რომ იყო, დიდი მიხვედრა არ უნ-  
დოდა:

— კაშანიას გაუმარჯოს! — კარის გალებისთანავე რიხიანად დაიძახა,  
თინას რომ თვალი მოჰკრა. სიხარულით გული გაღაუტრიალდა, სახლში  
რომ მაჟითხავს, ნამდვილად ვუყვარვარო.

— სად ხარ, კაცო, დავწყდით შენს ლოდინში! — უთხრა ვალიკომ და  
თინას შეხედა.

გოდერძიმ აუხსნა, პატარა საქმე მქონდაო.

— გეტყობა! — თინიკომ უკმაყოფილოდ გაიქნია თავი.

გოდერძიმ, ვითომ ვერ დავინახეო, და ვალიკოს ხელი გადახვია, თუ  
ქმა ხარ, მე რომ მიყვარს, ის ვიმღეროთო.

მე შორს ვიყავ, მწარე ფიქრთა მოოვტო,

მომენტრე, შენთან მიტომ მოველი...

მღერით მარტო გოდერძი მღეროდა, თუ კი ამას სიმღერა დაეძე-  
ბოდა, ვითომ ვაუკაცი ვარო, ქალს თავს აწონებდა.

— სად დალიკ? — მკაცრად ჰკითხა ქალმა.

— დავლიკე... არ შეიძლება განა? ვინ თქვა, პედაგოგებმა ღვინო არ  
უნდა დალიონო... სხვები ხომ სკამენ, განათლების მინისტრსაც ხომ და-  
ულევია ღვინო?

— ძმაკაცი გამილოთდა! — ამოიოხრა ვალიკომ.

— სულ არ იცოდა სმა. — ბოდიში მოხადა თინამ.

— ტყუილია მაგი! — იუარა გოდერძიმ, — შენ ვალიკო სოხაძის ნუ-  
გერიდება, ვალიკო ჩემი ძმა, ხუთ წელიწადს ერთ სტუდენტაში გვე-  
ძინა, ერთად ვშიმილობდით... არა, ზოგჯერ საჭმელიც გვქონდა, ზოგჯერ  
კიდევ ღვინოსაც ვსვამდით... ხომ ასეა, ვალიკო?

- რამდენს ლაპარაკობ? — ვეღარ მოითმინა ქალმა.
- ნუ გიკვირს, ყოველთვის არ ვილაპარაკებ!
- მეც მაგას არ ვამბობ.
- ლაპარაკს რა ჭრა აქვს, სათქმელის გასაგებად სიტყვები უძლუ-  
რია. სათქმელი მხოლოდ აღამიანის თვალებში უნდა ამოიკითხო.
- იმიტომაც დაგწითლებია, არა?
- ვალიკოს ნეიტრალიტეტის დაცვა უნდოდა, მაგრამ ვეღარ მოითმინა.
- გეყოფათ, თინიკო, შეიძრალეთ!
- გოდერძიმ გადაწყვიტა ბოლომდე მრისხანე მამაკაცი დარჩენილიყო,  
მაგრამ გრძნობების მოზღვავება იგრძნო და გული აუჩუყდა.
- რაც უნდა მითხას, მაინც არ გავბრაზდები, თინიკოზე გაბრაზება  
არ შეიძლება... ვალიკო, შენ თინას არ იცნობ! — თვალი მოკრა, ქალმა  
რომ კარი გააღო და შეეხვეწა, ჯერ ნუ მიდიხარო.
- ნორმალურად რომ იყვე, კინოში წავიდოდით, — თინამ ვალიკოს  
გადახედა, — შენს მეგობარს ძალიან უნდოდა ახალი სურათის ნახვა.
- კინოში ხვალ წავიდეთ... დღეს თითო ჭიქა ავწიოთ.
- შენ თუ კიდევ ჭიქა გინდა!
- მოიცა, ნუ გეჩქარება.
- ვალიკომაც ბევრი ეხვეწა, ჯერ ადრეაო, მაგრამ დაიუინა, საკონტრო-  
ლო ნამუშევარი მაქვს გასასწორებელიო, ბოლოს გოდერძი გაბრაზდა,  
თუ მასეა, წაბრძანდით ბატონოო! ვალიკოს შენიშვნაზე, რატომ არ გააცი-  
ლეო, ხელი ჩაიქნია, ნუ გეშინია, არ დაიკარგებათ.
- ასე რამ გაგაბრაზა? — ჰკითხა ვალიკომ, როდესაც ქალი წავიდა.
- გაბრაზება კი არა, ზოგჯერ დამლურებაც მინდა, მაგრამ არ გამომ-  
დის, — აღელვებული გოდერძი ოთახში ბოლთას სცემდა, — ხანდახან  
ასე მგონია, ერთი ბეჭიოც არ ვუყვარვარ, მხოლოდ თავს იქცევს, სანამ  
ვინმეს გამონახავდეს... ერთი სიტყვით, მე რეზერვში ვარ.
- ვალიკოს სხვანაირად ენიშნა ეს სიტყვები, მაგრამ არ შეიმჩნია.
- ამდენს რატომ აჭიანურებ, დროზე მოიყვანე.
- არ ვუყვარვარ და როგორ მოვიყვანო?
- გეჩვენება შენ მაგი.
- გოდერძი სარკესთან გაჩერდა.
- ნეტავ მართლა მეჩვენებოდეს!.. თინიკოსთანა ქალის იდეალი  
სხვანაირი მამაკაცია, ვისოკი, კრასივი... მე ერთი საწყალი ასმანეთიანი  
პროექტის მასწავლებელი ვარ.
- თუ მოინდომებ, შეგიძლია ათასიანიც იყო.
- არ შემიძლია... რომ შემეძლოს, მაინც არ ვიზამ!
- ანგელოზი ხარ?

— ანგელოზი არა, მაგრამ არც გერასიმე ბურძგლა ვარ, მე პატიოლია  
პურსა ვჭირ! — სულ ეს არის შენი პატიოსნება? — ხელით უჩვენა ვალიული მეცნიერება  
ხევ.

— დიახ, — თავი დაუქნია გოდერძიმ, — კიდევ ეს წიგნები, გასას-  
წორებელი რვეულები...

— ცოლს რომ მოყვან, მეორე ლოგანი ხომ უნდა იყიდო?

— ვიყიდი! მრგვალ მაგიდასაც ვიყიდი, რბილ სავარძელსაც, ფერად  
ტელევიზორსაც, ახალ „ჟიგულსაც“, საზღვარგარეთაც წავალ სამოგზაუ-  
როა!

— ღმერთმა გისმინოს! — ამოიოხრა ვალიქომ.

— ვიცი, ჩემი არ გვერავს, — ეს ღვინო არ იყო, სხვა რაღაც ალაპა-  
რაკებდა გოდერძის, — არც უმაღლესში გვეროდა, არც მაშინ, ასპირინ-  
ტურაში რომ მტოვებდნენ...

— თუ არ ვცდები, პესიმისტს მე კი არა, შენ გეძახდნენ.

— კი მეძახდნენ, მაგრამ მე მაინც დიდი ოპტიმისტი ვარ... მართა-  
ლია, ზოგჯერ საკუთარ თავზე ბრაზი მომდის და გაქცევასაც დავაპირებ,  
მაგრამ ჩემს სკოლას ვერსად გავეჭცევი, არც მინდა გავიქცე... მოსწავლე-  
ებსაც ძალიან შევეჩვიე.

— მოსწავლების მშობლებს თუ შეეჩვიე?

— ვიცი, ვისზეც მეუბნები, — მიუხვდა გოდერძი, — მაგრამ გერა-  
სიმე ბურძგლას შეჩვევა არ ვარგა, არც შენ გირჩევ.

— ეს როგორ გავიგო?

— პირდაპირი მნიშვნელობით... თუ ჩაგითრია, ძნელია მერე თავის  
დაღწევა.

— მე რომ ჩავითრიო?

— ხომ გითხარი, არ გირჩევ-მეთქი!

— ჭკუას მასწავლი? — ეწყინა ვალიქოს, — არ მინდა მე ჭკუის  
სწავლება!

— ჯერ ერთი, გასაბრაზებელი მე არაფერი მითქვაშ და, მეორეც,  
ბოლიშები მეგობართან არ მჭირდება.

ვალიქომ მხარზე ხელი მოჰქიდა.

— ბევრი დალიე?

— სიტყვას ბაზე ნუ მიგდებ, ფხიზელი რომ ვიყო, მაინც ამას გე-  
ტყოდი.

— რა ვქნათ ახლა, ვიჩსუბოთ? — წყნარად ჭკითხა ვალიქომ.  
გოდერძის ერთბაშად გაუარა წყენამ, ჩხუბი კი არა, ვამშამი და ძი-  
ლი გვინდაო.

ვალიკომ ორივეზე უარი თქვა, თუ ნებას მომცემ, სანაპიროზე გვივის  
ვლი ცოტასო.

თერთმეტი საათი არც იქნებოდა.

ქობლიანის დაცარიელებულ ქუჩებს ლამპიონებზე უფრო სავსე  
მთვარე ანათებდა, ფანჯრებში აქა-იქ ენთო სინათლე. ვინ იცის, იქნებ  
ერთ ოთახში თინა წილოსანი ზის და რვეულებს ასწორებსო, გაიფაქრა  
ვალიკომ.

### ვალიკო სოხაძის დღიურის გამოქვეყნა

„10 ივნისი. ერთფეროვანი, მოსაწყენი დღები ერთმანეთს წაეწყო,  
ბანაობა, ჭამა და ძილი — აი სულ ჩემი საზრუნავი, თუმცა საზრუნავი და  
საფრენებელი კიდევ სხვა რამეც არის. თინა წილოსანი იმ სალამოს შემ-  
დეგ აღარ გამოჩენილა. გოდერძი იფიცებდა, ჩვენს შორის ყველაფერი  
დამთავრდა. მაგრამ ვინ დაუგერებს. თინიკოსთანა ქალს ასე ადგალად  
ვერ ამოიღებ გულიდან, მით უმეტეს, გოდერძი ლობჟანიძეს არ შეუძლია  
ამის გაკეთება. გოდერძის კი არა, მე რა მომდის, ვერ გავრკვეულვარ...  
გერძისმე ბურძგლა ყოველ წუთში მახსენებს, პროვინციაში გასაჩერებე-  
ლი ქალი არ არის თინა წილოსანიო. როცა ვუთხარი, შენს საქმეს მიხედე,  
ისა სჯობია-მეთქი, უკან არ დაუხერა, ჩემი საქმე თქვენზეა დამოკიდე-  
ბული, პატივუმულო გარღამოვიჩ.

სალამოს კაფე „სიხარულში“ ვნახე, იცოდა, ნამდვილად იქ რომ ვიქ-  
ნებიდი, მაგრამ მაინც გაიკვირვა, კაცი კაცს სად არ შეხვდებაო და მო-  
წიწებით მიმიპატიუა.

— ხელს ხომ არ შეგიშლით? — ვკითხე მე.

— თქვენისთანა კაცი ხელს როგორ შემიშლის? — იწყინა გერასიმემ.

— იქნებ ახალგაზრდობას იხსენებთ და...

— რალა დროს ჩემი ახალგაზრდობაა, ვარღამოვიჩ, — გერასიმემ  
ოფიციანტ ქალს „გრემი“ მოატანინა და დამისხა.

— გაგვიმარჯოს, ვარღამოვიჩ!

— გაგვიმარჯოს! — ვთქვი მე და ოფიციანტზე მივუთითე, — რას  
იტყვი, გერასიმე, ხომ ლამაზი ქალია!

— ისე რა... — ეტყობოდა, სხვა თემაზე სურდა ლაპარაკი, — თქვენ  
როგორ ბრძანდებით, ხომ კარგად, ხომ ჯანმრთელად?

— არა მიშავს, მაგრამ ფული ჭერ კიდევ არ მიმიღია-მეთქი, — შევა-  
სენ.

შეწუხდა, მაგი არ გეთქვა და მოგეკალიო.

— დილით ფოსტა რომელ საათზე იღება? — ვკითხე მე.

— ფოსტა რად გინდათ, ფულს მე გასესხებთ. — გაბედა გერასიმემ.

— ხვალ ნამდვილად ჩამოვა...

გერასიმებ გულის ჭიბიდან ფული ამოიღო.

— ორასი მანეთია აქ... დროებით, რასაკვირველია.

თუმნიანების ორი შეკვრა იყო, დათველა აღარ დამიწყია.

— მაშასადამე, დროებით... ჭერ ივნისია.

— აგვისტოზე თბილისში მოვილაპარაკოთ, ვარლამოვიჩ.

— ისე, ბიჭი რას შვება, ხომ ემზადება?

— ტვინი უსკდება პირდაპირ!.. მტრის ჭინაზე მინდა დიპლომი ჰქონდეს, თორემ მავი რომ კაცად არ ვარგა, კი ვიცი მე.

— შესანიშნავი სალამოა, არა? — სხვა თემაზე გადავიტანე სუბარი.

— გადასარევი! თქვენ, ალბათ, საქმეზე ხართ გამოსული.

— რა საქმეზე?

— ლამაზებში უნდა გაერთოთ; მეც მაგს შეცწირე ჩემი ახალგაზრდობა, — გერასიმებ მელოტ თავზე ხელი გადაისვა, — კარგად იყავით, ვარლამოვიჩ.

— ნახვამდის.

მართლაც გადასარევი სალამო იდგა, ასეთ ამინდში ლამაზებში ყოფნაც არ იქნებოდა ურიგო. ოფიციანტს დაუუძახე, ღიმილით მომიახლოვდა.

— რა გნებავთ?

თქვენთან ყოფნა-მეთქი, — პირდაპირ ვუთხარი.

— კონიაქსაც ხომ არ დააყოლებთ? — ისევ ილიმებოდა ოფიციანტი.

— გთავაზობთ კინოში წასკლას.

— სიმოვნებით... ოლონდ ჩემს მაგივრად ბუფეტში თქვენ ივაჭრეთ. აღარ მოვეშვი.

— სამუშაოს რომ დაამთავრებთ, საცეკვაოდ წავიდეთ.

— როგორ გეტყობათ, ჩამოსული რომ ხართ.

— მაინც რაში მეტყობა?

— ერთბაშად, აპირებთ ყველაფრის გაკეთებას, — ამიხსნა ქალშა.

— ჲო თუ არა?

— მგონი გემლებათ! — ოფიციანტი უკვე აღარ ილიმებოდა.

— თუ გნებავთ, უმალლესში მოგაწყობთ.

— მეორე კურსზე ესწავლობ დაუსწრებლად.

— მაშინ თქვენი ნათესავებიდან ვინმეს...

— ქმარი მყავს უდიპლომო.

— ესე იგი, უარი?

ქალმა მირჩია, სხვა მონახეთო, იდეისათვის მაღლობა გადავუხადე და ბუფეტში ტელეფონთან მივედი.

— შეიძლება დარეკვა? ახლა არ მითხრათ, გაფუჭებულიაო.

— ინებეთ.

— შემთხვევით ტელეფონების წიგნი ხომ არ გექნებათ?



— ტელეფონების წიგნიც გვაქვს.

ძებნა ღიდხანს არ დამჭირვებია.

— თინიკო, გამარჯობა!.. არა, გოდერძი არა ვარ... ვალიკო შროშანულებულაპარაკებათ... გოდერძის რა უნდა მოსვლოდა... ჰო, ვალიკო ვაო-შეთქი, ძალიან მინდა თქვენი ნახვა... უარი არ გამავრნოთ, კაფე „სიხარულში“ გელოდებით, აუცილებელი საქმე მაქვს... იცოდეთ, დილამდე დაგელოდებით.

მაგიდასთან დავბრუნდი თუ არა, კაფეში უუჟუნა მახათაძე შემოვადა, ელდა მეცა, მაგრამ რას ვიზამდი.

— ვის ეძებთ, ქალბატონო უუჟუნა?

— შენ გეძებ, ნენა, — არ დაუმალავს უუჟუნას.

სხვა რა გზა იყო, ავანსად იმედი უნდა გამეცა.

— ნუ გეშინიათ, თქვენი ცისანა უმაღლესში ნამდვილად მოეწყობა.

— შენ პირს შაქარი და გოზინაყი, შვილო!.. — შემეცითხა ახლა, აქ რამ მოგიყვანაო?

არ ვიცი, რამ მომიყვანა-მეთქი, — დავაპირე თქმა, მაგრამ უუჟუნამ დამასწრო.

— თურმე ფულის გამოგზავნა დაუგვიანებიათ თქვენთვის...

შორს დავიჭირე, მაგი არ გამავრნო-მეთქი.

— შენ არ გამავრნო მაგი! — ხმას იუწია უუჟუნამ, — რავა ახლა, გერასიმეს ფული თუ ფულობს, ჩემსას ნომერი არა აქვს თუ რაშია საქმე!

— როგორ გეკადრებათ!

— ასი მანეთია აქ... მე ქვრივი ვარ და გერასიმეს ვერ შევეღრები, მარა სირცხვილს, იცოდე, არ ვჭამ... დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ.

— სირცხვილში მაყენებთ პირდაპირ!

— წავედი, ალარ შეგაწუხებ მეტს.

შვებით ამოვისუნთქე. სწორედ დროზე წავიდა, ორიოდე წუთში თინა წილოსანიც გამოჩნდა და შორიდან მომაძახა, შვეიდობა ხომააო.

— მშვიდობა და კარგად ყოფნა, პატივცემულო თინიკო, — შევეგბე მე, — გთხოვთ დაბრძანდეთ.

ქალს ვარდისფერი ზოლიანი კაბა ეცვა, ძალზე უხდებოდა.

— შემეშინდა ტელეფონზე რომ დამირეკეთ, — თქვა შეწუხებულმა.

ოფიციანტს სუფრა გამოვაცვლევინე და როცა წავიდა, თინას ვკითხე, პირველად ხომ არ დაურეკიათ თქვენთვის ტელეფონზე-მეთქი.

— მაგას სახლიდანაც გიპასუხებდით, აქ მოსვლა საჭირო არ იყო, — ცივად მითხრა მან.

არ დავეთანხმე.

— ნამდვილად იყო საჭირო, ასეთ საღამოს სახლში ჭდომა დანაშაუტი.

ლია.

— სულ ეს არის? — გაუკვირდა თინიკოს.

— ცოტა კონიაკი მოსვით.

— დასანახვად ვერ ვიტან.

— თბილისელ ქალიშვილებს კი ძალიან უყვართ...

— მე ხომ პროვინციელი ვარ.

— ლამაზი პროვინციელი, — შევუსწორე მე.

— გეტყობათ, ზომაზე მეტი დაგილევიათ.

— გეშლებათ, მთვრალი როდი ვარ, მე...

თინა წამოდგა.

— თქვენ, გოდერძის მეგობარი ხართ!

მეც ავდევი.

— დიახ, მის სახლში ვცხოვრობ... სხვა რა გაინტერესებთ?

— სხვა არაფერი. — ქალი გასასვლელისაკენ გაემართა.

ფული გადავიხადე და თინიკოს დავეწიე, ასეთ საღამოს ასეთ ქალთან გავლა კაცს პოეტურად განაწყობდა და მეც სტუდენტობაში ნასწავლი ლექსები გავიტანებ, თინიკო არაფერს ამბობდა, მხოლოდ ზღვას გაჰყურებდა. ზღვაზე კი ბინდი წვებოდა. ჩამავალი მზე მაგნოლიების კენწეროებს ეალერსებოდა, სანაპიროს ხეივანში წითელი ვარდები ენთო და მილიციელის ჯიხურთან ბოშა ქალები ფერად ბუშტებს ყიდლნენ. ბაღში ჰენსიონერების ორკესტრი „ჩემო ტკბილო მეგობაროს“ უკრავდა. მოელი ქობლიანი სასეირნოდ გამოსულიყო.

### პროვინციის წვიმა

ივნისის იმ ჩვეულებრივ დღეს, როდესაც ქობლიანელებმა ერთად მიმავალი თინა წილოსანი და ვალიკო სოხაძე დაინახეს, მსოფლიოში ბევრი ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა: გაფიცვები, მკვლელობები, კატასტროფები, საფეხბურთო ასპარეზობები, ფინანსური რევიზიები და ვინ იცის, კიდევ რა! ტრადიციის მიხედვით, ეს მოვლენები ქობლიანელთა მხრივ სათანადო ანალიზსა და განზოგადებას მოითხოვდა, მაგრამ თინა წილოსანისა და ვალიკო სოხაძის ამბავმა ყველა ჭორი დაჩრდილა და დილით მთელი ქალაქი მხოლოდ ერთს ლაპარაკობდა, ჩვენი ლამაზი მასწავლებელი თბილისელ სტუმარზე თხოვდებაო. ზოგს წყინდა, აქედან გასაშვები ქალი არ იყო, სხვები ნიშანს უგებდნენ, გოდერძი ლობეანიძემ ვერ ივარგა და ჩვენი რა ბრალიაო, ერთი პატარა ჭგუფი იმსაც ამტკიცებდა, ქალი რომ სიმდიდრეს დაეხარბება, მისი არც სილამაზე ვარგა და არც სიტყვა-პასუხიო.

აზრთა სხვადასხვაობის მიუხელავად, სამივე ჭგუფს საერთო საჯიშ-  
რებელი აწუხებდა: თინას დაკარგვას გოდერძი როგორ გადაიტანა,  
სახლში რომ ტელეფონი ჰქონდა, ცხადია, მთელ ღამეს არ უშედგენ და  
დნენ, ამიტომ ბევრმა ქობლიანელმა გერასიმე ბურძღლასავით ის ღამე  
უძილოთ გაათენა და ერთი სული ჰქონდა, მეორე დღეს რა მოხდებოდა.

გოდერძი ლობეანიძეს, რასაკვირველია, წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ  
რას უმშადებდა ბედისწერა. სახლიდანც არც თუ ისე ცუდ გუნებაზე გა-  
მოვიდა, მაგრამ გერასიმემ რომ მოწიწებული სალამი მიუძღვნა და ჯანმ-  
რთელობის ამბავიც გამოყითხა, იმ წუთში ეჭვმა გაკრა, რალაც სასიკეთო  
არ უნდა მჰირდესო. ეს ეჭვი მაშინ გაუძლიერდა, როდესაც ვარდენა გუ-  
რგენიძის ფარდულში პაპიროსის საყიდლად შევიდა და გამყიდველი და-  
ინტერესდა, გულის ტკივილს ხომ არ უჩივიო. გოდერძიმ მიუგო, უფუ-  
ლობის გარდა ჭერებობით არაფერს ვუჩივიო.

გარეთ რომ გამოვიდა, ძველებურად ინატრა, ნეტავ თინა წილოსანი  
დამეგზავროსო, მაგრამ რას დაემგზავრებოდა, როცა გაბუტულები იყვ-  
ნენ და ერთმანეთს სათოფედ არ ეკარებოდნენ. სრულიად მოულოდნელად  
თინას მაგივრად უუეუნა მახათაძე ამოუდგა მხარში და გოდერძის საბო-  
ლოოდ გაუფუჭდა ხასიათი, დამიწებს ახლა თავისი ქალიშვილის ამბავს,  
მოეწყობა თუ არ მოეწყობა უმაღლესშიო! თავისი ქალიშვილის ნაცვლად  
უუეუნამ თინა წილოსანზე ჰკითხა, ამ დილით ხომ არ გინახავსო, გოდერ-  
ძის საშინლად გაუკირდა, ამ დილით სად ვნახავდიო. უუეუნამ თანაგრ-  
ძნიბით შეხედა, კარგი აბა, შენთან საქმე მჰონდა, მაგრამ სალამოს გნახავ  
და მაშინ გეტყვიო.

შეშოოთებულმა გოდერძიმი ირწმუნა, რალაც უბედურებაა ჩემს თა-  
ვზე, იქნებ ბებია მოკვდა და იმას მიმალავენო, მაგრამ თუ აღათი მოკვ-  
და, თინა წილოსანი რა შუაშია, ცუდი ხომ არ შეემთხვაო. ასეთი ეჭვებით  
აფორიაქებული გაზეთის კიოსქს მიადგა და წინა დღის „სპორტი“ მოით-  
ხვა. ის იყო, ფეხბურთის ანგარიშის კითხვა დაიწყო, რომ გამყიდველ-  
მა ქალმა ხურდას უწყინარი შეკითხვაც მოაყოლა, მართალია მაგი, თინა  
წილოსანი თბილისში თხოვდება?

გოდერძიმ პირველად იფიქრა მომეყურაო, მერე თავი სიხმარშიც  
ეგონა, მაგრამ, როდესაც თვალშინ ლამპიონის ბოძები დაუტრიალდა, მიხ-  
ვდა, რომ ყველაფერი ცხადი იყო და თავზე უბედურება დატყვომოდა. შე-  
შინებული გამყიდველი თაებედს იწყევლიდა, ჩემს კიოსკთან რომ გული  
გაუსკდეს, პრემიას ვერ მივიღებ და შეიძლება სამსახურიც დავკარგოო.

თითქოს პანაშვიდი ყოფილიყოს, ქუჩაში მიმავალი ცნობისმოყვარე  
ხალხი გოდერძისთან ჩერდებოდა და თანაგრძნიბით ხელს ართმევდა, ხე-  
ლის ჩამორთმევასთან ერთად ზოგიერთი ჰკუასაც არიგებდა, შოთა რუს-  
თაველი ამბობს, ჭირია შიგან გამაგრება, ისე უნდა ვით ქვითკირსაო.

სხვა რა გზა იყო, გოდერძი გამაგრდა და სკოლაში მისვლაც მოახდენა. მეგობრები ვითომ დარდს უშმუბუქებდნენ, აბა რა შენი ღირსი იყო თინა. წილოსანიო. ერთმა დაუდგენელი ასაკის მანდილოსანმა პატივით შეასრულოდ გაანდო, სხვასაც მოსწონხარ და ჭობია იმას მიხედეო. გოდერძის სიტყვები კი ესმოდა, მაგრამ მათ შინაარსს ვერ გებულობდა, ამ სიკეთესთან ერთად თავბრუც ესხმოდა და პირიც უშრებოდა. ასეთ მდგომარეობაში, ცხადია, გამოცდაზე არ შეუშვებდნენ, დირექტორმა უთხრა, სახლში წადი, ფეხი დაითბილე, ცხელი ჩაი დალიე და ლოგინში ჩაწექიო.

სახლში მიმავალი გოდერძი ღმერთს მაინც მადლობას წირავდა, კიდევ კარგი, სკოლაში თინა წილოსანი არ შემახვედრეო, მაგრამ განსაცდელი თურმე წინ ელოდა. მოსახვევში, ვანიჩქა თარგამაძის საკუპატესთან, პატარძალივით გამოწყობილი თინიკო შემოხვდა და ვითომც არაფერი მომხდარიყოს, ისე მიესალმა, კი მემდური, მაგრამ გამარჯობა პირველმა მაინც მე უნდა გითხრაო.

ტრადიციული შედარება რომ ვიხმაროთ, გოდერძი ბრინჯივით დაბნა და როგორ მოქცეულიყო, ალარ იცოდა.

— რატომ არაფერს მეუბნები? — ღიმილით ჰკითხა თინიკომ (იმას თუ კიდევ გალიმება უნდოდა!).

— რა უნდა გითხრა! — მხრები აიჩეჩა გოდერძიმ.

— არ იცი, ხომ?

ამ „ხომ“ გააფუჭა ყველაფერი და ისედაც გადარეული კაცი საბოლოოდ გადარია.

— არა, ბატონო, წარმოდგენაც არა მაქვს!

თინიკომ რატომდაც ცაში აიხედა, სადაც შავი ღრუბლები მზის დასაფარავად მიიჩქაროდნენ. მერე გოდერძის შეხედა.

— წვიმას აპირებს... ჴო, მაჩთლა, რატომ მიყვირი?

— რა ვქნა, აბა, ვიმღერო?

— რატომაც არა, — გაიცინა თინიკომ, — როგორ იცი შენ?

ჩემს ეზოში წვიმა მოდის,

შენს ეზოში დარიამ.

გოდერძიმ თავს ძალა დაატანა, ახლა რაც შეიძლება შენარად უნდა ვიყოო.

— გთხოვთ, დაცინვას ადგილი ნუ ექნება!

— ამ დილით სად მოასწარი დალევა? — გაუკვირდა ქალს.

გოდერძის ტონი არ შეუცვლია.

— ხუმრობის დრო ახლა არ არის, მე სერიოზულად გელაბარაკებით!

— მეც სერიოზულად გისმენთ, — თინიკომ მთელი ქუჩის დასანახად ხელი გაუყარა, — იქნებ სიყვარული გინდათ ამიხსნათ?

ან ეს „პოდრუჩიი“ რა იყო, ან ასეთი სიტყვები, მაგრამ გვიდებოდა  
უკან აღარ დაუხევია.

ინორენცია  
გიგლიორი

— ჩემგან კიდევ ელი სიყვარულის ახსნას?

— დავილალე, იმდენი მალოდინე, — ჩუმად თქვა ქალმა და თვალე-  
ბში შეხედა.

გოდერძიმ იფიქრი, ახლა ნამდვილად წავიქცევიო, მაგრამ პასუხის  
გაცემა მაინც მოახერხა.

— და სხვა მოძებნე, არა?

— ვინ სხვა?

— კარგად იცი!..

თინიკომ ხელი შეუშვა.

— მაინც ვინ მოვძებნე?

— აი ის...

— ვალიკ სოხაძეზე ხომ არ ლაპარაკობ?

— დიახ, იმაზე, — თავი დაუქნია გოდერძიმ.

— შენს მეგობარზე?

— ჩემს მეგობარზე... რომელ მეგობარზე?... ჰო, ჩემს სტუმარზე.

— ენის მოტანა უკვე მოუსწრიათ!

— ხალხს არაფერი დაემალება! — ისე თქვა გოდერძიმ, თითქოს  
ამ ხალხის ბელადი ყოფილიყო.

— იქნებ უსახელო წერილიც მიიღე? — დაინტერესდა თინა.

— რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი ხომ ფაქტია... ხალხი ყველაფერს  
ხედავს.

აქ მათი გზები იყრებოდა, თინა მარჯვნივ უნდა წასულიყო, გოდერ-  
ძი — მარცხნივ. ავტომატის ჭიბურთან შეჩერდნენ. ძველად, სანამ მათ  
შორის შავი კატა გაირბენდა, გოდერძი ამ ჭიბურიდან ურევავდა თინა  
წილოსანს.

— ხალხი იმასაც ხედავს, — გოდერძის აზრი გააგრძელა თინიკომ,

— რომ ახლა შენთან ვარ, ხშირად დავდივარ... ძალიან ხშირადაც.

— მერე?

— რას იტყვის ხალხი!

გოდერძი წინააღმდეგობაში ჩავარდა.

— განა ესაა მთავარი?

— მთავარი ხომ ფაქტია, — წყნარად თქვა თინამ.

— თურმე რესტორანში ერთად ყოფილხართ, — ვიღაცას ნათქვამი  
გაიხსენა გოდერძიმ.

თინას არ უარია.

— დამირეკა, ვიფიქრე, რაღაც მოხდა-მეთქი და მივეღი... მერე სახ-  
ლამდე მიმაცილა.

— სხვა, სხვა არაფერი?

— ერთხელ კინოში წასვლაც შემომთავაზა... შენ რა, დაკითხვას მი-  
წყობ? ხომ შემეძლო შენს მეგობართან ერთად წავსულიყავი, უფრო უძველესი  
დანაშაულია? მთავარი ხომ ფაქტია...

გოდერძიმ წარმოიდგინა, როგორ მისეირნობდნენ ქობლიანის ცენტ-  
რალურ ქუჩაზე თინა და ვალიკო, და გული გადაუტრიალდა.

— ალბათ ისიც გითხრა, თბილისში რომ ხუთოთახიანი ბინა აქვს, მა-  
ნქანის ყიდვასაც აპირებს... და რომ დედაქალაქში ყოფნა პროვინციაში  
ცხოვრებას ჯობია... თქვი, ნუ გეშინია, ახლა ხომ ვალიკოსთანა ხალხის  
ღრაო, ჩემისთანები მოდაში არ არიან.

თინიკო ყურადღებით უსმენდა და როცა გოდერძიმ სიტყვა დამ-  
თვრა, ჰკითხა:

— აბა, თუ გამოიცნობ, კიდევ რას მეტყოდა?

— გეტყოდა, რომ მე შენზე უიღბლოდ შეყვარებული პროვინციე-  
ლი მასწავლებელი ვარ, გოდერძიმ ლობენიძე, ვასოყი, კრასივი...

— შენ სულელი ხა! — თინიკომ ზურგი შეაქცია.

— სად მიდიხარ? — ისე შეეკითხა გოდერძიმ, თითქოს აქამდე ერთ  
სახლში ცხოვრობდნენ და მხოლოდ ახლა ცილდებოდნენ ერთმანეთს.

— შენ გაინტერესებს?

— ტელეფონზე ხომ არ უნდა დაგირეკონ?

— არა, პირდაპირ პაემანზე მივდივარ! — უთხრა თინიკომ და სწრა-  
ფად გაშორდა. გოდერძიმის ისლა დარჩენოდა, მიბრძანდიო, ეთქვა.

ხომ ცუდი დღე გაუთენდა გოდერძიმი ლობენიძეს, მაგრამ გრძნობ-  
და, რომ დაღამებამდე რაღაც უარესი უნდა მომხდარიყო, ჯერჯერობით  
კი ცაში მეხი გავარდა და კოყისპირული წვიმა წამოვიდა. გოდერძიმ სა-  
ხლში მისვლა ძლივს მოასწრო. თინა წილოსანი კი ცოტა შორს ცხოვრო-  
ბდა და გალუმშვას ვერ გადარჩებოდა, არ გამიცივდეს, გოდერძიმის უკვე  
მისი დარღი აღარ აწუხებდა, ლოგიზმზე წამოწოლილი მხოლოდ თავის  
უბედურებაზე ფიქრობდა, ისეთ ხსიათზე იყო, სიკეთებულისაც ნატრობდა,  
ნეტავ მეხი დამეცეს და დამასცენოს. მეხი კი იმ დღეს ქობლიანში ჩა-  
მოვარდნას არ აპირებდა, მარტო გრუხუნებდა ცაზე და ამ გრუხუნში  
გოდერძიმი ლობენიძეს კიდევაც ჩაეძინა.

კაეუნმა გამოაღვიძა. როდესაც თვალი გაახილა, კარებში გაჩერებუ-  
ლი უუკუნა მახათაძე დაინახა, თუ შეიძლება შემოსვლაო, იკითხა.

— რა ბრძანეთ? — კარგად ვერ გაიგონა გოდერძიმი.

— რა ვბრძანე და სახლში თუ შემომიშობ-მეთქი. — ეწყინა ჟუჟუ-  
ნას. მაგრამ გოდერძიმის წამოწითლებულ თვალებს რომ შეხედა, სიტყვა  
შეარბილა, — შენ ავად ხომ არა ხარ?

-- კი, ცოტა თავი მტკივა, — უთხრა გოდერძიმ.

- ნუ გეშინია, მცდას კაცი არ მოუკლავს, — დაამშვილა უშუალესი...  
რას გაჩუმებულხარ, დავჭდე ამ სკამზე?
- ბოდიში... დაბრძანით, რასაკვირველია.
- არ იყოთხვა ახლა, ამ შვიმაში რამ მომიყვანა?
- გოდერძიმ გაიფიქრა, ნამდვილად თინიკოშე დამიწყებს ლაპარაკსოდა უსიამოვნოდ შეიჭმულნა. უშუალესი აუხსნა, ვალიკო სოხაძის ნახვა მიღდა.
- ვალიკო სახლში არ არის, — უთხრა გოდერძიმ და თვითონაც გა-  
უკვირდა, სტუმარი რომ ამდენ ხანს არ დაბრუნებულიყო.
- მაგას კი ვხელავ უშენოლ... მალე მოვა, თუ იცი?
- ვერ გეტყვით.
- მე რას მიჯავრდები, შვილო, დაგიშავე, რამე?
- ბოდიში... ხომ გითხარით, თავი მტკიცა-მეთქი.
- უშუალესი წამოდგა.
- გეტყობა, გეტყობა!
- ვალიკოსთან რა გნებავდათ, ქალბატონო უშუალესი?
- რა უნდა მნებავდეს ჩემი ცისანას შემხედვარეს, უმაღლესის ამ-  
ბავი უნდა მეკითხა.
- მაინც რა? — დაინტერესდა გოდერძი.
- რა და, უმაღლესში რკინა ცდის ახლა ბალნებსო, მართალია მაგი-  
თუ ტყუილად გულს მიხეთქავენ?
- გოდერძიმ დაუდასტურა, სიმართლეს შეეფერება, ზოგიერთ გამო-  
ცდას კიბერნეტიკული მანქანა იბარებსო.
- როგორი მანქანა? — ვერ მიხვდა უშუალესი.
- კიბერნეტიკული... როგორ აგიხსნათ ახლა...
- რკინისაა ხომი?
- დაახლოებით.
- კაცის არაფერი ურევია შიგ?
- თქვენ წარმოიდგინეთ, გულიც რგინისა აქვს.
- უშუალესი მოტირალე ქალივით სახეზე ხელი ჩამოისვა, მაგრამ არ ჩა-  
მოუკარგავს.
- დაქცეულა ჩემი ოჯახი და ისაა! კი ამბობდა გერასიმე, მეცნიერე-  
ბი დალუპავენ ქვეყანასო... ჭერ ატომის ბომბი გამოიგონეს, მერე ეს რკი-  
ნის მანქანა თუ რაღაც უბედურებაა!
- გოდერძიმ დამშვიდება სცადა.
- კიბერნეტიკული მანქანა ყველა გამომცდელზე ობიექტურია, არა  
ნათესავი ჰყავს და არც ქრთამს ღებულობს.
- უშუალესი მოტირალე შორს დაიჭირა.
- მაგი გვერავს მასწავლებელ კაცს? მანქანა გამოცდებს ჩაიბარებს

კი არა, მოედანზე რომ დაგვიდგეს, ხუთ კაპიკად სიროპიან შეყალს



ლევინებსო, იმან არ ქნა სიკეთე!

— გამომტელი მანქანა უშეცლომოდ მუშაობს. — თავისი სულიერი მუსიკა  
ლილა გოდერძი.

— იმდენი რა ცუთხრა მაგის გამკეთებელს! ვთქვათ შეცდა და ხუთის  
მაგიერ ათხი დაუწერა, სად წავიდე მერე, ვისთან ვუჩივლო?

ამდენი ლაპარაკის თავი გოდერძის სად ჰქონდა, მაგრამ ცდილობდა  
არ გაბრაზებულიყო.

— თქვენ ტყუილად გეშინიათ, ქალბატონო უუფუნა, ცისანა უსათუ-  
ოდ მოეწყობა უმაღლესში.

— გამახარე, ნენა, გამახარე... მაგის ვალიკოც მეუბნება, გამოცდებს  
ხუთებზე ჩაბარებსო.

— მაინც რატომაა ვალიკო ასე დარწმუნებული? — დაინტერესდა  
გოდერძი.

უუფუნამ გაიცინა.

— იცის, ალბათ.

— რა იცის?

— კარგი ახლა, ჩემთან რად გინდა ასეთი ლაპარაკი, ყველაფერში  
შეთანხმებული ვართ.

— მაშ, შეთამხმდით, არა?

— ასპროცენტიანი პირობა არ უთქვაშს, მაგრამ კაი იმედი მოგვცა  
მე და გერასიმეს... მაგას რომ ნაცნობები ჰყავს, თურმე, უმაღლესში...  
მაცალე, მაცალე, უფრო მეტს გეტყვი, შენთან დასამალი რა მაქვს, ძმე-  
ბივით ყოფილხართ ერთმანეთში... ჰოდა, ფულის გამოგზავნა დაუგვიანეს  
თბილისიდან და ასი მანეთი მივეცი, ცოტა გაიპატიუა, მაგრამ, როცა გექ-  
ნება დამიბრუნე-მეთქი, დავაჭრე.

გოდერძიმ თავი ვეღარ შეივავა.

— მაშასადამე, ასი მანეთი მიეცით!

— კი მივეცი, მაგრამ უკან რავა გამოვართმევ.

— რატომ მაინც, ქალბატონო უუფუნა?

— ხომ გითხარი, შეთანხმებული ვართ-მეთქი. — უუფუნას ეწყინა, ეს  
რა მიუხვედრელი ყოფილაო, — ასი მანეთი წინასწარ, დანარჩენი საქმეს  
რომ გაკეთებს, მერე იქნება... ოჯახიც რომ გავყიდო, თავს რავა შევი-  
რცვენ!

— მაგაზე მეტი თავის შერცხვენა სხვა რა უნდა იყოს! — გოდერძი  
უვე კვიროდა, მაგრამ მაღალ ნოტებში უუფუნას რას აჯობებდა.

— მთვარიდან ჩამოსულივით რომ მელაპარაკები, არ იცი შენ, უფუ-  
ლოდ რომ ასეთი საქმეები არ კეთდება?

— კინ თქვა, ტყუილია მაგი!



უუუუნამ ერთი სინანულით შეხედა და უცებ მოეშვა.

— კაი აბა, მაგაზე რავა დაგიწყებ ჩხუბს.

გოდერძიმ კოსტუმის ჯიბიდან ივნისის ხელფასი ამოიღო მისამართისა

— ერთი წუთით, ქალბატონი უუუუნა, სწორედ ამ დილით მოიტანა ფოსტალიონმა ვალიკოს ფული... კარგად დათვალეთ, ასი მანეთი უნდა იყოს.

უუუუნამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ამხელა ქალი შენ რავა უნდა მომატყუოო, მაგრამ გოდერძიმ ძალით შეაჩერა ფული ხელში და ასევე ძალით გაიყვანა გარეთ. უუუუნა მიხვდა, ახლა გადარეულია და მაგასთან ლაპარაკი ზედმეტიაო. წასვლისას დაარიგა დროზე დაწექი, თორემ სიც-ცხე აგიშევსო.

გარეთ ისევ კოკისპირულად წვიმდა, ჭექა-ქუხილი აყრუებდა ყველა-ფერს. აღელვებული გოდერძიმი კი თავს იმაზე იმტვრევდა, მეგობრობა და პატიოსნება თუ არსებობს ქვეყანაზეო. ყურადღის ისევ უუუუნა მახათა-ძის სიტყვები ესმოდა, უფულოდ საქმე არ გაეტდებაო... გერასიმე რომ ამბობდეს არ გაემტყუნება, მაგრამ უუუუნას ვინ ჩააგონა!.. ვალიკო სოხა-ძეა ყველაფერში დამნაშავე, ჩამოსვლისთანავე ეჭვობდა, მაგრამ დაჯერე-ბა არ უნდოდა... მეგობრობა და პატიოსნება თუ არ არსებობს, იქნებ არც სიყვარული არსებობს? — ეჭვი შეეპარა გოდერძის და იმ წამსვე თინა წილისანი წარმოიღინა, ზის ახლა თავისთვის და ფანჯარაში წვიმის გაჰ-ყურებს, აბა გოდერძი ლობეანიძეზე ხომ არ იფიქრებს!

ოთახში ვალიკო შემოსულიყო და უხმოდ მისჩერებოდა აფორიაქე-ბულ მასპინძელს. გოდერძი პირისპირ დაუდგა და აღელვებულმა ჰკითხა.

— როგორ ფიქრობ, ქვეყნად მეგობრობა არსებობს?

ვალიკომ საწიგმარი მოიხადა.

— საღამო მშვიდობისა, გოდერძი მასწავლებელო, ყველა, ყველა და ამეღლამ ვახშმად რა გვაქვს?

უუუუნა რომ ყოფილიყო, ეტყოდა, შავი ქვაო, მაგრამ გოდერძიმ კი-თხვა გაუმეორა, მეგობრობა თუ არსებობსო.

— არსებობს, — თავი დაუქნია ვალიკომ.

— პატიოსნება?

— შენ წარმოიღინე, სიყვარულიც არსებობს.

— საღ, წიგნებში?

ვალიკო მშვიდად უსმენდა.

— რატომ მიყვირი?

— რატომ და... — გოდერძი დაიბნა, — რა ვიცი, ხმა მაქვს დღეს ასე-თი.

ვალიკო არ მოეშვა.

— მითხარი, რა მოგივიდა... გესმის, უნდა მითხრა!

— გეტყვი, თუ ასე გინდა, — თინა წილოსანთან ერთად რესტორანში იყავი?

— სულ ეს არის? — გაიკვირვა ვალიკომ, — კი ვიყავი.

— მერე?

— მერე კინოში წასელა შევთავაზე, მაგრამ უარი მითხრა... საბლამ-დე მივაცილე და მთელმა პროვინციამ დაგვინახა.

— მთელმა ქობლიანმა დაგინახათ!

— მე ვთქვი, მთელმა პროვინციამ-მეთქი... სხვა შეკითხვები ხომ არ გექნებათ?

— მექნება... უუჟუნას ფული გამოართვი?

— გერასიმესაც გამოვართვი... სამასი მანეთი ორივეს, სალაპარაკოდ არ ღირს, თუ ვერ მოვაწყვე, უკანვე დაუბრუნებ.

— გერასიმეზე ახია, მაგრამ უუჟუნა ცოდვაა, შვილი გაჭირვებაში გამოზარდა.

— ვერ მწარე ჭამე, კვლავ ტქბილი, თუ ეძებ გემოვნებასა. — გურა-მიშვილი დაიმოწმა ვალიკომ.

— გაჭირვებულია-მეთქი, გეუბნები!

— თუ შვილს უმაღლესში აწყობ, ცოტა უნდა გაიჭირვო.

— ესე იგი, შენ უნდა მოუწყო, არა?

გოდერძი რაც უფრო ხმას უწევდა, ვალიკო მით უფრო წყნარად ლა-პარაკობდა.

— დაგეხმარები-მეთქი, კი ვუთხარი, მაგრამ მტკიცე პირობა არ მი-მიცია, ენახოთ, ღმერთია მოწყალე.

— შენ... შენ! — აღელვებულმა გოდერძიმ მეტის თქმა ვეღარ მოახერხა.

— მე არამზადა ვარ, ხომ? თქვი, ნუ გრცხვენია, პატიოსანო კაცო!

— „პატიოსან კაცს“ ვალიკომ ხაზი გაუსვა.

გოდერძი ზურგშექცევით იდგა და არაფერს ამბობდა, რომ მობრუნდა, ვალიკო ჩემოდანმი ტანსაცმელს აწყობდა.

— საღ მიღიხარ? — გაუკვირდა გოდერძის.

— რიო-დე-ეანეროში... — ვალიკომ ჩემოდანი დახურა, — არაფერი მითხრა. გამოსათხოვარი სცენები ჭირივით მეგავრება... კარგად მომისმინე, ქვეყნად ყველაფერი არსებობს, სიყვარული მით უმეტეს... თინა წილოსანი შესანიშნავი ვოგოა. არ ვიცი, ასე როგორ გადარიე... დამთავ-რდა ჩემი ალარება, ოღონდ ერთი გახსოვდეს, ანგელოზები მიწაზე არ ცხოვრობენ!

გოდერძიმ ჩემოდანს მოჰკიდა ხელი, მაგრამ ვალიკომ არ დაანება.

— ნამდვილად მიღიხარ?

— ნამდვილად.



— ამ თავსხმაში?

— როგორმე მივაღწევ სადგურამდე.

დარჩიო, ვეღარ შეეხვეწებოდა, მაგრამ თქმით მაინც უნიჭით უმუშესადაც.

— წელან მე ძალიან გაბრაზებული ვიყავი და...

ვალიკო სოხაძემ კარი გამოაღო.

— გაბრაზებაც უნდა შეგეძლოს, სხვანაირად არ შეიძლება!

ღია კარში წვიმის ხმაური უფრო მკაფიოდ ისმოდა, წვიმდა ხვავიანად, პროვინციულად. ასეთ ამინდში ვერც კი წარმოიდგენდი, ოდესმე მზე თუ გამოიხედავდა ცაზე.

### რა მოხდა შემდეგ

შემდეგ ის მოხდა, რომ უეცრად მოსული წვიმა უეცრადვე შეწყდა და პროვინციის თავზე მზე აბრალვიალდა. პატარა ქობლიანი თავის დიდ ცხოვრებას დაუბრუნდა.

ზოგიერთმა მკითხველმა შეიძლება იფიქროს, წვიმის დამთავრება და მზის გამოჩენა სიმბოლურად კარგ დასასრულს უნდა ნიშნავდეს: გოლერძი ლობეანიდე თინიკო წილოსანს შეირთავსო, დანარჩენი გმირები კი თავიანთი ვზით წავლენო, ცისანა რა თქმა უნდა, უმაღლესში წავა, ლაზარე — ჯარში, ხოლო გერასიმე ბურძგლა და ვალიკო სოხაძე — ციხეშიო.

ღმერთმა გისმინოთ, მაგრამ მე პირადად მიჭირს იმის თქმა, თუ რა მოხდება შემდეგ. ყოველ შემთხვევაში, ერთ ფაქტს წყალი არ გაუცა: მცირედი შემოკლებითა და გადაკეთებით ამ მოთხრობას აუცილებლად დამიბეჭდავენ, რადგან სხვანაირად პატიოსანი საზოგადოება ქობლიანელთა ცხოვრების ისტორიას ვერ გაიგებს და პროვინციის მზეს ვერ დაინახავს.

მზე კი, მოგეხსენებათ, პროვინციაშიც და დედაქალაქშიც თანაბრად ანათებს.

## ჩემი გასამზელი

ხევი, ხვი,  
მთა და მთები,  
აღმართები, დაღმართები.  
ქარაფები დაფატრული,  
ჩანჩქერების ტაშ-ფანდური,  
მთა-მთა, ხევ-ხევ გაფანტული,  
საყოცნი და მოსახვევი,  
სამღერი და მოსალხენი  
სახლები და მოსახლენი.

მე ამ მთებზე,  
ამ კალთებზე,  
ღამენათევ აღმართებზე  
ისევ მინდა ღამე ვტებო,  
რომ ფიქრების ხმათა უქო  
კლდიდან კლდეზე გადავჩეხო  
და ვთქვა ჩემი გასამხელი —  
ლექსი გულზე დასახლელი...  
მე არც მინდა სხვა სახელი!

---

\* \* \*

თუ დაიღალა მშობელი გზაზე,  
ალბათ ხვალ სულ სხვა გამიღებს  
ჭიშვიარს  
და დამიხატავს ცელქი გოგონა  
ნაწისქვილართან დამარხულ ჭინქას.

დაემგვანება ჩემი ოცნება  
სევდიან ქარგას მყაცრი მოთბრობის,  
დავეთანხმები კულრაჭა გოგონა,  
არ დავიჯერებ თუმცა მოთბრობილს.

ხელდახელშუა ვყარგავ რაღაცას...  
ვყარგავ მეორეს, ერთის ძიებით...  
ჰეი, ბავშვებო! ხატეთ სამყარო,  
ოცნებებით და ფანტაზიებით!

\* \* \*

ლოდზე ჩირუხი ბორგავდა,  
მთებში ჩირუხის ექო,  
ლურჯი ნისლები ეხვია  
მთებს, ხევებსა და ბექობა...  
ქარი კიოდა ხევი-ხევ,

ჭერ გადაყარა ნისლი,  
ჩამოაქროლა ამბავი,  
ჩემი, შენი და სხვისი...  
ბუნების ენა ყოფილა  
გულების შესატყვისი.

## ՅՈՒԺՐԵՑՈ ԵՅԱԼՈՆԾԵԱԾ ԳԸՆԵՑ

Ներսուն մինանյան Շեքքարան  
լուրջած ցամլուն մուշըլո,  
հաօսպնելո իսու կրցու,  
չցարս ձասტրուալեթս յանցու.  
Սպառնելս ագրիզեզեն ձալեթո, —  
միուն և ենցուտ նամծուրեթո,  
ցուլլածած ցալեթո յար-յանչիրեթս  
դու մոմացալնից ունեթո.

Բահսուլո մուսացոնց ծլած  
հոճու սպրու ենեմնս, ցանմուս,  
եմլութուն չաեսո յըրացուծա  
ծիմունուն լունու յուզել ցանտաւածս  
իցենս սազալ ցիս և ծոլուզեթս  
լուսպուկուցեթս ցորունչնեթո,  
հա ցարտուծ ցալեթո  
յար-յանչիրեթս  
լու մոմացալնից ունեթո.

## ՑԵՐԾՈՎ ՄԵԿ ԵՐՄԵ

Ցնոծլուրո քանցուտ, յանցու,  
ցուլս մեսուրցալութ ույ անտցի, —  
միշեմ բալկազեսո ցակըրա տուժուս  
և ցանչիրո նուլու ամ մուցի.

Ցայցլուստցալազ, յըրտել յուղաց  
ցամացոնց „մեռլութ մեն յըրտս“  
և ու մետցո, Շեմուզունո  
սնակուրո նուաս և եմելուս.

ნორა მოდებეძე

# ს დ გ ა ი ს ხ ი

1.

ანდრომ ფარდა გასწია, ქუჩაში ჩამიჩუმი არ ისმოდა, დილის სიწყნა-  
რეს ქარი თუ შეარხევდა ხოლმე. ცოტა ხნის შემდეგ მსუბუქმა მანქანამ  
ჩაიქროლა. მერე გაღმა, სახლის ეზოდან ბაჟშემა გამოირბინა, ხელში მაწ-  
ვნის ცარიელი ქილები ეჭირა, აქეთ-იქით გაიხედა და კუთხეში, მაღაზიი-  
სკენ გაიქცა. ანდრომ ცალი ფანჯარა მოხურა. ცოლს ჭერ ისევ ეძინა. სა-  
წოლებს ფეხაკერეფით აუარა გვერდი და დერეფანში გავიდა.

რვა საათი სრულდებოდა.

ანდრომ ხელ-პირი დაიბანა. სველი თმა კოსტად გადაივარცხნა, სარგე-  
ში ულვაშებზე ხელი დაისვა, შეხედ-შემოხედა ორეულს და სააბაზანოდან  
გვიდა. ბიჭი ამდგარიყო, ტრუსის ამარა გამოსულიყო დერეფანში და  
ნამძინარევ თვალებს იფშვნეტდა.

— გოგი, რა დროა ახლა?! — ღიმილნარევი სიმკაცრით ჰქითხა მან.

ბიჭმა ტუჩები აიბზუა, თვალში საჩვენებელი თითი ამოისვა და ტან-  
ში გატყდა. თვად გრძნობდა, ადგომა შეაგვიანდა.

— იჩქარე! — უთხრა მამამ და ოთახში შევიდა.

ბიჭი დილით მამასთან ერთად ვარჯიშობდა ხოლმე. ახლა ძილი აჟყ-  
ვა და ვარჯიშის თავი არ ჰქონდა. ოთახის კარებს მიაყურადა, — მამის  
ხმა არ ისმოდა და სააბაზანოში შევიდა.

ანდრომ კოსტუმის შარვალი და თერთრი პერანგი ჩაიცვა.

— დღეს რა დროს მიღიხარ? — ჰქითხა მან ცოლს.

— თერთმეტ საათზე, პირველი გაკვეთილი არ მაქვს. — ქალმა მკერ-

დზე ზეწარი გადაიწია და აბურდნულ თმებზე ხელი გადაისვა.

— ბაზარში წასკლას მოასწრებ?

— კი. ახლავე ავდები, საუზმეს გაგიმზადებ!

— არა, იწევი!

ანდრომ ჰალსტუხი გაიკეთა და სამზარეულოში შევიდა, — საჭმლის სუნი იდგა. ფანჯრები გამოაღო, რომ პერი განიავებულიყო. ეზოში ქალებს ვედროთი ნაგავი მიჰქონდათ. შორიდან ისმოდა ზარის ხმა, — საცაა ნაგვის მანქანა ჩამოივლიდა. ქალებს გრძელი ხალათები ეცვათ, ფოსტლებს მიაფლარტუნებლნენ. ერთი პირდაპირ საწოლიდან წამოვარდნალიყო, — თმაგაქეჩილი მიარბენინებდა ვედროს. ანდრომ ეზოს კუთხეს მოავლო თვალი, ღამით იქ ნაგავს ყრიდნენ ხოლმე. ამას წინათ სახლმართველი დაიბარა და გააფრთხილა, იქ რომ ვინმემ ნაგავი დაყაროს, სამსახურიდან შენ მოგხსნიო. გაფრთხილებამ იმოქმედა, მაგრამ ეტყობოდა, წუხელ მაინც იქ ვიღაცას ქალალდები დაეყარა. ანდრომ თავი ბრაზით გააჭინა და ფანგარას მოშორდა.

კარებში ბიჭმა შემოჰყო თავი.

— შემოდი! — უთხრა მას მამამ.

გოგიძ მორიდებით მიხურა კარი. ანდრომ ახედ-დახედა.

— ხელ-პირი დაიბანე?

— კი.

— თმა რატომ არ დაივარცხნე?

ბიჭმა ვერაფერი უთხრა.

— წალი ახლავე და თმა დაივარცხნე, — მერე ფეხსაცმელზეც დახედა, თავი გააქნია უკმაყოფილოდ, — ფეხსაცმელიც გაიწმინდე!

ბიჭმი კარებში გაიღალა.

„ვმ!“ — ჩაეცინა გუნებაში ანდროს. თავისი ბავშვობა მან სოფელში გაატარა. პატარა ოდა ედგათ, ხუთი და-ძმა იყო. გამონაცვალი ტანსაცმლით დადიოზნენ სკოლაში. ზაფხული ისე გაივლიდა, ერთხელაც ფეხსაცმლის ჩაცმა არ ეღირსებოდათ. ზოგჯერ ერთი ფეხსაცმელი ორ წელიადს ყოფნიდა. გაკვეთილს შუაცეცხლის პირის სწავლობდა. დღე მშობლებს ემარებოდა — ხან სიმნიდის ყანას თოხნიდა, ხან ვენას ზარავდა. საკუთარი ზურგით დაპქონდა წისქვილში სიმინდი. ასე დაამთავრა საშუალო სკოლა. მერე მამამ უმაღლეს სასწავლებელში არ გაუშვა, ფულს ვერ გამოგიგზავნიო. იძალა ანდრომ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ჩააბარა გამოცდები. მამამ ნასესხები ფულით კოსტუმი უყიდა და იმ ერთი კოსტუმით დაამთავრა უნივერსიტეტი. უმცროს და-ძმასაც დაეხმარა — ორს თბილისში დაამთავრებინა პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ახლანდელი ბავშვები კი განებივრებული არიან.

ანდრომ კარადის კარი გამოაღო, თაროები შეათვალიერა.  
ლი თეფშები ეწყო. კარის ხმაურჩე უკან მოიხედა.

— აღექი?! — უთხრა ცოლს.

ქალმა გადავარცხნილ თმაზე ხელი გადაისვა, კარადასთან მივიდა და  
ჭვედა კარი გამოაღო.

— და ჯერ და ახლავე გაგიმზადებ! — ქალი დაიხარა, შინ გახსნილი  
ხალათი იატავზე მარაოსავით გაიშალა, — კვერცხი შეგიწვა?

— შეწვე!

ნაგვის მანქანა ეზოში რეკდა.

— წუხელ ქალალდები დაუყრიათ ეზოში, — თქვა ანდრომ.

— სინდისი არა აქვთ, — ქალი გასწორდა, — იმის დაყრილი იქნება,

— გვარი ვერ გაიხსენა.

— ვისი?

— მეოთხე სართულზე რომ ცხოვრობენ, ჩვენს ზემოთ.

— გერგეშიძეების?

— ჰო!

— მდა... — ნერვიულად თქვა ანდრომ.

— არავისი არ ერიდებათ, — ქალმა კვერცხი თეფში დატეხა, —  
ბავშვებს მაინც მოერიდონ, ეზოში თამაშობენ!

ბიჭს თმა დაევარცხნა და სველი თმა უბზინავდა, კარებთან მორიდე-  
ბით აიტუზა და ელოდა, რას ეტყოდნენ მშობლები, თანაც თვალები და-  
ხრილი ჰქონდა, უნდოდა მამას შეემჩნია, რომ ფეხსაცმელიც გაწმინდა.

— დაჯექი! — უთხრა დედამ.

გოგი მამის გვერდით დაჯდა, ფეხით იატაკს ვერ წვდებოდა და ჰა-  
რში აქნევდა. ხელები მაგიდაზე დააწყო და დედას შეაცერდა.

— გვავიანდება! — უთხრა ანდრომ ცოლს.

ტელეფონმა დაიწყრიალა. ანდრო დერეფანში გავიდა და ტელეფო-  
ნის ყურმილი აიღო.

— ალო, გისმერთ!

დუმილი ჩამოვარდა.

— ალო, — გაიმეორა ანდრომ.

— ანდრო ბრძანდებით? — გაისმა ქალის ხმა.

— დიახ.

— იცით, რა... — ქალს ხმა დაურბილდა, კვლავ დუმილი ჩამოვარდა.

— გისმენთ! — უთხრა ანდრომ.

ქალმა ტელეფონის ყურმილი დადო და ზუმერის გაბმული ხმა გაი-  
სმა. ანდრომ ნერვიულად ტელეფონის ყურმილს დახედა, თითქოს მასზე  
უნდა ეყარა ჯავრი და დადო. უცებ გაურკვეველი ფიქრები დაუფლა, რა-

ტომლაც მოეჩვენა, რომ ჭალის ხმა ეცნაურა. ოდესლაც, ხაღლაც გზაზე/ გზნია, თითქოს ახლობელიც იყო. მაგრამ ვერ დარწმუნდა, რომ ჭალის/ ხმა ეცნაურა. ტელეფონს მოუხედა და ისევ ყურში ჩაესმა ჭალის, მაგრამ გვიჩვენები ბი ხმა. დარწმუნდა, რომ ხმა ნამდვილად იცნო. ოცდასამი წელიც კულტურულად გაუგონია ეს ხმა და ისე მოულოდნელი იყო, ვერ მიმხვდარიყო, რამ აი- ძულა დაერევა. ის ხომ აქ არ ცხოვრობს, რატომ ჩამოვიდა?.. უკანასკნე- ლად თბილისში დაშორდნენ ერთმანეთს, მაშინ ანდრო მესამე კურსის სტუდენტი იყო. არა, მოეჩვენა, თორემ ყოვლად შეუძლებელია აქ ჩა- მოსულიყო, ან რამ გააძევინა დაერევა. გონებაში აშლილი ფიქრები ვერ დაიოცა, ათასმა მოგონებამ გაურჩინა თვალშინ. მერე ქვეშეცნეულად თვით საჯუთარი თავის წინაშე შეურაცხოფა იგრძნო, რომ წარსულის სურათები დაუდგა თვალშინ.

- ანდრო, — დაუბახა ცოლმა.
  - მოვდივარ! — გამოერევა იგი ფიქრებისგან.
  - ვინ იყო? — ჰერთხა ცოლმა, როცა იგი სამზარეულოში შევიდა.
  - არავინ!
  - ტელეფონზე არ გილაპარავია?
  - არა, ვიღოცამ დარევა და ყურმილი მაშინვე დადო.
- ანდრო მაგიდასთან დაჯდა, ბიჭის გვერდით. მაგიდაზე შემწვარი კვა- რცხი, პური, კარაქი და ძეხვი ეწყო. ქალმა ჩაი დასხა და დაჯდა, — ა- ლი არაფრისოთვის არ უხსლია, მერე ვპამო. იჯდა და მამა-შვალს ალერსით შესცეკროდა. ანდრომ თავისი ხელით გადაულო ბიჭს შემწვარი კვერცხი. მერე პურზე კარაქი და ხიზილალა დაუცხო და წინ დაუდო.
- იმ საქმისა რა ჰქენი? — ჰერთხა ცოლმა.
  - ჯერჯერობით ვერაფერი! — მიუგო ანდრომ.
  - რატომ?.. ხომ გთხოვე?
  - ჩემზე არაა დამკიდებული, და რომ იყოს, ასე ხელალებით მაინც ვერ გადავწყვეტ!

ქალი შეწუხდა.

— ცოდოა!

— ნინო, ვიცი ცოდოა, მაგრამ სხვა გზა თუ არაა?!

ქალმა მაგიდაზე პურის ნამცეცი მოაგუნდავა, მერე თითი დაპკრა ერ- თხერ, ორჯერ და ისევ მოაგუნდავა.

— ხუთი სული ერთ პატარა ოთახში ცხოვრობს. უმცროსი ბავშვი ავად ჰყავს. რა ქნან, არავითარი საშუალება არა აქვთ!

— ვიცი, დახმარება სჭირდებათ, მაგრამ ახლა შეუძლებელია. ველა- პარაკე ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარეს, როგორც კი შესაძლებლობა გამოჩნდება, დაეხმარებიან!

— როდის?

— მათზე წინ სხვებს ეკუთვნით ბინა. შენ კი, ჩემო ნინო, ნურაფის  
ნურაფერს ნუ დაპირდები, რადგან ეს საქმე ჩვენზე არაა დამოუკიდებული.

უკრაინული

ერთპიროვნულად ვერაფერს ვერ გადავწყვეტ!

— დაპირებით, რატომ დავპირდები! ჩვენი თანამშრომულობის უძლებელობა წინაა იტირა. შენთან მოსვლას ვერ ბედავს. ძალიან პატიოსანი აღამიანია.

— გასაგებია! ყველაფერი ერთ დღეს არ კეთდება. ახლა თუ არა, აშენდება კიდევ ახალი სახლი და მისცემენ ბინას!

— როდის? — ჩაილაპარაკა თავისთვის ნინომ.

— როცა რიგი მოუწევს! ჩვენ როგორ ვცხოვრობდით?! ა, ამ სამხა-რეულოს ხელა ოთახი გვქონდა. რვა წელი იქ გავატარეთ. განა არ ვიცათ, ვერ ვხვდებით, რომ უჭირთ, ვიწროდ ცხოვრობდენ. მაგრამ ადამიანი შეიცვალა, მოთხოვნილებები გაეზარდა და დროებით სისწელეებს ვერ ურაგდება. შეიძლება მეც მაქვს სურვილები, მაგრამ მარტო საკუთარი თავისათვის ხომ არ უნდა იცხოვოთ?! ამოდენა რომ ვიყავი, — ხელი ბიჭისაკენ გაიშვირა, — სკოლაში ფეხშიშველი დაუდიოდი.

— ჩემი ხათრი თუ გაქვს... — ქალმა თვალებში შეხედა.

— კი, კი... — გაიცინა ანდრომ, — შენი ხათრი, პატივისცემა როგორ არ მაქვს, მაგრამ ხალხს ვერ ავალიპარაკებ, ბინა ურიგოდ გასცაო. მეორეს რა პირით შევხედო?! როგორ მოუწოდო სხვას წესრიგისაკენ?! მე რომ პატარა რამე დავარღვიო, სხვა ამას ბოროტად გამოიყენებს და ორჯერ მეტ დანაშაულს ჩაიდენს, თანაც ჩემი სახელით! — ცოლს ხელზე ხელი დაადო, — კარგი, შენ ნუ გეწყინება!

ქალი ქმრის თბილ ალერს უსიტყვოდ იგაეპასუხა — მორჩილად ედო მის ჟელში ხელი. გოგი მშობლების საუბარს ყურდაცევეტილი უსმენდა, რაღაც დიდი საქმე იყო, დედა ასე გულით რომ ეხვეწებოდა მამას და, ცოტა არ იყოს, ვერ წარმოედგინა უარის თქმა. იგი ერთხელ უკვე გააფრთხილეს, მშობლებს საუბარში არ ჩარეოდა და, თუმცა რაღაცას თქმა უნდოდა, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს. ნინომ შვილს ჩაი დაუსხა და ცარიელი თეთშები აალაგა.

— დამთავრე? — ჰერითხა მამამ შვილს.

— კი.

— აბა, წავიდეთ!

ანდრო პირველი ადგა და მამა-შვილმა სააბაზანოში ხელი ერთად დაიბანეს. მერე ბიჭის ჩატულობა ერთხელ კიდევ შეამოწმა, შარვალზე სველი ხელი დაუსვა, თმაზეც გადაუსვა ხელი. ნინო სამზარეულოს კარებში იდგა და მათ წასვლას ელოდა. ბიჭმა ოთახიდან საწიგნე გამოატანა.

— ჩვენ მივდივართ, — უთხრა ცოლს ანდრომ.

ცოლმა თვალი სიყვარულით ჩაუპაჭუნა.

— დაგეს დაგაგვიანდება? — ჰყითხა მან.

— არ ვიცი, დაგირევა!

— მე ხუთ საათზე შინ ვიწნები, სამი გაკვეთილი მაქვს.

— კარგი! — თავი დაუკრა ქმარმა.

მამა-შვილი ხელიხელჩაკიდებული კიბეს დაჰყვნენ. სახლი, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, ქალაქის ცენტრში იდგა, ერთ პატარა, ვიწრო ქუჩაზე. ამ რამდენიმე წლის წინათ დაიწყო აქ ძველი სახლების აღება და ჯერაც ზოგიერთი ფართობი აუთვისებელი იყო. მათ მეორე სართულზე სამოთახიანი ბინა ეჭირათ. სადარბაზო შესასვლელი პირდაპირ ქუჩაში გადიოდა და ოთახის ფანჯრებიც ქუჩას გადაჰყურებდა. ოთახები არც ისე დიდი და ფართო იყო. ამ ათიოდე წლის წინათ შეძენილი ავეჯი ეღგათ — სამამულ წარმოებისა. გარდერობს კარები მორყეოდა, სერვანტს ფეხი მოძრობოდა და ფიკარი შეეყინებინათ. საწოლებს თავისი პირვანდელი ფერი დაკარგვოდა. სასტუმრო ოთახში ჭალი ბროლისა იყო და მთელ ოთახს სუსტილებდა, ჭალი უქმაყოფილებას გამოთქვამდა, — ახალი ავეჯი შევიძინოთო, ქმარი თავს შორს იჭერდა, — რიგის მიხედვით მივიღებთო. რიგი იგვიანებდა, წლები გადიოდა.

მშიანი დილა იყო, სასიამოვნო გრილი ნიავი უბერავდა. ისინი ცენტრალურ ქუჩაზე გავიდნენ. ხალხი ფეხაჩქარებული მიდიოდა.

— გაკვეთილი გაიმეორე? — ჰყითხა მამამ.

ბიჭმა თავი დაუქნია.

— გუშინ არ იცოდი!

გოგის სახე წამოეფაკლა. მამამ იგრძნო, ბიჭი თავისი ცოდნით გულდაჭერებული არ იყო. რამდენიმე დღეა მეცადინეობას უკლო. შინ თუ არავინაა, ბურთის თამაშსაა გადაყოლილი.

— ქლასის ხელმძღვანელი ვნახე, — იცრუა ანდრომ, — მითხრა, გოგიმ მეცადინეობას უკლოო, მასწავლებლები საყვედურობენ. ხუთს ვუწერთ, მაგრამ არ ეკუთვნისო.

გოგიმ ტუჩები აიბზუა, მხრებში აიწურა.

— კი, აბა!..

— ჰო, მეც ვხედავ, წინანდებურად ალარ მეცადინეობ!

ბიჭმა ახლა ბრაზით ქვას ფეხი გაჰკრა.

— თუ კარგად არ ისწავლე, ინსტიტუტში ვერ მოეწყოპი!

— ქარხანაში ვიმუშავებ! — მოჭრით მიუგო გოგიმ.

— ქარხანაში დღეს განათლებული ხალხი მუშაობს!

ქუჩის ორივე მხარეს ხუთსართულიანი სახლები იყო აღმართული. მსუბუქი მანქანები ერთმანეთს მისდევდნენ. ქალაქი თანდათან იღვიძებდა. ანღრი ბიჭს ელაპარაკებოდა და შეუმჩნეველი არაფერი არ რჩებო-

და. იგი აკვირდებოდა ქუჩებს, სახლებს, ხალხს. ნაცნობებს თავის ჩავა-  
რით ესალმებოდა. ქუჩის კუთხეში გაჩერდნენ. სკოლა მეორე ცვალებაში  
ში იყო.

— აბა, გაიქეც! — უთხრა მამამ ბიჭს.

გოგიმ მამას ხელი გააშვებინა, ცერად ახედა და გაიქცა.

— ჰქუით! — მიაძახა მამამ.

ანდრო სირბილით მიმავალ ბიჭს უყურებდა. გოგი საწიგნეს აქეთ-  
იქით აქნევდა და გარბოდა. მეორე ქუჩის კუთხეში გაჩერდა და მამას მო-  
უხედა, იცოდა, ვიღრე ქუჩას არ გადაკვეთდა, მამა ოვალს ატანდა. მერე  
მამას ხელი დაუქნია და ქუჩა გადაირბინა. ქუჩის საათი ცხრის ნახევარს  
უჩევენებდა. ანდრო შებრუნდა, სახეზე ფარული კმაყოფილება აღებეჭდა,  
გუნებაში ჩაცინა კიდეც. და ეს ღიმილი გაკვირვებას გამოხატავდა.

თორმეტი წლისა იყო ომი რომ დაიწყო, მშეერ-მშეყურვალი მეცადა-  
ნებდა ნავთის ჭრაქზე, სკოლაში გათენებისთანავე მიღიოდა, რომ არ  
დაგვიანებოდა. მამა ეტყოდა, დროა წახვიდეო და ისიც გარბოდა. ზამ-  
თარში სკოლაში მისვლამდე ფეხი უსველდებოდა და მთელი დღე ასე იჭ-  
და გაკვეთილზე. საკლასო ოთახს ბუხარი ვერ ათბობდა, ფეხი რომ არ წა-  
ყინვოდა, გაკვეთილიდან გასვლას ითხოვდა და დერეფანში ხტოდა, რომ  
გამთბარიყო. ახლანდელ ბავშვებს მეტი მოეთხოვებათ, არ შიათ და არ  
სწყურიათ. ანდროს სხვისი არაფერი არ შურდა, მაგრამ ვინმე უკმაყოფ-  
ლებას რომ გამოხატავდა, ანდა საქმეში უგულობას შენიშნავდა, ვერ იტა-  
ნდა, დაუნდობელი იყო. იცხოვრე და იშრომე, სხვა რაღა გინდაო, იტყო-  
და ხოლმე იგი.

ქუჩა გადაჭრა, ხელმარცხნივ საქალაქო კომიტეტის შენობა გამოჩნდა.

— დილა მშევიდობისა, ბატონო ანდრო, — გზად სამოცდაათ წელს  
მიღწეული ბერიყაცი წამოეწია, კახური ქუდი მორიდებით მოიხადა და  
თავი დაუკრა.

— იცოცხლეთ, ჩემო მიხეილ! — შეჩერდა ანდრო.

— როგორ გიყითხოთ?.. იმედია, კარგად ბრძანდებით?

— კარგად, კარგად!.. თქვენ ისევ ძევლებურად?! — გაუცინა ანდრომ.

— საყვედური არ მეთქმის! — მიხეილმა შეაყოვნა სიტყვა, — თქვე-  
ნთან მოვდიოდი, მაატიეთ, აქ შეგაჩერეთ!

— რისთვის შეწუხებულხართ?

ბერიყაცია ქუდი დაიხურა, ხელი დაუშვა და თვალებში შეხედა.

— ვერაფერი გავხდი, ბატონო ანდრო, მშენებლებთან, — თვალი  
დახარა, — ეზო-ეზო ყრიან ამ ნარჩენებს, ყველაფერი მოანაგვიანეს. ნა-  
რგავებს აფუჭებენ!.. კაციშვილს არ ესმის ჩვენი.



- აღმასკომში იყვით?
- ვიყავი! — მხრები უკმაყოფილოდ აჩეხა ბერიკაცა, — უწყვეტესობა ვით ნაზარდი ხეებია, იმათი გაფუჭება მავნებლობაა. გული მტკამართვა
- კარგი, დღესვე მივხედავ მაგ საქმეს! — ანდროს სახეზე ღიმილი აუთამიშვილია, — სახლში ხომ კარგად ხართ?
- გმადლობთ, ვართ! მაპატიეთ, რომ ქუჩაში გაგაჩერეთ!
- ნუ გერიდებათ, უნდა შემაწუხოთ ხოლმე, საერთო საქმისათვის ყველა უნდა შევწუხდეთ, ამა, როგორ! ძველი გვარდიელი ხარ, ხანდახან მიგვითითო უნდა კიდეც! თქვენგან ვსწავლობთ ჩვენ!

მიხეილს კმაყოფილებით გაებაღრა სახე, სიტყვა ვერ თქვა. იგი ძველი რევოლუციონერი იყო, ორმოცი წელი ქარხანაში იმუშავა ზეინკლად. ორჯერ არჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. იმყამად პენსიონერი იყო და საქალაქო საბჭოს აღმასკომში პენსიონერთა საბჭოს ხელმძღვანელობდა და ნებაყოფლობით საზოგადოებრივი დატვირთვა — ქალაქის განაშენიანებაზე თვალყურის დევნება ჰქონდა მინდობილი.

— კარგად ბრძანდებოდეთ! — თავი დაუკრა მან.

— იცოცხლეთ, ჩემო მიხეილ!

ანდრომ გზა განაგრძო. ქალაქკომის წინ ხალხი ირეოდა. შესასვლელთან შეუჩებულიყვნენ ერთგან. ბევრი მათგანი ნაცნობი იყო, საწარმოდაწესებულებების ხელმძღვანელები, მუშები. ანდროს სიამოვნებს, შინაგან ძალას გრძნობს, როცა დილიდანვე ცხოველი მუშაობა იწყება. შორიდან შეავლო თვალი ქალაქკომის შესასვლელთან შეგროვილ ხალხს, ეტყობა, მათაც შენიშნეს და შესასვლელს განერიდნენ, კარებთან მისასვლელი გაათავისუფლეს. მიღების დღე არ ჰქონდა და ამდენი ხალხი რატომ შეკრებილა, ვერ მიმხვდარიყო.

ანაზღად შეფიქრიანდა — ვინ დაურეკა ამ დილით?! ჯერ არ მომხდარა, მისოვის დაერეკოთ და პასუხი არ გეცათ. „ნუთუ ის არის!“ გაითვრა მან, მაგრამ როდის ჩამოვიდა, ან რატომ დაურეკა?!.. ყურში ჩაესმა ნაცნობი სიტყვები: „სულ მალე, მალე გავი ეს წლები, შენ ისტორიების იქნები, მე კი ინუინერი... რა კარგია?! ა?.. ხომაა კარგი?!.. თბილისში ვაცხოვრებთ. შენ ხარისხს დაიცავ... ხომ განაგრძობ სწავლას?.. „კი ვისწავლი, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩვენ ერთად ვიყოთ“. „რა კარგია!“ ისევ ბავშვივით უთხრა მან და მკერდზე თვი დააყრდნო. ანდროს გულზე გაკენწლა ამ მოგონებამ, შეცდა. — ო, რა ტყუილი ყოფილა მისი სიტყვები, რა ტყუილი!

ანდრომ ჩაახველა, თმაზე ხელი გადაისვა, რომ ნერვიულობა დაეძლია,

ფიქრები და მოგონებები თავიდან გაღაეყარა. არ უნდა წარსულის  
სენება, ის, რაც უკვე დავიწყებას მიეკა. არ უნდოდა, ის ხმისაჭავაშია  
ყოფილიყო. ისევ შეხედა ქალაქკომის წინ შეგროვილ ხალხს, ნაბიჯი შეა-  
ნელა, რომ დაშვიდებულიყო. გახშირებული სუნთქვა შენელებოდა. რაც  
უნდა გაბრაზდეს, ან ალელდეს, საკუთარ თავს ყოველთვის ფლობს, არ  
მიეცემა წამიერ აღზნებას, ვერც ვინმე შეამჩნევს. რომ გაბრაზებულია,  
ან ლელავს.

— გაძარჯობათ! — მიესალმა იგი ქალაქკომის წინ შეგროვილ ხალხს.  
— იცოცხლეთ, ამხანავო ანდრო, — თავი დაუკრეს მოწიწებით მას.  
ანდროს მათვის არ შეუხედავს, ნაბიჯს აუჩქარა და ქალაქკომში შე-  
ვიდა. იგი უკვე ალარ ღელავდა და საკუთარ თავსაც მშვენივრად ფლობ-  
და. წინ ათასი ფიქრი და სარუტავი ჰქონდა.

## 2.

პირველი მდივნის კაბინეტი დიდი და ნათელი იყო, სამი ვეებეროე-  
ლა ფანჯარა ქუჩაში გაღიოდა. საწერი მაგიდა სილრმეში იდგა, ამ ვაგი-  
დაზე გრძელი მაგიდა იყო მიღგმული და მშვანე მაუზი ჰქონდა გადაფა-  
რებული. გარშემო სკამები ეწყო, სკამები ყრუ კედელთან და ფანჯრის-  
მხარესაც იყო ჩარიგებული. საწერ მაგიდასთან კედელზე ლენინის სურა-  
თი და სათი ეკიდა. ყრუ კედელზე გაძრული იყო ქალაქის დაგვგვარების-  
მაკეტი, სახელმწიფო რუკა. გრძელ მაგიდაზე გრაფინით წყალი. კიქა და  
საფერფლე ეწყო. საფერფლეზე ასანთი იდო. საწერ მაგიდაზე ჩამდგნიმე  
სქელი წიგნი, საქალალდეები, მარმარილოს საწერ-კალმის კომპლექტი და  
ახალი გაზეთები ელავა. სხვადასხვა ფერის ტელეფონები გვერდით კედ-  
ელზე მიღგმულ პატარა მაგიდაზე ეწყო. კაბინეტის ორი ფანჯარა დია  
იყო და გრილი ჰაერი შემოდიოდა.

ანდრო გვერდის კარიდან შევიდა კაბინეტში, ერთგვარი შემსუბუქე-  
ბა იგრძნო, თითქოს ყოველი ფიქრი და სადარდებელი მოშორებოდა. ნე-  
ბი ნაბიჯით მივიდა საწერ მაგიდასთან, არ დამგდარა. დილიდან რატომ-  
ლაც ფარული ღელვა და მოუსვენრობა აწუხებდა, თითქოს წინათგრძნო-  
ბასავით გული რაღაცას ეუბნებოდა. საწერ მაგიდაზე საქალალზეს გადა-  
ხედა, რომელშიც მშრომელთა განცხადებები ეწყო. კედლის საათმა ცტრა-  
ჭერ ჩამოჰკრა. ანდრო საათს დაუინებით მიაჩერდა, გეგონებოდა, ზედ  
რაღაც უნდა ამოიკითხოს. მერე გაახსენდა, რომ ნახევარ საათში თათბი-  
რი იწყებოდა. ფანჯარასთან მივიდა. გაღმა ქუჩაში ცისფერი „ვოლგა“  
იდგა. მაღაზიიდან ჩაფსკვნილი, ჯიჯგი ბიჭი გამოვიდა და „ვოლგაში“ ჩა-  
გდა. მანქანა ადგილიდან დაიძრა და იქვე პალმასთან ქალარა ქალი შენი-  
შნა ანდრომ. თმა ერთი თვის დაუბანელ-დაუვარცხნელს მიუგავდა, ვამო-

ხუნებული კაბა ეცვა, ქუსლებმოლრეცილი ფეხსაცმელი დიდი ხნის გაფეხუნებული პერსონალი და ვერ მიხვდებოდი, რა ფერისა იყო. წინდები არ მცირდება. კაბის ერთი მხარე მუხლს ქვემოთ ჩამოვარდნიდა. ქალმა ქალი მცირდებოდა შესასვლელისაკენ გაიხედა და ანდროს უცებ გულზე გაკენწლა. მაშინ-ალურად დააკვირდა.

— ნუთუ... — თქვა მან.

ქალმა ნელი ნაბიჯით ჩაიარა, მივიღა მაღაზიასთან და ქუჩა ქალქვო-მისკენ გადმოჟრა. ანდრომ თვალებზე ხელი აიფარა.

— როგორ ჰგავს! — გაიფიქრა მან და არ უნდოდა დაეჭერებინა, რომ ნამდვილად ის იყო. არა, სხვას რომ ეთქვა, ის არისო, მაიც ვერ დაიგე-რებდა. როგორ დაემსგავსება ხოლმე აღამიანი აღამიანს. ალბათ, ეს ქალი ახალგაზრდობაში, თუმცა არც ისე ხნიერი უნდა ყოფილიყო, ძალზე ლა-მაზი იქნებოდა. და ანდროს თვალწინ დაუდგა ტანსუსტი, ლამაზი ვირი-სახის, უსახელო ცისფერი კაბით, მაღალქუსლებიან ფეხსაცმელზე შემდ-გარი ცხრამეტი წლის გოგონა. ისე თბილად გაიღიმებდა, თოთქოს თვი-სი ღმილით უნდა ჩამოგადნოსო. გაიცინებდა და ისეთი ნათელი შემო-გეფრევოდა, გეგონებოდა, უნდა მიგიზიდოსო. ალბათ, ეს ქალიც ისეთი იყო, ვინ იცია...

კარი პირადმა მდივანმა შემოალო.

— გამარჯობათ, — და გოგონა კარებში გაჩერდა.

ანდრო კარებისკენ შებრუნდა.

— გაგიძარჩოს, ნუნუ. რატომ შეწუხებულხარ?

გოგონა საწერ მაგიდასთან მივიდა, თავი მოქრძალებით ეჭირა, თი-თქოს დანაშაული რამ ჩაედინოს. ანდრომ ნელი ნაბიჯით ჩაუარა გოგო-ნას, დაჯდა და საქალდე, რომელშიც განცხადებები ეწყო, წინ დაიდო. თვალწინ ჭალარა ქალი ედგა და სათქმელი სიტყვა, რომელიც ენის წცე-რზე ჰქონდა, ვერ მოებრუნებინა.

— გისმენ! — დაარღვია დაუმილი მან.

— ბატონო ანდრო, — თქვა პირადმა მდივანმა რბილი ხმით, — ჩვენს ინსტრუქტორს ნოზაძეს მამა გარდაეცვალა. დარეცა, ვერ მოვალო.

ანდრო გასწორდა, სახის გამომეტყველება შეეცვალა.

— უჰ, როდის?

— წუხელ!

— საწყალი! — თქვა პირველმა მდივანმა... მერე კალენდარს დახე-და, — დღეს საშშაბათია, ალბათ შაბათს დასაფლავებენ... ეჰ, რა უნდა ქნა, სამი წელი ლოგინად იყო ჩავარდნილი.

გოგონა თავდახრილი იდგა. იგი თვრამეტი წლისა იქნებოდა. საშუა-ლო სკოლა შარშან დამთავრა, სულ რამდენიმე თვეა პირად მდივნად მუ-

შაობს. როგორც კი დროს გამონახავს, თავი წიგნებში აქვს ჩარგვლი. მომავალ წელს უმაღლეს სასწავლებელში აპირებს სწავლის ტურნირებისათვეს.

- სხვა? — იკითხა მდივანმა და რავი პასუხი ვერ მიიღო, დასძინა,  
— დედათქვენი როგორაა, კიდევ ავალყოფობს?  
— გმაღლობთ, ადგა.

- ჰო... კარგია, — მაგიდაზე თითები აათამაშა, — საღამოს ალბათ, სამძიმარზე წავლენ, გააფრთხილე, უჩემოდ არ წავიღნენ!

— კარგი! — გოგონა ნელი ნაბიჭით გავიღა კაბინეტიდან.

საათი ათის თხუთმეტ წუთის უჩენებდა. ანდრომ განცხადებებს გადაავლო თვალი. ერთი ბინას ითხოვდა, მეორე — სამსახურიდან მოეხსნათ და დირექტორს უჩიოდა. ანდრომ განცხადებები ისევ საქალალდებში ჩადო და გვერდზე გადადო. ათ წუთში დილის თათბირი დაიწყებოდა და, როგორც ყოველთვის, პირველი საორგანიზაციო განყოფილების გამგე შემოვიდოდა, მერე — მეორე და მესამე მდივნები. რამდენიმე საკითხი სასწავლიდ იყო შესათანხმებელი. თვის ბოლო რიცხვები იყო, გასულ თვეში სამა საწარმომ ვერ შეასრულა გეგმა. სამივე საწარმოში ქალაქ-კომის წარმომადგენლები მიამაგრა და მათ მოხსენებებს კვირაში ორჯერ ისმენდა.

კაბინეტში საორგანიზაციო განყოფილების გამგე შემოვიდა.

— გამარჯობა! — თქვა მან და პირდაპირ მდივნის მაგიდისკენ გაემართა.

ანდრომ შეხედა და ღიმილით თავი დაუკრა.

— რა ჰქენი, კანდიდატურა შეარჩიე? — ჰქითხა მან.

განყოფილების გამგე პირველ სკამზე დაჯდა, გრძელ მაგიდასთან.

— კი! — ხელები მაგიდაზე დაწყო.

— ვის ფიქრობ?

— ამხანგი გაბესკირია — მანქანასაშენი ქარხნის მთავარი ინჟინერი, — სიტყვა შეაყოვნა, — ყოფილი ჩვენი მუშავია, პარტიული მუშაობის გამოცდილებაც აქვს, როგორც პიროვნება სანდოა, ვფიქრობ, გაამართლებს!

ანდრომ მაგიდაზე თითები აათამაშა.

— ფეხსაცმლის ფაბრიკა სხვა პროფილისაა, შესძლებს?

— ვფიქრობ, შესძლებს.

— კიდევ ვინ შეარჩიე?

— გამრეკელი, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის დირექტორი.



- შეიძლება, მაგრამ იქ ვინ გადავიყვანოთ?
- ვფიქრობ, კარგი იქნება შარაშიძე — ქალაქქომის ინსტრუქტორული ან მელადე — მრეწველობის განყოფილების გამგე.
- მდა... — მდივანი მაგიდას ნიდაყვებით დაეყრდნო, განყოფილების გამგეს თვალებში შეაჩერდა, — ცული კანდიდატურები არაა, მხანაგებს ვიცნობ!.. ერთხელ კიდევ შეამოწმე მათი პირადი საქმეება და მომახსენე, რომელიმეს ხომ არ გასაუბრებიარ?
- გაბესკირია დავიპარე. ფეხსაცმლის ფაბრიკაში საქმე ცუდად გვაქვს და... ვუიქრობ, ამხანავი მომთხვენია, პრინციპული...
- მომავალ კვირაში ბიუროზე უნდა გავიტანოთ ეს საკითხი! — გააწყვეტინა სიტყვა ანდრომ.
- გასაგებია!
- ზეგ წარმოადგინე მათი პირადი საქმეები და დახასიათებები!
- მესმის!
- ათის ნახევარზე მეორე და მესამე მდივნები, განყოფილების გამგეები და რამდენიმე ინსტრუქტორი რიგრიგობით შემოვიდნენ კაბინეტში და გრძელი მაგიდის გარშემო დასხდნენ. წინ ზოგმა ბლოკნოტი და ფანჯარი, ზოგმა საქალალდები დაიწყო. სიჩუმე ჩამოვარდა, პირველი მდივნის შეკითხვის მოლოდინში ყველა გაირინდა. რამდენიმე წამმა მიმდევ გაიარა დუმილში. ანდრომ მათ თვალი გადავლო, თითოეული შათგანის ბრნება, შესაძლებლობა კარგად იცოდა და საქმესაც იმისდა მიხედვით ავალებდა ხოლმე.
- ამხანავო მელადე, რას იტყვით? — თქვა მან მტკიცე ტონით.
- მრეწველობისა და ტრანპორტის განყოფილების გამგე ფეხშე ცდგა, გაუბედაობა ეტყობოდა.
- გუშინდელი ღლის, ე. ი. 25 სექტემბრის მონაცემებით, თამბაქოს ფაბრიკაშ თვიური გეგმა 75 პროცენტით შეასრულა.
- დარჩენილ ექვს ღლეში, როგორ ფიქრობთ, — გააწყვეტინა სიტყვა შეორე მდივანმა, — გეგმა შესრულდება?
- დუმილი.
- ეს საქმე ვის ჰქონდა მინდობილი? — ჰქითხა ახლა პირველმა მდივანმა.
- განყოფილების გამგემ თავის ინსტრუქტორს გადახედა. იგი მყისვე ადგა, მაგიდაზე საქალალდე გადაშალა.
- ამხანავო ანდრო, — თქვა მან, — როგორც ადგილზე შემოწმებით გამოირკვა, სიგარეტების სამქროში ერთი დაზგა წყობიდან იყო გამოსული.
- ე. ი. შევურიგდეთ გეგმის შეუსრულებლობას?!

— არა, დაზემა გასულ შაბათს შეაკეთეს და ფაბრიკამ ამ ერთ კვირაში  
თვიური გეგმის ოცდათი პროცენტი შეასრულა!

— საჩწმუნო ფაქტია?

— კი.

— ე. ი. თვის ბოლოს გეგმა შესრულდება?

— ვიფიქრობ...

— არავითარი ვფიქრობ! — ხმას აუწია ანდრომ, — ჩვენ უნდა ვი-  
ცოდეთ ზუსტად!

— შესრულდება! — განაჭრით უპასუხა ინსტრუქტორმა.

— ამხანაგო ყოველდღე ამოწმებს ფაბრიკის მუშაობას, — უპასუხა  
ახლა განყოფილების გამგემ.

პირველმა მდივანმა ორივე დაკვირვებით შეათვალიერა.

— თვის ბოლო არც ისე შორსაა, თუ რამ დახმარებაა საჭარა,  
თქვით!

— არა, ამხანაგო ანდრო, — უპასუხა ინსტრუქტორმა.

— მაშ, კარგი!

განყოფილების გამგე და ინსტრუქტორი დასხდნენ. დუმილი ჩამო-  
ვარდა. ანდრომ თავი ნელა ასწია და პროპაგანდისა და აგიტაციის გან-  
ყოფილების გამგეს შეხედა.

— თქვენ რას იტყვით? — ჰეითხა მან, — შეამოწმეთ გაზეთში გა-  
მოქვეყნებული წერილი?

განყოფილების გამგე ადგა.

— კი, ამხანაგო ანდრო, — უპასუხა მან, — წერილში მოყვანილი  
ფაქტები სწორია. ქალაქის კულტურის სახლთან არსებული წრეების მუ-  
შაობა ჩაშლილია, არა ჰყავთ კვალიფიციური კადრები, როგორც წერილ-  
ში აღნიშნავენ, ლიტერატურის წრეს გეოგრაფიის მასწავლებელი ხელმძ-  
ღვანელობს. წრეების მუშაობა იშვიათად ტარდება, არა აქვს საკრავი  
ინსტრუმენტები, ხოლო ცეკვისა და სიმღერის ანსამბლს ერთი თვეა მეცა-  
დინეობა არ ჩაუტარებია.

— მაშ, რა კეთდება?! — იყითხა მეორე მდივანმა.

განყოფილების გამგეს სიტყვა ენაზე შეაცივდა.

— ვიდრე გაზეთში გამოქვეყნდებოდა, რატომ ერთხელ არ დაინტე-  
რესდი?.. თუ დავალებას უცდიდი?.. — უსაყველურა პირველმა მდივანმა.

— კულტურის სახლის მუშაობა ქალაქიომა პპრილის თვეში შეა-  
მოწმა.

— და ეს მას შემდეგ მოხდა?

— დიახ!

— დირექტორს ესაუბრეთ?

— კი. ზაფხულის არდალეგებს აბრალებს, ბევრი ჩვენი წრის წევრი.

შვებულებაში იყო, ხალხი არ ცხადდებოდა.

— კი მაგრამ, ანსამბლი?.. კონცერტებს ხომ უნდა მართავდეს ან  
ზაფხულის დღეებში მშრომელებს მომსახურება არ სჭირდება კულტურული  
ვარგა, საფუძვლიანად შეისწავლეთ ეს საკითხი და სპეციალურად განვი-  
ხილოთო.

— მესმის!

— და საერთოდ, ვიდრე მიგვითითებუნენ, ჩვენ უნდა მიეცედოთ  
ჩვენს საქმეს. საქმეს წაყრუება არ უყვარს; ხომ ხელავთ, შევამოწმეთ,  
უველაფერი რიგზე იყო და... ასე არ ვარგა, ამხანაგებო, საქმის კურსში  
უნდა იყოთ, ყველგან, ყველა სფეროში!

განყოფილების გამგემ ისევ თავი დაუკრა, მესმისო და დაჭრა. თათ-  
ბირის მონაწილენი შეიშმუშნენ. თითოეული მათგანი პასუხისმგებლობას  
გრძნობაშ შეარყია, თითქოს სათქმელი არაფერი ჰქონდათ და ერთგვარად-  
უხერხულიც კი იყო, რომ იქ ისხდნენ. მეორეჯერ აჩქარებით საქმეს აღარ  
გადაწყვეტინ, მაგრამ მაინც რაღაც არ გამოუდით. ჰგონიათ, რომ ყვე-  
ლაფერი რიგზეა, ძირფესვიანად აქვთ შესწავლილი საკითხი და დაღება  
თუ არა ჯერი მისი განზილვისა, აღმოჩნდება, რომ ყველაფერი თავიდანაა  
გასაკეთებელი. ანდრომ ადროვა მათ, მერე თავი ასწია და ინტერესტის  
მიმართა:

— რა მდგომარეობაა ობიექტზე?

ინსტრუქტორი სხარტად წამოდგა.

— ამხანაგო ანდრო, კალინინისა და ჭავჭავაძის ქუჩების კუთხეში  
მშენებლობა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. რაც შეეხება ენგელ-  
სისა და კაშას ქუჩების კუთხეში კომბინატის მშენებლობას, ჭანურ-  
დება.

— მიზეზი?

— მაზეზი საშენი მასალის უქონლობაა, მესამე კვარტალში ცემენტი  
არ მიუღიათ.

— მდა! — თითი დაჭკრა პირველმა მღივანმა მაგიდაზე.

— დღესვე გამოიძახებ ტრესტის მმართველს.

— მესმის.

— მაშ, ასე ამხანაგებო, — თქვა პირველმა მღივანმა მეგობრული-  
ტონით, — წინადადება არის?.. არა! ყველაფერი გასაგებია!.. მეტი მომთ-  
ხოვნელობაა საჭირო, ყურადღებას ნუ მოვადუნებთ. — ანდრომ შეკრე-  
ბილთ გადახედა, ღუმილი ჩამოვარდა, — მაშ ასე, ვფიქრობ, ყველაფერი  
გასაგებია!

— დიახ, ამხანაგო ანდრო! — ერთხმად უპასუხეს განყოფილების გა-  
მგეებმა და ადგნენ.

— ამხანაგო ანდრო, — უთხრა მესამე მღივანმა, — კინოთეატრ „გა-

ზაფხულის” დირექტორი განთავისუფლებას ითხოვს, გუშინ ჩემდან მყო  
და თქვენი ნახვა სურს.



- რატომ მიდის?
- ბინას ცვლის თბილისში.
- გადადის?
- ღიას.
- მოვიდეს. კინოთეატრის მუშაობა კარგად შეამოწმე, რაიმე დარ-  
ღვევები არ ჰქონდეს.
- მესმის.

— ამხანაგო მელაძე, — მიმართა პირველმა მდივანმა მრეწველობი-  
სა და ტრანსპორტის განყოფილების გამგეს, — ამხანაგი კახიშვილი გა-  
ფრთხილე, ქარხნის ტერიტორია დასუფთაოს და მისასვლელი გზა შეა-  
კეთოს.

— გასაგებია.

კაბინეტი დაცარიელდა. ანდრო ადგა და მაგიდაზე საქალალდეს და-  
აჩერდა. ასობით ოჯახი ახალ ბინას ითხოვს. როგორ, რით დაკმაყოფი-  
ლოს? მშენებლობები ჭიანურდება. ექვესულიანი ოჯახი ერთ ოთახში  
ცხოვრობს, სამართლიანია მათი მოთხოვნა! რა პასუხი გასცეს?.. მაგილა-  
სთან დაჯდა, საქალალდედან განცხადება ამოილო და ერთხელ კიდევ გა-  
დაიკითხა. ხელი ვერ დაიმორჩილა რეზოლუციის დასადებად. გადაუგზა-  
ვნოს ქალაქის აღმასქომს?.. იტყვიან უსულგულოდ მომექცა, ჩემი განც-  
ხადება თავიდან მოიშორაო. იქნებ სჯობს, პირადად დაიბაროს, მოელა-  
პარაკოს, აუსწნას მდგომარეობა და ცოტა ხნით აცალოს, როგორც კი სა-  
შუალება გამოჩნდება, დააკმაყოფილებს. ანდრო ფანჯარასთან მივიღა.  
ეტყობოდა, გარეთ ცხელოდა, ზოგს თავზე გაზეთიც კი წამოეფარებინა.

კარი პირადმა მდივანმა შემოაღო.

- გისმენ, ნუნუ! — კარებისკენ შებრუნდა ანდრო.
- ამხანაგო ანდრო, ერთ საათზე მეტია ვიღაც ქალი გელოდებათ,  
თქვენთან შემოსვლას ითხოვს.

ანდროს თვალებში ეჭვი გამოეხატა.

— ვინ ქალი?

— არ ვიცი, არ ამბობს.

— ჭალარაა?..

— დიას.

ანდრო მაგიდასთან მივიღა.

— შემოვიდეს.

პირადი მდივანი გავიდა. ანდრო უღონოდ დაეშვა სკამზე, თვალაც  
ვერ მიმხვდარიყო, რატომ ლელავდა, ან ძალა სხეულში რატომ წაერთვა.

არასოდეს არ ყოფილა იგი თვით საკუთარ თავთანაც ასე უძლურებელი გრძნობდა, რომ შემთხვევით არ გამოლაპარაკებია უცნობი ქალი / ტალი / ფონჩე, არც ის ჭალარა ქალი გამოჩენილა შემთხვევით. გრძნობზე შემთხვევა რამ ვერ გარკვეულიყო, რასთან იყო ყოველივე ეს დაკავშირებული უძლებელი უნის საქმეები ჰქონდა გადასაწყვეტი და ახლა თვალწინ არ შორცებოდა წარსულის სურათები, ეჭვები. ამდენი წლის მივიწყებულმა გრძნობებმა გაღმორეთქა და წონასწორობა დაურღვია.

ქარი გაიღო.

— მობრძანდით! — უთხრა მან ჭალარა ქალს და წამიერი შეერა სტუროცა. მყისვე დარწმუნდა თვისი ეჭვების სინამდვილეში, მაგრამ მაიც ეღლდა, რა მოხდებოდა.

ქალი მაგიდასთან გაუბედავი ნაბიჯით მივიდა.

— დაბრძანდით! — უთხრა ანდრომ და ახლა უფრო გარკვევით შეხედა მას. „ის არის!“ — გაიფიქრა და მღელვარება რომ დაეძლია, საწირეალამი აიღო, შეათამაშა.

ქალი დუმდა.

— გისმენთ.

ქალმა ტყავის ქველი ხელჩანთიდან პატარა ფოთლება ცხვირსახოცი ამოიღო, თვი ასწია და მდივანს შეხედა, — ძალიან ნაცნობი, ახლობელი თვალები, მეტყველი, სიცოცხლით სავსე თვალები და უცებ წარმოუდგენელი რამ — იმ თვალების პატრონი, ეს დაჩიავებული, ქალარა ქალი. ანდრომ მის მეტყველ შემოხედვას ვერ გაუძლო, მაგრამ შინაგანი პალა იგრძნო, ან უნდა დაიმორჩილოს იმ თვალებმა, წარსულის გახსენებამ, ან და ცივი, გამყინვავი მზერით უნდა უპასუხოს. ქალმა ცხვირსახოცი ტუჩებზე მოისვა და ისევ ხელჩანთაში ჩადო. არ ჩქარობდა. რამდენიმე წუთი გავიდა ამ შიმიე ლოდინში. თითქოს ერთმანეთს ძალის მოსასინჯად უცდიდაენ, პირველი რომელი გადადგამდა ნაბიჯს.

— ექვსი თვეა თქვენს ქალაქში ვცხოვრობ, — ქალს თვალი აუშელიანდა, — ბინა არ მაქსი, არც ვმუშაობ. სამი შვილის დედა ვარ... — ხმა გაებზარა, — მიკირს ყველაფრის თქმა...

— დამშვიდლით, ნუ ღელავთ! — ფარული ღელვით უთხრა ანდრომ და ხელავდა, თავად იყო დასამშვიდებელი.

— მეუღლემ სახლიდან გამომაგდო, არც ჩემს ქალაქში ცხოვრების საშუალება მომცა... არ მომასვენა, მთვრალი მომვარდებოდა და მცემდა, ბავშვებს ქუჩაში ყრიდა. იძულებული გავხდი, წამოვსულიყავი!

ანდრო სკამზე შეირწა.

— ბავშვები დიდებია?

— უფროსი თორმეტი წლისაა.

— თორმეტი წლის, — გაიფიქრა ანდრომ, — იგი ხომ ოცდასმი  
წლის წინათ გათხოვდა.

ქალმა ისევ გახსნა ხელჩანთა და ცხვირსახოცით სველიყოფული  
ამოიშმინდა.

— პირველ ქმართან ბავშვი არ მყავდა, — თითქოს გუმანით მიუხ-  
ვდაო, განაგრძო ქალმა, — მხოლოდ სამი წელი ვცხოვრობდი მასთან.  
მგზავრობის დროს ავარიაში მოხვდა და გარდაიცვალა. გათხოვებას არ  
ვაპირებდი. მშობლები შემომიჩნდნენ და მეორედ გადავდგი წინდაუხე-  
დავი ნაბიჯი.

ანდროს მოთმინების ფიალა აევსო, ძლივს იოკებდა გრძნობებს.

— არასოდეს არ მიმუშავია, ქმარმა არ გამიშვა სამსახურში. ძალა-  
ან მინდა ვიმუშაო. სამი შვილი ჩემს კისერზეა. რა სამუშაოც არ უწდა  
იყოს, ვიმუშავებ, რომ ბინა მქონდეს და ქალაქში ჩაწერილი ვაყო.

— გასაგებია, — თქვა ცივი ტონით პირველმა მდივანმა.

— დიდი ხანია ვაპირებ მოსვლას, მაგრამ ვერ გავბედე... ახლაც ვერ  
ვეტვით, რა ძალამ მომიყვანა თქვენთან. მინდა გამიგოთ, უკანასკნელ  
დღეში ვარ. იქნებ ბინა მომცეთ!

— საღ ცხოვრობთ?

— ფარდულში. ნაცნობმა დამითმო დროებით. იატაკი არა აქვს, ღა-  
ნერი დავაგე მიწაზე. ქალმა თვალები დახარა, — მეტის თქმა არ შემიძ-  
ლია. ბავშვები რომ არ მეცოდებოდეს...

— ბავშვები სკოლაში დადიან?

— არა!

— მდა... — ნერვიულად თქვა ანდრომ და ქალი უფრო გაბედულად,  
დაკვირვებით შეათვალიერა. იგი არ ღელავდა, არც არავითარ გრძნობე-  
დაკვირვებით მიწაზე. ქალმა თვალები დახარა, თითქოს ქალი არავითარ წარსულთან რა-  
ძის მოხლვავებას განიცდიდა, თითქოს ქალი არავითარ წარსულთან რა-  
ძის აკავშირებდა. მის წინ იჯდა ქალი, რომელიც დახმარებას ითხოვდა.

ქალი აღგა.

— მაპატიეთ, — თქვა მან.

ანდრომ მზერა გააპარა. ქალს გამოხუნებული კაბა გვერდზე გარ-  
ღვეოდა და მონარღვევი ძაფები ფოჩივით ეკიდა. აღარაფერი დარჩენო-  
და ძეველი სიკოხტავისა, გემოვნებისა. ქუჩაში რომ გამოჩნდებოდა, ბიჭე-  
ბის მზერა ფეხდაფეხს დასდევდა, მზე იცინოდა მის თვალებში, წყარო რა-  
კრაკებდა მის ბაგედან, და იგი ახლა იდგა დაჩიავებული, დაბერებული,  
იდგა და თავადვე გრძნობდა, რომ ამაოება იყო.

„ბელნიერი ვარ, ჩემო ანდრო.“

„შენ სულ, სულ ბედნიერი იქნები!“

„მართლა?“

„ჰო, სანამ ერთად ვართ, ბედნიერი ვიქნებით!“

„რა კარგია!“

ანდრო იღუმალმა ძლიერმა ძალამ სკამიდან წამოაგდო. ქალი იქ შე-  
უნიშნავს მისი არაბუნებრივი სახე, თვალები, ხელების ნერვულულობრივა  
რაობა, — კარებისკენ შებრუნდა.

— მიღიხართ?

— დიახ.

— ერთი საათის შემდეგ შემოიარეთ, პასუხს ჩემი პირადი მდივანი  
გეტუვოთ.

— გმაღლობთ.

ქალის ხმაში ის შორეული ბედნიერება გამოკრთა და კარის სახე-  
ლურს ჩავლო ხელი, რომ არ წაქცეულიყო. შუბლი კარს მიადო, ასე იქ ა  
რამდენიმე წამს სამარისებურ დუმილში. მერე ძალა მოიკრიბა და გავი-  
და. გაოგნებულმა ანდრომ მზერა კარებს მოწყვიტა, სკამზე დაეშვა და  
ხელებზე თავდაყრდნობილი, გაყუჩებული იჯდა. მას არაფერი არ უთ-  
ქვაშს, თითქოს პირველად ხედებოდნენ ერთმანეთს. გაჭირვებამ მოიყვანა  
მასთან და არა ნაცნობობამ. მას არაფერი არ უთქვაშს, იქნებ აჭიბებდა  
ერთი სიტყვა მაინც დაცდენოდა. მაშინ ხომ ასე მწვავე არ იქნებოდა ეს  
შეხვედრა?! სად არის ძეველი სიამაყე... ყოვლად დამცირებული ელოდე-  
ბა მის დიდსულოვნებას... მან ხომ მიატოვა, უღალატა თავსაც და სიტყ-  
ვასაც, სამუდამოდ დაუდალა გული...

კარი ნელი ჭრიალოთ გაიღო.

— რა არის? — მაშინალურად იყითხა ანდრომ.

პირად მდივანს სახეზე ფერი ეცვალა, არასოდეს არ გაუგონია პირ-  
ველი მდივნის ესოდენ ათრთოლებული, ავადმყოფური ხმა. სიტყვა ენის  
წვერზე დაადგა, ცუდად ხომ არ ხართო, მაგრამ თავი შეიკავა.

— სამშენებლო ტრესტის მმართველი ითხოვს შემოსვლას, — უთხ-  
რა იმავე მთრთოლვარე ხმით.

— დამელოდოს.

გოგონა უსიტყვოდ გაბრუნდა. ანდრომ თავს ძალა დაატანა და  
ტელეფონის ყურმილი აიღო, ნიმრის აკრეფა გაუჭირდა, ყურმილი ლო-  
ყაზე მიიღო და უაზროდ დასცემოდა ტელეფონს. მერე ხელი წელა წი-  
ოლ და ნომერი აკრიფა.

— გისმენთ! — მოესმა აღმასკომის თავმჯდომარის ხმა.

— გოჩაძე გელაპარაკებათ.

— გისმენთ. — ახლა უფრო მკვეთრი ხმა გაისმა.

— ერთი აუცილებელი თხოვნა მაქვს! ერთ საათში თქვენთან ჩემი  
სახელით ქალი მოვა და უნდა დაეხმაროთ. ვიცი, ცოტა ძნელა საქმეა,  
მაგრამ უარი არ უთხრათ!



ეროვნული  
ბიბლიოთეკი

— მაინც რა საკითხზე?

— ბინა უნდა მისცეთ!

— ამხანაგო ანდრო...

— ვიცი, ვიცი... — გააწყვეტინა სიტყვა მდივანმა, — ჭიქუშებისა-ნაგურად, მეგობრულად, გავალებთ... როგორც გსურთ, ისე მიიღეთ, ოღონდ ის ქალი დღესვე დააკეყოფილეთ... წერეთლის ქუჩაზე ხალხი...

— კანონის აშკარა დარღვევაა, — ახლა თავმჯდომარებ გააწყვეტინა სიტყვა, — გამოსახლებულ სახლში როგორ შევუშვა! და თანაც ის სახლი უნდა დაინგრეს!

— რამდენიმე თვეს მშენებლობა არ დაიწყება. შემდეგ კი ერთ ბინას გამონახავთ. მე ამას გავალებ!

— მესმის, მაგრამ გვიჩივლებენ.

— გვიჩივლონ, პასუხს მე ვაგებ! — ყურმილი დასო და დაფიქრდა. საათი ყრუდ წიწიკებდა, თორმეტი გამხდარიყო. ფანჯარას ზე მოადგა და იატაქზე ვიწრო ზოლი ოვალურად ეცემოდა. მანქნის გრიალშა დაარღვია სიჩუმე. ანდრომ თავი ასწია. საწერკალამი, რომელიც მაგიდაზე ეგდო, აილო და ხელში შეათვამაშა. ქვეშეცნეულად კმაყოფილებას გრანი-ბდა, როგორც ადამიანმა თავისი მოვალეობა მოიხადა და ყოველგვარი ხი-ნჯისაგან განთავისუფლდა.

ზარის ღილაკს თითო დაჭირა. კარებში პირადი მდივანი გამოჩენდა.

— სთხოვე! — და გოგონა კარებში შეაჩერა, — შენთან ის ქალი ძოვა და უთხარი, აღმასკომის თავმჯდომარესთან მივიდეს.

გოგონამ კარი გაიხურა, მაგრამ იმავე წამს გააღო და კაბინეტში სა-მშენებლო ტრესტის მმართველი შემოვიდა. ალელვებული და შეცდუნე-ბული იყო, გეგონებოდა, ღილიდან მოყოლებული ურბენიაო. შდივანი ცხობისმოყვარე, შემქრთალი თვალით შეათვალიერა, წინასწარ უნდოდა ამოეკითხა მის სახეზე რა გუნდებაზე იყო. ნელი ნაბიჯით მივიდა მაგიდა-თან. ანდროს თავი არ აუწევია, არც მმართველი აპირებდა უნებართვოდ დაჯდომას.

ანდრომ მზერა შეაპარა.

— დაბრძანდით.

მმართველი დაჯდა, ხელები მაგიდაზე დაწყო და დაელოდა. ანდრომ სუფთა ქალალდი წინ დაიდო, თითქოს შენიშვნები უნდა ჩაეწერა.

— კომბინატის მშენებლობა ჭიანურდება თურმე.

— ამხანაგო ანდრო...

— ვიცი, გინდა თქვა, რომ საშენი მასალა არაა, — გააწყვეტინა სიტყვა მდივანმა, — მაგრამ ხომ შეიძლება სხვა საშუალება გამოინახოს?!

— ერთი თვეა ვაგონი გამოგზავნილია და არ მიგვიღია.

— რაც არის, გაგნაწილებინათ!

შმართველმა თავი დახარა.

— ვერ გავტედე, ვაგონმა რომ დაიგვიანოს, სხვაგანაც შეგვიტრუ  
ხდება შშენებლობა.

— და სანამ ფიქრობთ ასე? წლის ბოლო აზლოვდება, დროში შემდებრება  
მენს!

— მესმის!

— მოსახლეობა საყვედურს გამოთქვამს შშენებლებზე.

შმართველმა შეცბუნებული მზერა შეავლო მდივანს.

— ნარჩენებით ეზო-კარი ნაგვიანდება, ნარგავებს არ უფრთხილდე-  
ბიანო. თითოეული ობიექტი დაათვალიერე და გააფრთხილე ყველა —  
მეტი ყურადღება გამოიჩინონ. ერთ საქმეს რომ ვაკეთებთ, მეორეს ნუ  
გავაფუჭებთ.

— გასაგებია, ამხანაგო ანდრო!

— ერთი კვირის ვადას გაძლევთ, ყოველგვარ ზომებს მიიღებთ, რომ  
კომბინატის შშენებლობა განაგრძოთ. ვალდებული ხართ, ყველაფერი გა-  
აკეთოთ თქვენი ქალაქისათვის!

ანდრომ თავი დახარა, შორეული სინდისის ქენჯნა იგრძნო, იგი მო-  
რალურად საკუთარი თავის წინაშე შეურაცხყოფილი იყო. მან თავად  
დაარღვია კანონი. სიკეთემ აიძულა გადაედგა მრუდე ნაბიჯი! ამ, სანამდე  
გასტანს ეს სულიერი ქენჯნა მასში, მას ხომ არაფერი გაუკეთებია საკუ-  
თარი თავისთვის.

შმართველი ადგა.

— შეიძლება წავიდე?

— წადით!

(გაგრძელება იქნება)

\* \* \*

მოდი, ჩამოვსხდეთ, ამნაირ ბალახს  
 სულსაც რომ ვლევდე, მაინც ვანატრებ.  
 შენს იქით თავიც არ მინდა ქალავ,  
 აი, ყველაზე ნაღდი სიმართლე.  
 შენს იქით ქალი რად მინდა ქალავ,  
 ოხრად ეფინოს თუნდაც დალალი.  
 ვისა აქვს შენი თვალების ძალა,  
 ანდა ღიმილი, ასე ალალი.  
 ვისა აქვს შენი ტუჩების გემო  
 მზეზე გამდნარი მარწყვივით ტკბილი.  
 დამმარხე თუნდაც ერთ კოცნის გამო,  
 სამყურას მსგავსად ამოვალ დილით.  
 მოდი, დამიგე კალთა კაბისა,  
 მივესვენები და სულსაც მივცემ.  
 მკერდთან გრძნეულის ნაწნავს წავისვამ  
 და წამოვდგები სიზმრიდან ისევ.  
 მოდი, ჩამოვსხდეთ, მაგ კაბის ფერმა  
 მითხრას თუ წყენა გროშად არა ღირს.  
 მოდი, დამკარი თვალების ელვა  
 და გადამსრისე როგორც ბალაზ...

### ამ გაზაფხულზე

„შე მიყვარს, როცა ყანაში გახვალ“

ლადო ასათიანი

ამ გაზაფხულზე სოფელში ავალ  
 და ძმას თესვაში დავეხმარები.

ეგებ მეზობლის გოგომ, შავოვალაშ  
 მეც მომიდენოს ხელში ხარები.  
 ამ გაზაფხულზე მიწის სტრიქონებს  
 გადვუყრი მარცვალს როგორც მთესავი.  
 ამ გაზაფხულზე ჩემს ბედს ვაპოვი  
 და შევიყვარებ სიცოცხლესავით.  
 მთიელი კაცი ნატრობდე გუთანს  
 ამაზე დიდი ცოდვა რა არი.  
 სხვა არის როცა მწიფდება თუთა  
 და იძირება ღვინით მარანი.  
 როცა სიცხეში წვეთი ოფლისა  
 შემოდგომაზე ბელლის ზღვა არი.  
 სხვა არი, ძმაო, მთვარე სოფლისა  
 მზის შემოცინვა მთებზე სხვა არი.  
 ვიცი, სულ უფრო კვდება, მკრთალდება  
 ქალაქთან სოფლის ბჭე და ზღვარი.  
 ქარში რომ ნუში შეფართქალდება,  
 მომყალი, მაგრამ, მაინც სხვა არა.  
 ისე ჩაგივლის გოგო სოფლელი,  
 ისე დაირცხვენს და დაიწვება, —  
 გზები, რომლითაც ერთხელ მოხველი  
 აღარასოდეს დაგავიწყდება.  
 და თუ გეწვის სავსე სტრიქონი,  
 დაგფერფლავს გრძნობა აულესაცი.  
 ამ გაზაფხულზე ჩემს ბედს ვაპოვი  
 და შევიყვარებ სიცოცხლესავით.

## ჩვენი ჯერიბ

რამდენიც იყო აშული ქვეყნად,  
 იმდენჯერ თქმულა ლექსიც ტრფიალზე.  
 ჩვენი ჯერია ბიჭებო ეხლა  
 და ყველა ჭამი ერთად შეავსეთ.  
 რამდენიც იყო ღალატი ქვეყნად,  
 იმდენჯერ გულიც სევდამ მოხარა.  
 ჩვენი ჯერია, ჩვენც უნდა შევსეათ  
 და მოვკვდეთ ისე, როგორც  
 მოქვდარან.  
 მაგრამ, სამშობლო...

იმედი ხვალის  
 ჩვენც უნდა მძიმე გვედგას უღლებად.  
 ფხიზლად გვეჭიროს ბიჭებო თვალი,  
 საშობლოს გული გვესაუბრება.  
 მომავლის რწმენა აბჯრებად გვეცვას,  
 არ ვიმოკლებდეთ ქარში ნაბავებს.  
 მინდა მეც მუხას ჩავეწნა ფესვალ,  
 მომეშველენით, ძმობას გაფრცებთ.  
 რამდენიც იყოს ქვეყნად აშული,  
 ბედს გზაც იმდენი გაუჩენია.  
 მოვდივარ მთიდან გადმონაჭები,  
 გულს ისევ თქვენსკენ გზა ურჩევნია.  
 ამ ცის,  
 ამ მიწის პატრონი მეც ვარ,  
 ლექსის და ძმობის გზასთან ჩაცა ვარ.  
 მოვდივარ, ჩემი სიცოცხლეც შევსვათ  
 საშობლოს წინსვლის დასალოცავად.

---

\* \* \*

ხის ტოტებზე რაღაც ხმაურია,  
 სკდებიან კვირტები  
 და ცრემლი არ უჩანთ,  
 ატმებს ცეცხლის ალში გაუვლიათ,  
 დაფიფქა ტყემალი, აბოლდა ალუჩა.  
 მიწას სხვაგვარი ძალა ეძლევა  
 და განგებ რატომლაც სიხარულს  
 არ იმჩნევს,  
 ჭალარა მთებზე ია, ენძელა  
 ქარგავენ მიმზიდველ  
 და წარმტაც ხალიჩებს...

\* \* \*

რაღ მინდა პირფერობა,  
 მითხარი წმინდა სიტყვა,  
 მე მომატყუეს ერთხელ  
 და დღესაც გული მტკივა.  
 ნუ შეინახავ გულში  
 ავ ფიქრებსა და წალილს,

რომ უკვე იშონება  
 ქვეყნად ცოდვა და მადლი.  
 კაიკაცობა სწორედ  
 ახლა გვჰირდება შენი,  
 გვითხარი წმინდა სიტყვა  
 და თუგინდ იყოს მწველი.

## აკაკი შონია

# ზღვა და პოეზია

საქართველოს მთავარ საზღვაო ჭიშ-კართან დიდი პოეტის მაღალი ლანდის ყოველი გამოჩენა, მასთან ყოველი შე-ხვედრა სიხარულს ანიჭებს ადგინანებს, მთელ ამ არემარქს, სადაც „ზღვა და ცის დასავალი სიტყვის უთქმელად გრძნობენ ერთმანეთს.“

პოეტის ემოციური კავშირი ზღვასთან იყო უსაზღვრო და უნაპირო, უაღრე-სად ინტიმური. ფაფარაყრილი ტალ-ლების თარჩია ანიჭებდა სულის მშვი-დობას, საათობით იდგა სანაპიროზე და თვალყურს ადევნებდა ტალლების საო-ცარ მარულას, ხანდახან ბურუსში წარ-მოიდგენდა მათ ქეჩებზე მხტომარე ჭინქებს და დემონურად ხარხარებდა, ხან კიდევ სივრცეში ხელს ააყოლ-დაა-ყოლებდა მთავავით წამომართული ტა-ლლების მოძრობას, თითქოს „მსოფლიო ორკესტრს“ დირიჟორობდა ვით „მძლა-ვრი ნიკში“. სიყმაწვილეში პირველად აჭარის სა-ნაპიროზე იხილა ზღვა და სამუდამოდ დარჩა პოსეიდონის მაღიდებელი უფრო იმიტომ, აღბათ, რომ ზღვის ღმერთი თვით უზენაეს ღვთაება ზევსსაც არ ეპ-

უებოდა და აჯანყებას უწყობდა. ეს შეა-მბოხე სული პოეტის შემოქმედებაში ყო-ველვის ერთნაირად როდი ვლინდებოდა; ხან მიძინებული იყო, ხან იღვიძებდა და ზღვის ტალლებივით ეკვეთებოდა ბოროტების ბასტიონებს, ხანაც ვულა-ნივით ამოხეთქავდა...

გამორჩევთ უყვარდა აჭარის სანაპი-რო.

...მიჩვენეთ სადმე ზღვა ამისთანა, ან მოგები ზღვაზე გადასახული.

ამ სიყვარულს მთელი სიცოცხლის-მანძილზე ავლენდა სიტყვით თუ საქ-მით. ბოლოს კი ამ უზადო გრძნობით აღავსო მთელი წიგნი „ოქრო აჭარის ლავერდში“.

გალაკტიონი ფართო პორიზონტის კა-ცი იყო და არასდროს არ შემოფარვ-ლულა არც მშობლიური კუკიშითა და რიონის ნაპირებით, არც სავარდო და სამაისო ქუთაისით. „ლიხს იქით და აქეთ“ გაშლილი სამშობლო ერთიანი, მთლიანი იყო მისთვის. არ დარჩენა არც ერთი კუთხე, რომ თავისი უებრონიში არ მიეფრქვიოს. აჭარაც, ისტო-

რიულად მრავალგზის ნატანჯი შხარე ჩვენი, ბევრჯერ ამთავრო პოეტური გენის ემბაზში. მის შემოქმედებით გაქანებას აქ სიკაბუკის ვნებებიც ასხადდა ფრთხებს. ოცი წლისა არ იყო, ბათუშის მახლობლად, ერთ-ერთი სოფლის სკოლში რომ მასწავლებლობდა და აქედან ქუთაისში უგზავნიდა პირველი გატაცების ალმოკიდებულ წერილებს რაისა ჩიხლაძეს, შესანიშნავი გარევნობითა და ფაქტზე სულიო შემკულ ქალიშვილს, რომელმაც არ გაიზიარა პოეტის გრძხობა და სხვა გზის, სხვა ცხოვრებას მიჰყავა.<sup>1</sup>

მაგრამ რაღად უსიყვარულოდ ყოფხა ამ ქვეყნად? ალბათ ამის პასუხი იყო ცოტა მოვციანებით ნათქვამი: „უსიყვარულოდ მზე არ სუფეს ცის კაბარზე, სიო არ დაჭერის, ტყე არ კრთება სასიხარულო... უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ“.

და ის იყო, სულ მალე ბათუში საოცრად მიმზიდველი, საოცნები ქალაქი გახდა პოეტისტების. თვითონ ქუთაისში იღვწოდა, მისი პირველი დიდი სიყვარული, მომავალი მეუღლე რლია იქუჩავა კი მშობლებმა ბათუში გახილება, რომ გალაკტიონს არ შეხვედროდა. ახლა ქუთაისიდან მოდიოდა „შამაგური წერილები“. არც ქალიშვილი ტრვებდა უქასუხოდ პოეტის წრფელ გრძხობას. ამ პერიოდში, 1915 წელს დაიწერა ლექსი „შენ ზღვის პირად“, რომელშიც პირველად გამოჩნდა გალაკტიონ ტაბიძის ლირიკული პოეზიის მშვენიერი ასული — მერი: „შენ ზღვის პირად შილიოდი მერი, სხივევეშ თრთოდა შენი ნაზი ტანი“...

„ზღვის პირად მიმავალ“ მერის და ამ სახელთან დაკავშირებული სატრფიალო

1 ი. ლორთქიფანიძის წიგნში „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრინიკა“ (თბილისი, 1968) მოთავსებულია რ. ჩიხლაძის ფრთხოსურათიც.

ლექსების მთელი ციკლის ცოცხალი ჩატარება იქნება ოლია ოქუავა იყო<sup>2</sup> დამოწმება შეიძლება გალაკტიონის ჟღვა-ლვარე წერილებით მიზნურის სისტემაზე გვარები პოეტურ, საინტერესო ექისტრულობით მასალებში ჩვენი ყურადღება მიღიარო 1915 წლის 11 მაისით დათარიღებულა წერილმა,<sup>3</sup> განსაკუთრებით კი ორშა ფრაზამ:

„...ოლკინ, რა გითხრა ზღვამ?“

„ოლკინ, მიმდევოთხე ზღვა!“

გახილულ-გადამალული სატრფო და... მკერდგაშლილი ზღვა, — ეს ორი არსება ანდამატივით იზიდავს გალაკტიონს ბათუშში. ახლა ზღვა მოლიანად პერსონიფიცირებულია: იძინებს, იღვიძებს, იშმუშება, იზმორება, თითქოს რაღაც აგონდება და ვერ იგონებს, ნაპირს ლოკავს, ეალერსება, ეჩურჩულება... ზოგვერ მოიწყენს, მოიღუშება, გაბრაზდება, ნაპირს ეხეთქება გააფთრებული, ბორგავს, გმინავს... და ასეთი არის საერთოდ ზღვა კი არა, „ჩვენი შავი ზღვა“.

\* \* \*

გათუმის სამხრეთითა და ჩრდილოეთით, სულ რაღაც სამითლე აოელ კილმეტრზე ორი ძველისცველი ციხე-სიმაგრის — გონიასა და პეტრის ახლანდელი ნანგრევებიც კი მოწმობს, რაოდენ მიმზიდველი იყო ეს სანაპირო იმთავითე და რატომ წარმოადგენდა ის სისხლიანი თუ უსისხლო მძების ასპარეზეს.

„ვიცც ევროპიდან ბათუმს ჩამოვა, პირველად უკველად იფიქრებს სამოთხეში მოვხვდიო. შავი ზღვის ნაპირი საო-

2 ბ. ჩიქობავა, ვინ არის შერი — გალაკტიონ ტაბიძის სატრფიალო პოეზიის გმირი ქალი? „მნათობი“ № 7, 1973 წ. გვ. 203.

3 ფ. ნიშნიანიძე, გალაკტიონის ცხოვრებიდან, გვ. 126, თბ., 1964.

ცრებაა. იგი დამშვერებულია ქთებითა და ნაირ-ნაირი მცენარეებით, მზე თვალებს ჭრის, ფერადები მუსიკალურ სიმუფნისა ქმნიან<sup>4</sup>. ასე წერდა ჩვენი საუკუნის დამდეგს ქართველი ხალის შეგობარი, გერმანელი ორტიქ ლაისტი.

ჩვენს მხარეს მაქებარი სხვაც ბევრი ჰყოლია, მაგრამ მაინცადამანც არტურ ლაისტი იმიტომ დაიმოწმეთ, რომ გაღლავითინ მას თითქმის უოვლოვის ანსენბლა ბათუმში თავის შეითხველებთან, მრავალრიცხოვან პატივისძლებლებთან შეხვედრის დროს, ლიტერატურულ საღამოებზე. დიდმა პოეტმა გულთან მიიტანა „უცხოელი თავისიანის“ ქებათა ქება კი არა, საყვედლურები ქართველი ერისა და მისი მწერლობის შიმართ.

ა. ლაისტი წერდა ქართველები შეზღვაურნი არადროს არ ყოფილია და ხელეთს არ გაშორებიანო, საზღვაოსნო ურთიერთობაში არავითარ მონაწილეობას არ დებულობდნენო, რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ არამდენიმდე ალაგას იხსენიებს ზღვას, მაგრამ გულგრილად, აღუფრთოვანებლადო, არც ამ უკანასკნელ ხანს ქართველთა, კერძოდ შეერთოთ, გულგრილობა ზღვისაღმი არ შეცვლილა.

გალაკტიონმა ამის თანხაზე ეჭვი გამომდევა, ისიც დიდი სიცრთხილითა და მოკრძალებით — ყოველივე ეს გაძისაკვლევი და შესასწავლიაო. „ვეფხისტყაოსანშე“ დასინა — მე ვიცი, რომ მისი თითქმის მესამედი ზღვის ასპარეზზეა გაშლილი და ზღვის მოტივზეა აგებული.

ავარის რადიოს ოქროს ფონდში ინახება ამ სიტყვის ჩანაწერი, აქვეა უნიკალური ჩანაწერი ორი ლექსისა — „მთაწმინდის მთვარე“ და „აი შიზზი, სულო ჩემო, აი მიზეზი“. პოეტის პორთოლვარე ხმი გვაგრძნობინებს სიტყვისათვის ჯვარმული კაცის, სიტყვის

სტიქიონთან მებრძოლი რაინდის გაუმჭრელობასა და სიციადეს. მორობოდ ამ ხმით, ასეთი დაძაბული უამშენებელი შეიძლება წარმოვიდგინა ქმიტულ სივრცეებში დარჩეული გალაკტიოს ტაბიძე.

წიგნში „ოქრო ავარის ლავგარდში“ პოეტს უმრავლესი ლექსებისთვის ეპიგრაფები შეუტრიევია რუსთაველის სიტყვები, რომლებშიც პოემს პეტრონაზთა სამოქმედო არედ ზღვაა განხვეხილი. „საცა გინახავს იგი მზე წამომყევ ზღვისა კიდესა“, „ღმით მევლო, მოვდიოდი, ზღვისა პირსა აჩნდეს ბარნი“, „ნავითა გავე ზღვისაგან, შტო რამე გაშორიდოდა“, „მეფემან ნავი ხომალდი მოკაზმა ზღვისა კიდესა“, „ზღვასა შევე... მომებება ვითა ლელვა“, „ზოგჯერ ზღვისკენ მივიხედნი, წარესადგომიდი ამა გორსა, ზღვასა შიგან ცოტა რამე დავინახე, თუცა შორსა“, „ზღვა გავიარეთ... გავედთ“, „ზღვასა შევედით დატვირთულნი ლალითა მრავალ ფერითა“, „ნაესა ჩივგვე, ზღვასა შევე, ზღვასა შიგან გავალაგდი“, „...ასმათ! ხიდინი ზღვისა ჩა-გვიცველეს... „გამოვლენ ზღვანი ერთგან ძმათ შენაფიცართა“, „ქალაქი გაეცეს, მივიდეს პირსა დიდისა ზღვისასა“ და სხვ.

გალაკტიონს ბარე ცუდაათაშდე ასეთი ეპიგრაფი აქვს შერჩეული და გამოყენებული პარტო ამ კრებულში. ზოგი მათგანი წარმოდგენს გვაძლევს მაშინდელ სანაოსნო ტექნიკაზე, სანაოსნო მეურნეობაზე: „ნავი იყო, გარს ეფარა სამოსელი მრავალცეცი“, „სადაცა სადგურნი ნავთა სჩენოდეს“.

უკვე ხანში შესულ, ჯანგატეხილ პოეტს არც ლრო, არც ენერგია არ დაუშერებია, რომ ზემოთ მოტანილი და სხვა ტეგები მონახა „ვეფხისტყაოსანში“ და თუნდაც ასე, არაპირდაპირი გზით, საკუთარი ლექსების ეპიგრაფებით რუსთაველისთვის მოხსნა ზღვისადმი გულგრილობის ბრალდება.

ზღვა ის გრანდიოზული არენაა, რომელზეც ქართველ პოეტებს საასპარეზოდ უხმობდა გალაკტიონი. თვითვე

4 ა. ლაისტი, საქართველოს გული, 83. 246, თბ., 1963.

იყო ზღვის ლირიკის, ზღვის ჰანგების არტურის ქართულ პოეზიაში. კარგად იცოდა რას აკეთებდა და იძისი ფასიც იცოდა: „აღტაცების ზღვაში“ შევედრი და ოღმვაჩინე „მოელი სამყარო, ქვეყნის-თვის ჭერაც მიუკვლეველიონ“, აბბობდა. ყოველივე ახალს, ყოვლის გარღამქმნელს, მძლესა და ღიადს ზღვას უკავშირებდა. რევოლუციური პეტროგრადიდან საქართველოში ზღვით ჩამოიტანა „სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა“, „გემი „დალანდი“ ქართულ პოეზიაში ეთარებოდა იმ ხომალდს, რომლის ეკიპაჟშაც ახალი კონტინენტი აღმოაჩინა.

პოეტი წარმოიდგენდა, რომ ზღვის ძალა მის არხებაში გადმოიიდა და გროვდებოდა ისე, „როგორც ერთ კალაპოტში მთბეში გაუანტულ მიზარეთ გროვა“ („მე უკვირდები ამ უძირო ზღვას“), შეუძლებლისა და ღვათვარივისენ მიიღოვდა, სრულყოფას ესაფებოდა, „საზეო საქმეს“ ეძლეოდა თავდავიშებით. ამ ღიადი თვითიდარწმუნების, შინაგან ძალთა დაძაბვისა და არა-ჩვეულებრივი სულიერი აღმარტინის ღროს შეიქმნა აღბათ არაერთი ლირიკული შედევრი.

ასეთ პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ 1944 წლის განაფეხულ-ზაფხული, რამელიც გაღარჯონნა მეტწილად ბათუმში გაატარა. აյ შექმნა მან ლექსების მთელი ცეკლი აკარისა და ზღვის თეშებზე, აქვე გამოსცა წიგნი „ოქრო აქარის ლეგენდში“. ამ წიგნის რედაქტორი მხურვანი პოეტი ნესტორ მალაზნია იგორებს იმ დაუკაწყარ დღეებს, როცა აქლო ურთიერთობა ჰქონდა ქართული ლექსის ტიტანთან.

„გაღარჯონი ყოველ ღილით ზღვას პირას ვაღიოდა და შუალებრდე იქ რჩებოდა, მერე დაბრუნდებოდა თავის ნომერში (სასტუმრო „პირველ მაისში“), ისალილებდა და ათიოდე წუთის შემდეგ ჩაიკერებოდა... უკვე სამუშაოდ განწყობილი, წელს ზევით კველაფერს გაიხდიდა, ფოსტლებს უწინდოდ ჩამოიცამდა, საწოლთან მიღმერულ საწერ მაგიდას მი-

უგდებოდა და მუშაობდა წუშაცემაზე ლივ: წერდა, ხევდა, ასწოლებდა მერე ხმამალლა კითხულობდა, კვლეულ-აუტომატიურა ბდა. და ასე ფუსფუსებდა შუალებრდე, შემდეგ ივახშებდა. ცოტა ხნით ქახაში გავიღოდა. მერე დაბრუნდებოდა, ნაწერს გადახედავდა და იძინებდა:

ასე იყო ყოველდღე- გამონაკლისს შეადგენდა ის ღლები, როცა ქობულეოს ეწვეოდა, ხუცუბნის, დაგვისა და ჩაქვის „მწვანე ზღვას“ თვალს მთავლებდა, მწვანე კონცხისა და ციხისძირის წალკოტს მიესიყვარულებოდა.

შემოქმედებითი შრომის შტკის რეჟიმს გაღარჯონი იშვიათად იგუებდა. იძებამად კი ეს აიხსნებოდა მშის დროის მეცირი წესრიგითა და დისკიდლიხით, რაც საქართველოს ზღვისპირეთში, ისიც სახელმწიფო საზღვართან ახლოს, გახსაკუთრებით იგრძნობოდა; აგრეთვე ფაშისტური ბანდებისაგან საშობლოს გაწმენდით და გამარჯვების დამაგვირგვინებელი შეტევით გამოშვეული საერთო აღტაცებითა და ენთუზიაზმით.

მტკრზე გამარჯვების მოახლოებულ მოელვარე ღლებს, ხალხის ენერგიას უკიდურეს დაძაბვასა და წარჩართვას ისტორიიში მანამდე არნაული იერიში-სათვის, პოეტის სულში ემბიანებოდა ყალყზე შემდგარი ტალღების მოძრაობა, ზღვის დაუღგრომლობა, შეკპოვრობა...

— აი სიცოცხლე და უსასრულო ენერგია! ზღვა, ზღვა, ზღვა! — უზიარებდა გალატტიონი თავის აღტაცებას ბათუშელ მჟღლებს.

საოცრად იხიბლებოდა აბობოქრებული ზღვით.

— აბა, წყნარი ზღვა, რა ზღვაა! საკვირველია... ჩვენი პოეტები ზღვაზე არა-ფერს წერენ. ამაზე უკეთესი თეშა სადაა. დღეიდან მე სულ ზღვასთან შექნე-

ბა საქმე. იგი იქნება ჩემი ლექსის საგანი, უცვლელი თემა...

და მოუზღვავდა სათქმელი.  
დაიძრა პოეზიის ახალი ზეავი.

\* \* \*

ვფიქრობთ, გასაგებია რატომ გადაწყვეტილი გალაკტიონმა იმ 1944 წელს, როცა მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე ქვემეხები კვლავ გრიალებდნენ და მიღლიონბით საბჭოთა აღაშიანის ცეცხლით დალით გარუჭული სული უდიდესი ძალის სისხმეებით აღწევდა სასწაულებს, მაინც ადამიანიც ბათუმში გამოეცა თავისი ლექსების კრებული? რატომ აქ შეალია მთელი ზაფხული სიტყვასთან ჭიდილ ამ დროულმა კაცშა?

მაშინ გალაკტიონმა წიგნი თვითონ შეადგინა, როგორც მას სურდა ისე, და ახალ ლექსებთან ერთად ზოგცერის ძველი ლექსი და პოემაც შეიტანა, ახლა კი, ამ დღეებში, როცა ჩენენი ხალხი ზეიმობს დიდი ქართველი პოეტის დაბადების 80 წლისთავს, გამომცემლობა „საბჭოთა აქარამ“ ეს წიგნი ხელმეორედ გამოიტანა სამხეობზე ზოგიერთი კორექტივით. კრებულის შემღენელი პოეტი მამია ვარშანიძე უთუოდ შართებულად მოიქცა, როცა სუსტი ნაწარმოებები მოიღო და სამაგიროდ გალაკტიონის უფრო ხმიერი და ძლიერი ლექსებით გამდიდრა წიგნი, ამასთან ყველა ლექსი შეაძერა და შეასწორა პოეტის თხზულებათა უკანასკნელი აკადემიური გამოცემის მიხედვით.

წიგნში შესულია გალაკტიონის ლირკული პოეზიის ისეთი შედევრები, როგორიცაა: „შენ ზღვის პირად“, „აქარის სილავარდეში“, „ჩემი გულია დღეს ეს შვი ზღვა“, „ზღვაში გადვისკრი ბედითი ბადეს“, „ზღვის სიმფონია“ და

სხვ. ამ ლექსებში დგას მეტად მატების, უნაზესი და უფარიზესი გრძელებული, საოცარი ნათელბალების პოეტურულული საც „არასდროს გაუტევია ჭიდული მიმდევა“. ხოლო პოეტურ „თასში — წყალი“, ყაველთვის სწორდა „ხალხის წყალი“, ყაველთვის სულისა“, მუდამ სკერთვანლებული სულიერ წყაროს სადა, რომ „ყოველ სულიერ წყაროს სათვე არის ხალხი — მარცდ მგრძნობელი ხალხი, მარად მცნობელი ხალხი“.

საზოგადოებრივი ცხოვრება ზღვასა ჰგავს, ადამიანის, მით უცრო პოეტებს, გული ზღვა არის. ასე ქრეაბა ზღვარი ბუნების სტიქიონისა და პიროვნების შინაგანი არს შორის. თუ გინდა ხალხისთვის შექმნა ღრასეული რამ, მთელი ზღვა-ძალა შექნი სულისა უხდა მიმართო დიდი მომავლის საქმისეც.

ზღვაო, რცხება პოეტის  
ლურვარდი — არაზევადი —  
უნდა გეღარებოდეს,  
რომ შექმნას არა დაიდი!

სიკვარულს ნუ შოგანიდებს  
მუწერია თუ განთიალი,  
ერებლებს შენს გარგალიტება,  
რომ შექმნას არა დაიდი!

ზღვაო, პოეტის დარებას  
ვერას აკლდებს წიცდა-დი,  
როს გეგვდეს შენს მღლევარებას,  
რომ შექმნას არა დაიდი.

ამ ლექსის რეფრენი ახლა სათაურადა გამოიტანილი, წიგნის პირველ გამოცემაში კი „დასაწყისი“ ერქვა და ამით იხსნებოდა „ოქრო აქარის ლევარდში“. გალაკტიონი უთუოდ ხაზს უსამდა თავის პოეტურ მრწამს: არა უძრაობა, სიღამილე და შარმავალობა, არამედ მარადიული მოძრაობა და შემოქმედება, — ეს არის ადამიანობის პირველსაწყისი, როგორც რუსთაველი იტყოდა, „იგა საშემო საზეო, მომცემი აღმაფრენათა“. პოეტი ხმას უმალლებს:

მოსწოდ ბედის მშვილდები,  
გზარავდეს გზა უნიათი —

6. ამ ახალი გამოცემიდან გვაქვს ცი-  
ტირებული გალაკტიონის ლექსები.

ნურასძლოს ნუ დაშვიდდები,  
რომ შექმნა რამე დიადი.

არდამშვიდების, დაუსრულებელი ძიებისა და შემოქმედებითი წვის უებრო მაგალითს თვითონ გალატიონი იძლეოდა. 1944 წელს ზღვისა და აჭარის თემებზე ლაშერილი ლექსები ცალკე კრებულად რომ გამოსცა, მას შემდეგაც არ გაუშვია ხელიდან, არ მიუტოვებია უთვისტომოლ, შექმნდა კვლილებები და შესწორებები, არჩევდა უკეთეს შატვრულ სახეებს, კვლავაც მძაფრებდა რიტმს, ამასვილებდა ინტონაციებს, დაუზოგავად აშორებდა ყოველივე ზედგეტს — სიტყვებს, ტაქებს, მთელ სტროფებს და აღწევდა კომპოზიციურ მთლიანობასა და სიმტკიცეს, სასურველ ეძოციურ ეფექტს. ეს ლექსები შეტანილია ახლანდელი აკადემიური გამოცემის შეხუთეობიში და ქართული პოეზიის შევენებას წარმოადგენერა.

7 უნიკურ კაცს მოწაფეობა ერცნინება და მასწავლებლის ხსნებასაც გაურბის, ნიჭიერს ეამაყება მასწავლებლის სახელ-ლიდება და სამაგიეროსაც ლირსეულს მიუზღავს. ასე მოიქცა მურმან ლებანიძე — გალატიონს მიუძღვნა მთელი ციკლი ლექსებისა. ერთ-ერთი ლექსი სწორედ შეხუთე ტომისა და ზღვისპირის პანგების უმაღლეს პოეტურ შეჯასებას წარმოადგენს და მთლიანად მოგვაძვს.

გალატიონი მობრძანდა,  
უცნობ პოეტებს შესცინა,  
მაჩაბლის ქუჩით მობრძანდა  
და ახლა ბაღში მოჩანდა  
წვერმოშვებული ჭეკილად.  
მოვლილი ჰქონდა ზღვისპირი,  
წელს ზღვისას წერდა მეტწილად,  
ხელთ თვისი უნაბისიფერი  
მეხუთე ტომი ეჭირა.  
მეხუთე ტომი ეჭირა,  
რომელსაც წლები შესწირა,

ამ ტომში 505 გვერდიდან (ტრაქოს, შეუცილებელისა და სარჩევის გამოყენებით) 278 უჭირას კორპუსით შემუშავდებოდა დაკაბადონებულ უძველესი ტექსტებს, დანარჩენი 235 გვერდი კაბეტით აწყობილ, მიკრით, შეიძროდა დაკაბადონებულ ვარიანტებს, არაერთხელ შეცვლილ, შესწორებულ, გადაადგილებულ სიტვებსა და სტრიქონებს... ეს არის შემოქმედის გულის ძალუმი ფესტვის, ჭოჭოხეთური შრომის თვისცემური კარდიოგრამა, ძვრფასი მასალა, რომელსაც შევყავართ პოეტის გრაბდიოზულ შემოქმედებით ლაბორატორიაში.

ასეთი ზეადამიანური ძალა და ჭაფუა საჭირო, „რომ შექმნა რამე დიადი“.

ასეთი ტიტანური ძალისა იყო „**კონსტიტუციასი**“ აეტორი, რომელსაც გალაქტიონმა არა ერთი ლექსი უძღვნა: „პოემა ვეფებისა“, „ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის“, „შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად“ და სხვ. კითხულობთ ამ უკანასკენელ ლექსს და თვალშის გვარება იერუსალიმის უცველესი შობეტრის ერთ-ერთი კედლის ფრესკიდან შევიდად ჩამომავალი მოხუცი; ფერთა და ხმათა შეუცე მხებებიდან იბერტუას საუკუნეების მტვერს, კირსა და გაცრეცილ სალებავს, ზედ რომ გადაუხვეს ზოხო ტომის ლეთისმსახურებმა: მრავალ ქვეყანა მოვლილი, მრავალ საუკუნე ვა-მოვლილი, მრავალგანცდილი ბრძენთა ბრძენი გადმოლახვს ზღვასა და ხელს, და რაც უფრო უახლოვდება გახახლებული სამშობლოს ზღვისპირეთსა და

რომელიც ტიტანიური  
ტანგვით სამშობლოს შესძინა.  
სასახლის ბაღში მცდომარეობ  
ერთხანს სათვალე ამშრალა,  
მერე ის შუქთამთოვარე  
სამეფო წიგნი გაშალა.  
ნეტავი იმას რა მოპელავს,  
ნეტავი იმას რა უჭირს,  
„ჩემს პეტრეს, ანუ ივანეს!“ —  
ვისაც ამ წიგნზე წარწერს:

მის ოქროს ხანას, მით უფრო გრძნობს  
მოუღლელ ძალმოსილებას, სიაშაყეს.

ნაპირს, რასაც საოცარი  
სილუვარდით ავსებს ჭუალი,  
სადაც დაფნის ტუებია  
და მზიური ფორთხოხალი,  
ნაპირს, რის მსგავსს ზღვათ მავალი  
კერსად ნახავს კაცის თვალი —  
გადმოვიდა მოყმე ვინმე  
აშავი და სახე მკრთალი.

ჩვლავაც გვინდა გავიმეოროთ ჩვენი  
ზღვისპირების ეს ქებათა ქება: „ნაპირს,  
რის მსგავსს ზღვათ მავალი ვერსად  
ნახავს კაცის თვალი“.

სხვა ცხოვრების, სხვა გარემოთ უცნობ  
ზღვიში შეჭრილი მგოსანი კვლავ დაუ-  
ბრუნდა მშობლიურ მიწას და მუხლ-  
მოყრილი ემბორა, „კვლავ დაეხო,  
კვლავ ცრემლები სისხლის რუებრ შო-  
ატორა“. მაღალი გენის სიხარულის  
ცრემლებით განბანილი ჩვენი სამშობ-  
ლო თვის მაღლიან კალთას, აფარებს  
უკვდევ შეილს და უნეტარესი გრძნობით  
ასმენს მის ფიცს.

გარნა ერთი სიცოცხლე მაქვს,  
გინდა შენთვის გარდავავო,  
სიბრძნეს — ვეუმო, მოძმეს —  
ვეძმო,  
საკადრისი მტერს მივავო.

წარსულისა და თანამედროვეობის  
ასეთი სინთეზური, პოეტური აღქმა, სა-  
უკუნეების ლურჯა ცხენებივით გამოწე-  
ბა განახლებული სამშობლოს შზიურ  
ველზე, მათი ერთ ფოკუსში მოქცევა,  
რათა უფრო ჩქარი ტემპით შივუახლოვ-  
დეთ მომავლის სივრცეებს, — ასეთია  
გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ერთ-ერთი  
ძვირადაც ნიშან-თვისება. ამ ლექსში  
პოეტმა ერთხელ კადევ გვაგრძნობინა  
რარივ ახლობელია რუსთველი ჩვენი  
ეპოქისთვის.

მე რუსთველი ამა ზღვიდან  
შემოვდივარ ჩვენს ქვეყანას.

მოიარო სხვა ქვეყანა —  
ვერ მოისხენ ამგვარ ნანას.  
ნამს შესწირო კაცია თვე ურთვევული  
მხარეს — ედემს ამისთანავე უწლევილობება  
მის ვეფხობას, ზას სიუცვეს,  
სიყვარულს და ოქროს ხანას!

შოთა რუსთველი და გალაკტიოს ტა-  
ბიძე, ეს ორი მშვერეალი ეპიკური და  
ლიტერატული პოეზიისა, ქართული კულ-  
ტურის, ხელოვნების ისეთ გლობალურ  
მასშტაბებს აღწევენ, რომ უმათოდ  
დღეს სამშობლოს ცნებაც კი ვერ ჭარ-  
მოგვიდგვნია.

გალაკტიონმა სამშობლოს თებას შე-  
მოცალა ნაციონალიზმის ნიგზის ხაუ-  
კი, და სოციალისტური სინაძღვილის  
შესაფერი მასშტაბები მოუნახა, ახალი  
იდეებითა და ფორმებით გააძლიერა,  
ამასთან შეუნარჩუნა ეროვნული კო-  
ლორიტი, მისცა შეტე უშუალობა და  
ემოციური ზემოქმედების ძალა. შას  
სრული უფლება ჰქონდა ეთქვა: „წვეთი  
სისხლი არ არის ჩემში არაქართული, ძა-  
ფი ნერვის არ არის ჩემში არა პოე-  
ტის“.

უსასრულო მრავალფეროვნება ლი-  
რიული სიტუაციებისა განსაკუთრებით  
იჩენს თავს პატრიოტიზმი, რომლის  
ფესვები ძალიან ლრმად, პირველყოფილ  
საგვარეულო წყობილებადვე შიდის. ასე-  
თი ხანგრძლივი, მდიდარი ტრადიცია  
ვალში აგდებს პოეტს, მით უმეტეს —  
ლიტერატურს. ლიტერატურისა ერთმიანია და მისი  
ძირითადი მასალა — სიტვა შოტივი-  
რებულია ერთიანი ხასიათით. აღმართ  
ამით უნდა იხსნას, რომ საქაოდ ნი-  
კიერი ლიტერატურის კი საშობლოს  
თემაზე შექმნილ ლექსებში ხშირად ვერ  
სძლევენ ემპირიულ ფაქტებს, თავს ვერ  
აღწევენ ერთფერობას, განშეორებას.

გალაკტიონ ტაბიძე სწორედ აქ არის  
შეუღრძებელი, უსაზღვრო და უხაპირო,  
ცისარტყელას ფერებით მღიდარი, ეპო-  
ქისა და ერის კოლორიტით გამორჩეუ-  
ლი, რაც მთავარია — პოლოშედვე ჭართა-

ლი და გულწრფელი. არასდროს ეს თემა მისთვის არ ყოფილა სპეციალის საგანი; სიხარული და აღტაცება, უქაყაფილება და საყველური, უნდობლობა და ეკვა. ყოველგვარი აღამიანური გრძნობა გაანიცთა პატრიოტულ ლირიკაში და ცხოველმყოფელი სული შთაბერა. ამ მარივ ძალიან საინტერესოდ შიგვაჩნია ლექსი ჩემი გულია დღეს ეს 'შავი ზღვა'.

ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა,  
თავში იდებული აჭარის კალთებს,  
რაც დატებილა ჩემს თავშე რისხვა  
თქვენს მშვიდობიანს ასცდეს  
ხომალდებს.

ამ სტროფში რა არ ჩატეულა: პოეტის გული, ზღვა, აჭარა და იხტიში, მწარე მოგონება წარსულისა და წრფელი ლოცვა — ქვეყნად სუფევდეს უშვილობა, სიკეთე, პარმონია...

სხვას თუ არ უნდა ამის გაგება,  
შენი გაიგებს ნაძიებ და ფრთხი, —  
რომ ქვა არა ვარ და ქანდაკება,  
არამედ კაცი რწმენით და იკვით.

ვალა ეტიონი პირდაპირ, ყოველგვარი მხატვრული შეფარვის გარეშე აბბობს, რომ ის ამვეყნიური არსებაა და შისოვის აღამიანური არაფერი არ არის უცხო, არც რწმენა, არც იკვი; რომ შწარედ განიცდის ყოველგვარ უნდობლობას და უამინდობას.

პირველ სტროფში ნახსენები „ზღვა“ და „აჭარის კალთები“ მიგვანიშებს, რომ ის ვისაც პოეტი მეორე სტროფში შენობით მიმართავს და ძალიან ახლობლად გამოაჩინებს, არის საქართველოს თვალწარმტაცი შხარე — აჭარა. „ფიჭვიცი“ არ უნდა იყოს მხოლოდ რითმისთვის („ჭევი“) მოტანილი. ამის გაჭირება არასდროს არ ჰქონია. მან ხომ მთელი რევოლუცია მოახდინა ქართული ლექსის რითმის კონსტრუქციაში!

იმ ლექსის შემთხვევი სტრიქონები ნამდვილი აღსარებაა იმ კაცისა, რომელიც მზად არის ყოველგვარი განსაცდელისა—

თვის, ოლონდ იყოს ნათელი მიზანი / და მტკიცე იმედი სამშობლოს სტრუქტურული მარკებისა. 

რომ მომავალშიც ავიტან მრავალს უამინდობას, წყურვილს, სიცივეს, ოლონდ ვხედავდეთ ჩევნ წინ მიმავალს —  
ერთი იმედის შუქს მოციმიციმეს. დაბრკოლებათა ათასგარ ხავანს, შეურაცყოფის სუსხსაც ავიტან, ოლონდ ვხედავდეთ სიცოცხლის საგანს  
ჩემი სამშობლოს სანახავილან. მარტობასაც ავიტან მწარეს, უმეგობრობას ავიტან მძიმეს, ჩემი სამშობლოს სანახავილან იონდ ვხედავდეთ შუქს მოციმიციმეს.

სამშობლოს საქართველოშე უკალაფრის მიტანა საუკუნეების ბიბილზე ტრადიციად მოსღვამდა ქართულ შეტალობას. გალაკტიონ ტაბიძე ამ ტრადიციის სახელოვანი გამგრძელებელი იყო. გალაკტიონის პატრიოტული ლირიკა მრავალ ჩახედებს სულში უკელა, ვისაც ჩოხა-ახლოება, კაბალახი და უძირები ქართული პატრიოტიზმის ფორმა ჰქონია, ხოლო ღვიძით სახსე ყახში და გაწელილი სადღვეგრძელოები — ქართველობის დასტურლამალი.

პატრიოტიზმი გალაკტიონი, პირველ ყოვლისა, გულისხმობდა ხალხის სიყვარულს, ამასთან უყურადღებოდ ამ ტავებდა სხვა კომპონენტებსაც, კერძოდ, ზღვას. ზემოთ მოტანილ ლექსის ვარიანტებსა და შენიშვნებში რამდენიმე აღილას არის ნახსენები შავი ზღვა: „რა უგულოა ჩევნი შავი ზღვა“. „თუცც უგულოა ჩევნი შავი ზღვა“, „რა გულივია ჩევნი შავი ზღვა, „რა გულივია ჩევნი შავი ზღვა, როგორ აჭალებს ნავების კალთებს“, „როგორ აჭყდება აჭარის კალთებს“. აქედან ვირც-

ერთი სტრიქონი უერ მოხვდა ძირითად ტექსტში, გალაკტიონშია თვითონ გადა-  
ხაზა ისინი, თავის სტრიქის ყველა  
„ბრალდება“ მოუხსნა.

„უსაზღვრო არის ზღვის ბრაზი და  
თავგამტერება“, მაგრამ არა შური და  
მტრობა. არა ღვარძლი და გაბორო-  
ტება!

ზღვისადმი პოეტის სიყვარული იმ-  
დენად ძლიერია, რომ მუდამ ქებათა  
ქებას აღავლენს, მის დამანგრეველ  
ძალას ხოტბს ასხამს, ზოგჯერ დუმი-  
ლით უვლის გვერდს, ან ამსუბუქებს.  
ვერ წარმოუდგენია ქვეყანა, რომელ-  
საც ზღვა არ ეკვრის. აღიდებს „შავ  
ზღვაზე ამომავალ მზეს“.

ერთგან ბავშვიერი კითხულობს —  
„ვისა აქვს ჩვენსავით ზღვა?“ და ასე-  
ვე მიამიტურად უპასუხებს: „არავის,  
არავის!“

წარმტაცი მშობლიური ნაპირისკენ  
რუსთაველის შემდეგ ილიასა და აკაკის  
დიდებულ ლანდებს უხმობს.

დადგა ზღვის პირად,  
კით ბუმბერაზ მუხების ლანდი,  
ორი დიდი ხნის  
მევობარი, ორი გიგანტი.

იმათო საზრუნავი ხომ ყოველოვის  
იყო სამშობლოს ბედი და აქაც, ამაზე  
მსჯელობენ.

აქვე, ზღვის პირას იშვა ქართული  
პოეზიის შედევრი „მთაწმინდის მთვა-  
რე“, რომელსაც გალაკტიონშია „პროგ-  
რამული ლექსი“ უწოდა. მასში ისახა  
პოეტის დამოკიდებულება კულტუ-  
რული მემკვიდრეობისადმი, წინამორ-  
ბედი მწერლებისადმი.

ბათუმელებთან ერთ-ერთი გულითადი  
შეხვედრის დროს გალაკტიონშია მოი-  
გონა: „ეს იყო წინათ, დიდი ხნის წი-  
ნათ. მე გახლდით ბათუმში. ზღვის პი-  
რას მომესმა ქალის საამო ხმა. იგი

მღეროდა მოტივს „გედის სიმურა“  
ჩეეულებრივ, გედი სიკედილის წინ  
მღერის, ეს იგი, სიცოცლულე უკავშირდება  
ხელ. ამ მოტივმა განსაკუთობდება  
შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მა-  
შინ... აქვე ზღვის პირას დავწერე ერ-  
თი ლექსი სათაურით „გედის სიმღე-  
რა“, რომელშიაც გამოვიყენე ის მო-  
ტივი, რომელზედაც მღეროდა ქალი.  
მღერის გედი, რომლის ხმა თანდათან  
ძლიერდება... ძლიერდება და... ბოლოს  
წყდება...“<sup>9</sup>

შემდეგ ამ ლექსს „მთაწმინდის მთ-  
ვარე“ უწოდა პოეტმა.

ასევე კონკრეტულ ლირიკულ სი-  
ტუაციაში იშვა კიდევ ერთი ლექსი,  
რომელიც მხატვრული ღირსებით ძა-  
ლიან შორსაა „მთაწმინდის მთვარი-  
საგან“, მაგრამ მასშიც არის რაღაც გა-  
ლაკტიონისეული. ამ ლექსსაც აქვს თა-  
ვისი ბიოგრაფია...

... იმ დღეს გალაკტიონი ბათუმიდან  
ქობულეთს რომ უწვია, რინიგზის სა-  
დგურები ერთი ჩიჩქოლი და ვაი-ვაში  
იყო. ეწვი შეეპარა — გერმანელები  
საპარტი გზით ხომ არ მოსწოდნენ  
ჩვენი შავი ზღვის ნაპირს. მაგრამ არა,  
თვითონ ზღვა ყოფილა შეოთის მი-  
ზეზი. მისი ტალღები სოფელ ბობოკ-  
ვათის იმ უბანს, სახალვაშის რომ ეძა-  
ხიან, მივარდნია და სიმინდის ყანები  
წაულია. მერმე მემედ ხალვაშის სახ-  
ლის ბოკონები მრულვევია და კედ-  
ლებიც უნდა დაენგრია, მაგრამ მამა-  
ცმა ადამიანებმა ბევრი რამ გამოსტა-  
ცეს სტიქის და იქ იტანეს, მაღლა  
ფერდობზე, სადაც ზღვით დაშინებუ-  
ლი მემედი უკვე აშენებდა ახალ სახლს.

9 ფ. ნიშნიანიძე, „გალაკტიონის ცხო-  
ვრებიდან“, თბ., 1964, ვ3. 60.

ეს ამბავი დაედო საფუძვლად გალა-  
კტიონის ერთ-ერთ უსათაურო ლექსი,  
რომლის პირველ სტროფში ნახსენებია  
მემედი.

ბობოქარ ტალღებს გასცემის  
ძალშე მოხუცი მემედი  
და ფიქრობს: ახეთ ამბების  
მომსწრე არა ვარ მე მეტი.

როგორც კი გავიგოთ, რომ გალაკ-  
ტიონის ლექსის ლირიკული გმირი  
ყოფილა გვარად ხალვაში და ბობოქარ  
ზღვას იძულებული გაუხდია სანაპი-  
როდან. მოშორებით, უსაფრთხო ფერ-  
დობზე გაეჩინა ახალი სამოსახლო, და-  
უუკავშირდით ამ მიღმის მკვიდრს,  
ამჟამად რუსთაველის სახელმის ბა-  
თუმის პედიმსტიტუტის ფიზიკის კათე-  
დრის გამგეს, დოცენტ ხუსინ ხალ-  
ვაში, რომელიც მემედის ბიძაშვილი  
აღმოჩნდა. იგი მაშინ იქ ყოფილა, რო-  
ცა გალაკტიონს უნებებია ზღვის ნამო-  
ქმედარის ნახვა. მგოსანს გარს შემო-  
ვევიან და ლაბარაჟში ჩაუბათ.

— ჩემს ყმაწვილკაცობაში მახსოვს  
როგორ შემოვარდა რიონ სოფელში,  
არაერთი სახლი წაიღო და ნაფორე-  
ბად აქცია, სარჩო-საბადებელიც ზედ  
მიაყოლა და შავ ზღვაში ჩაჩიდა, გზე-  
ბი მოშალა, ყანები წალექა... ჩვენს  
ოდა-სახლს კი როგორლაც გვერდი აუ-  
არა, არ გამეტა... მოდი ეხლა, ძამიკო,  
და უძახე „გადარებული რიონი!“

იქ, რიონის პირას დღესაც დგას ის  
სახლი, სადაც გალაკტიონი დაიბადა.  
დროდადრო გამოჩნდება პოეტის ლან-  
დი და კვლევაც იმეორებს: „აქ წარსუ-  
ლშიაც და მომავალშიც შეჩერდებიან სა-  
უკნენი“. —

ეს კი, ბობოქეთის ფერდობზე „სა-  
ხლი დვას მწვანე ჩარჩოში“, რომელ-  
საც მაშინ, 1944 წელს ფუძე და ჭერი  
დაუღოცა გალაკტიონში.

ხუსეინშა გვიმბო, როგორ მიიპატი-

ფა და მიიღო მემედმა დიდი  ახალ სამოსახლოში.

გალაკტიონი სხვებთან ერთგულად მისამართის. სუნთქვა უჭირდა. აქაც თუ აწეა-  
ლებდა სურვილი პარველხილვისა.  
უფრო სხვები უთმობდნენ გზას, სა-  
პატიო სტუმარს წინ არ უსწრებდნენ.  
გალაკტიონს მოეწონა ნაშენობა.

— უყურეთ მემედს ახლა თქვენ, რა  
ლამაზად ამოუკავნია კედლები!

ყველგან სილამაზეს ეძებდა „მშვე-  
ნიერების ლექსით მქებელი“. აქიდან  
ზღვა კარგად მოჩანდა და ამან ხომ  
სულმთლად მოხიბლა.

— უყურე შენ, რა საოცნებო ფე-  
რდობზე აშენებს სახლს მემედი! — ეს  
თქვა და მასპინძელს ეშვაურად გაუ-  
ღიმა — მემედ, სახლს აშენებ ისეთ  
აღგილა, რომ ზღვა ვერ მიეკაროს  
ხომ? ხე, ხე, ხე! აქაც რომ შინ შემო-  
გვიარდეს, ზღვის ტალღა!..

ეს სიტყვები საერთო სიცილმა და-  
ფარა.

გალაკტიონი ხარხარებდა. უცბად  
გაშინაურდა. პირველი მიუჭდა ეზოში  
სახელდახელოდ გაძლილ სუფრას. სა-  
დღეგრძელები კი თქვა, მაგრამ ღვი-  
ნო არ დაულევია. ცოტ-ცოტს მოს-  
ვამდა ხოლმე, ბათუმში მიმეჩარება,  
იქ გადაუდებელი საქმე მაქვსო.

\* \* \*

ბათუმის სასტუმრო „პირველ მაის-  
ში“, სადაც 1944 წელს წერდა წიგნს  
„ოქრო აქარის ლავარდში“, გალაკ-  
ტიონი დარჩენილა 23 აგვისტომდე<sup>10</sup>.  
ამ დროისთვის, როგორც ჩანს, დაუმ-  
თავრებია მუშაობა და ლექსთა კრებუ-

10 აქარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 155,  
ს. № 98 (19).

ლი ჩაუბარებია გამომცემლობისთვის. სტუმართა ჩაწერა-ამოწერის წიგნში შევსებულია გრაფები: გვარი, სახელი და გამის სახელი — ტაბაძე გალაქტიონ ვასილის ძე; დაბადების წელი და აღვილი — 1892, ს. ჭყვიში, ქუთაისის გუბერნია; სპეციალობა — პოეტი; თანამდებობა — პოეტი...

იყო მხოლოდ პოეტი.

სხვა არაფერი.

და ეს ყოფნიდა ყელამდე.

მთლად ლექსად, გრძნობად, ემცი-  
ად იღვრებოდა. ტებილი პანგებით ამ-  
კვიდრებდა აქვეყნად ადამიანურ სი-  
ლამაზესა და სიმშევნეერეს.

შევნოდა და შევლოდა „მარადი სი-  
მალლე“.

ამ სიმალლიდან შექსა ჰუენდა და  
ათბობდა ადამიანის სულიერ სამყაროს,  
ამკვიდრებდა სიკეთესა და პარმონიას.

უყავარდა ყველა „ამყად მთქმელი  
გრძნობის ქართულის“.

ამ გრძნობითა შთაგონებული „ოქრო  
აჭარის ლაუკარდში“.

რა არის ოქრო აჭარის  
უსაზღვრო სილავარდეში?  
ეგ არის ზეცა, ეგ არის  
მნათობი ცისფერ ბადეში.  
არგონავტების ქამარის  
ლრუბელი სიკერადეში.  
ეს თვითმფრინავის ფრთა არის  
ვარსკვლავთა სიდიადეში.  
ეგ ულურჯესი მთებია  
და ჰლვაზე ნისლის მორევი,  
ნაჩინგთა რომ მონთებია  
გუნდ-გუნდი ნაამბორევი.  
შიში რომ არ აქვს არავის,  
განადგურება — მორევის,  
სიმღრა დაუფარავი  
და ჰანგი გრძნობა მორევის.  
სიცოცხლე რომ სჩექს ბალნარის  
ფორთოხალების ტერ-ვარდში,  
დიდება! აი, რა არის  
ოქრო აჭარის ლაუკარდში.

ეს ზღაპრული სილამაზისა და ხვადეს  
მხარე — აჭარა მთელი თავისი ურა-  
ლავი ცერითა და ხმით შემოწყობულ-  
ლაკტიონის პოეზიაში. პოეტის ურა-  
ლავი აჭარის პანრამა, მისი ახალი ყოფის  
ბრწყინვალე სურათები, რომელსაც  
უავი ზღვის ლურჯი შუქი დაჟრავეს.

მივდივარ, ზღვის პირს  
თვალი ჩაბის

და აღტაცებას ვერ ვფარავ,  
აჭარავ, ცხალი ოცნების,  
თვალ-მარგალიტთა აჭარავ!

ემ ციკლის ლექსებიდან ყურადღე-  
ბას იქცევს „ბათუმი“. მციონევის  
თვალშინ იშლება ქალაქის ოქრორეულ  
ლავგარდების ბლონდი, მისი ზე-  
ნიტი და ჰორიზონტი. ბათუმი მით უფ-  
რო საყვარელია პოეტისთვის მას შემ-  
დეგ, რაც აქ დიბადა „ოქრო აჭარის  
ლავგარდში“. პოეტური ქმნილებაც  
ზოგჯერ ხდება პოეზიის საგანი. ლექ-  
სი, მით უფრო მთელი წიგნი, შემოქ-  
მედის სულის ნაწილია და რა გასაკ-  
ვირია თუ მას ხელახლა აამდერებს.

\* \* \*

მთელი ზაფხულის ნაგაფი გალაქტიო-  
ნი ბათუმიდან შორს არ წასულა. ქობუ-  
ლეთში, ზედ ზღვის პირის, იმ აღილას;  
სადაც ახლა სატყეო მეურნეობის სკო-  
ლა-ინტერნატია, რაიონის მაშინდელმა  
თავაცებმა მას მისცეს ორი ოთახი და  
შეუქმნეს დასვენების კარგი პირობები,  
პიონერთა ბანაკის უცროსის მოადგი-  
ლეს, ფრონტიდან ახალდაბრუნებულ  
დურსუნ თხილაიშვილს დაკისრეს ხში-  
რად მიეკითხა და ზრუნვა არ მიეკლო.

დურსუნი ახლაც სკოლა-ინტერნატის  
გვერდით ცხოვრობს, ოჯახი და დარ-  
ბასელი კაცის სახელი აქვს. ჩეკი ის  
გაგვაცნო ურნალისტმა ოთარ კონცე-  
ლიდემ და, როგორც კი გალაქტიონზე  
სიტუა ჩამოვუგდეთ, მაშინვე გვანიშნა,

ხმას აუწიეთო. ომს მისურვის მოურჩეული იარა დაუტოვებია...

გალაკტიონს დიდი უშარადლებით მოჰყიდებია ახალგაზრდა კაცი ცისფერი თვალებით, როგორც პოეტი იტყოდა — „სახე ქართული პატიონსნებით“.

დურსუნს ახლაც უკრთის თვალებში სიკეთის სხივი და შეფარული ნაღველი. აგერ სამი ათეული წელიწადია არ ესმის ფოთოლო ზრიალი, ზღვის ტალების ტლაშვინი, სიოს ჩურჩული... გალაკტიონს კი ცწორედ სმენა ჰქონდა ძალიან გამახვილებული, სიოს ენა ესმოდა, ზღვის შენელებულ თუ გახშირებულ სუნთქვას სმენით აღიქვამდა.

— ომი, ძამიკა, ომი საშინელებაა, — ეუბნებოდა გალაკტიონი დურსუნს, — მძულს, და ეს სიძულვილი გამოვხატე ლექსებში... ამას წინათ გაუმშები დავესწარი საბჭოთა კავშირის გმირის ისრაფილ ჯინქარძის დედისთვის შეიღის დაღუპვის იფიციალური ცნობის, კალინინს წერილისა და დოკუმენტების გადაცემას... უბედური დედა... რას იტანს... მის მწერალების ათასი ლექსიც ცერ უშველის...

გალაკტიონმა ვრცელი ლექსი მიუძღვნა გმირის ხსოვნას. მისი სულის სანუკვარი იყო მშვიდობა, ულრუბლო ცას და ნათელ ლაუკარდებს შესტრფოდა.

ეთ პანრამა

შორეული

კოლორადოსი,  
თვალწინ იშლება  
სივრცე ლურჯი  
და შორეული,  
გადამავიწყდა  
ქალაქების  
ბევრი სახელი,  
ადამიანიც  
მრისხანე და  
ცოდუმორეული.  
აქ კი უდრუბლო

6 „ცოროხი“, № 5

და ლურჯი ცა,  
წინ — მომავალი,  
ნუგაშისმცემი.  
გემიც დაიძვრის  
აპა, საცაა,  
აპა, საცაა

დაიძვრის გემი.



მშვიდობასა და სიკეთეს, სინათლესა და სათნებას ესწრაფების პოეტი-კაპიტანი, რომ ამ ქვეყნად სუფედეს პარმონია, რომ ცხოვრების გემი მეჩემზე არ დაჭდეს არასდროს.

აპა, საცაა

დაიძვრის გემი.  
ბევრი რამაა,  
მეგობრებო,  
ამ ქვეყნად კარგი —  
უცოლაზე კარგი  
აშ ლავარდთა  
არის მშვიდობა...  
ვით პატიმრისთვის:  
საკანიდან  
რაკი გაიქცა,  
ალარ სურს ცოფი,  
ქარი, წვიმა  
თუ წყალდიდობა.  
მაგრამ წავიყვან,  
გემა ნაპირ-ნაპირ!  
სად ლურჯი კლდე  
და მწვანე თხემი,  
ეხლა პირდაპირ,  
ქარის პირდაპირ  
სწევს ჩემი გემი.

როცა ასეთ პრეინვალე ლექსს („აპარის სილაკვარდეში“) ვკითხულობთ, შეიძლება მოგვეჩენოს, პოეტი რა ადვილად იურვებს სიტყვის სტიქიონს. ნამდვილად კი მხოლოდ დიდი ნიჭისა და დიდი შრომის ბედნიერი შერწყმა იძლევა სანუკვარ შედეგს. ამის ნათელი მაგალითია გალაკტიონის ცხოვრება. მას არსად არ ეწერა მოსვენება, ვერსად ვერ დაემალა მუზას.

ქ ქიბულეთში, ბინასთან ახლოს, ზღვის  
პირად სამი ცად ატყორცნილი, სამკუ-  
თხედად შეკრული ფიჭვი ამოირ-  
ჩია და მათ შორის ყველზე დიდი ხის  
ძირში პატარა სამუშაო მაგიდა დაიღ-  
გა. ახლა ეს ადგილი ასფალტითა მო-  
ხუნდული, მაშინ კი ხასხასა ბალანთ  
იყო მწვანებული და გალაკტიონს უხ-  
როდა.

— დიდი უცნაური კაცი კი იყო, —  
ამბობს დურსუნი — ბალას ხელით  
უფერებოდა, თითებით ვარცხნიდა.  
სულ წერდა და წერდა. ხანდახან ხა-  
ტავდა კიდეც მცენარეებსა და ზღვის  
ტალღებს, ერთხელ ტალღის ფაფარში  
ჩაფრენილი ჭინკებიც დახატა და ბევრი  
იყიდა.

მუშაობით რომ დაილებოდა, ადგე-  
ბოდა და ერთხანს ბოლთას სცემდა.  
ისევ დაჯდებოდა, ნაწერს დახედვდა,  
მაგრამ თვალი მაინც ზღვისკენ გაურ-  
ბოდა. ასეთი, ზღვით გაუმაღარი კაცი  
არ მინახავს. ზოგჯერ ახალდარეფილ  
ხილს მივუტანდი, ღვინოსაც მივართმე-  
ვდი. ჩვენებური „ადესა“ უყვარდა. არ-  
ყის ჭიქით სეამდა, თითქოს პირს ისვე-  
ლებდა გარტო.

— ძამიერ, ღვინო ბევრი არ უნდა  
დალიო... ასე, ა, ცოტ-ცოტა, და მაშინ  
შეგერება, — ჭიუას არიგებდა გალა-  
ტიონი.

უფრო მეტად მარტო იჯდა მწვანედ  
მოგუმმათებული სამი ფიჭვის ქვეშ.

იქნებ ამ სამმა ფიჭვმა „სამი ცაცვი“  
გაახსენა.

#### იქ რომ კორდია

და იმ კორდზე რომ  
გადარჩინილი სამი ცაცვია —  
ის სამი ცაცვი... მათ ქვეშ  
შთენილთა

აღცროვანებათ, იმედთა შლილთა  
და ოცნებათა გადახდენილთა,  
ჩემთა ოცნებათ გროვა აწყვია.

ან კიდევ „ორი ჭადარი:“

ახლა რად მესმის შრიალი თქვენი,  
როგორც ტირილი და საყვედური.

ასე უგდებდა ყურს ბუნების მუ-  
სისი — ფოთოლთ შრიალს, სროს ცა-  
სის, ზღვის ტალღების ჩურჩულხა-  
გრიალს...

მის პოეზიას რაღაც საკმილეო უმცირეს  
და ჰქონდეს მუსიკის კანონზომიერება-  
სთან.

გალაკტიონის ლევის „ზღვის სიმფო-  
ნია“ მოგვაგონებს სიმფონიურ მუსი-  
კის ინტენსიური დინამიკითა და მიზან-  
სწრაფული განვითარებით, უფრო კი  
სიმფონიურ სურათს თავისებური იღე-  
ურ-ემოციური შინაარსით.

„ზღვის სიმფონიის“ კითხვის დროს  
ისეთი წარმოდგენა გვექმნება, თი-  
თქოს ღია ცის ქვეშ უსმენდეთ სიმ-  
ფონიურ ორკესტრს, რომელსაც წარ-  
მართავს მხატვარ-დირიჟორის ჯადოქ-  
რული ხელი. ერთი მინიშნება და სივ-  
რცეში შემოიჭრება ახალი ხმა, „ვით  
ღრუბლიდან მთვარის შუქი“. ხმა იგი  
ნახია და მოლიერება, თითქოს როტ-  
ქლად ეფრევევა არემარებს. და ამ  
ლურჯ ორთქლში დასურავენ ვარსკვ-  
ლავები... უვავილები...

თანალათნ იძირებით მომხიბლავი  
მუსიკის ხმებში, ნეტარებას ეძლევით,  
მაგრამ პანგი იცვლება, სტიქის ძალთა  
გრვინვა გვაჩნობს საშინელების მოა-  
ხლოებას, თვალწინ იშლება ჭურღმუ-  
ლები, იმედებისა და რწმენის ზღვაზე  
მოსცურავენ ნამსხრევები, ინთქმება  
კაცთა გული...

კვლავ იცვლება ხმები: ლავარდოვან  
ზღვის სარკეზე გასრიალდება ოქროს  
ნავი... ასე ცელის ეპიზოდი ეპიზოდს,  
ვიდრე ბოლოს „პანგთ კამარა მიძინე-  
ბულ ჭევენის გულში მიატარა, მოტა-  
რა და გაიძნა შორს უფსერულში“.

„ზღვის სიმფონია“ დიდებულად  
უდერს, და მინც ვერ მისწვდება გა-  
ლაკტიონის ისეთ შედევრებს, როგო-  
რიცა „ლურჯა ცხენები“, „მთაწმინდის  
მთვარე“, „მე და ლამე“, „შერი“, „ქე-  
ბათა ქება ნიკორწმინდას“. მაგრამ თუ  
ერთად ავილებთ ზღვის პოეზიას და  
თუნდაც მარტო ამ წიგნს „ოქრო აჭა-

რის ლავგარდში“, ერთ პოეტს მაინც  
ეყოფა სახელ-დილებად.

სიმუღლოვის უარმყოფელ, მარად  
მღელეარე პოეტის სულ ზღვა უდი-  
დეს სიხარულს ანიჭებდა, ლირიკული  
გმირის სახისა და ხასიათის გამხსნე-  
ლად ევლინებოდა, დროისა და სივრ-  
ცის გადალახვას უადეილებდა.

ზღვაში გადვისვრი ბედით ბადეს,  
რომ ოქროს თევზი მოჰყვეს  
ცბიერი.

მისი დანახვა მრავალჯერ სცადეს,  
მე კი ნამდვილად ვარ ბედნიერი.

ზღვაში ჩავაგდებ საოცარ ანკესს,  
აპა სირენას ამოჰყვა გული,  
იგი მომასმენს მშვენიერ ჰანგებს  
და მე ნამდვილად  
ვარ მოხიბლული.

ამ დიდი შემოქმედებითი სიხარულის  
გარღა მას ჰქონდა ღრმა სატკივარი  
სულისა, რაც ღროდაღრო მწვავედ

იჩენდა თავს. არ სწომდა „სიკვდილს  
შიშით შებოჭილი სიცოცხლე“. ეს შემ/

კი დიდი ხნიდან დაპყვებოლა შემოქმედები  
ლოს კატასტროფაც მოააღმდეგდა მიწიშეკა  
წლის მარტში სამუდამოდ დაღუმდა  
გალაკტიონ ტაბიძის მღელვარე გული.

დიდი ქართველი პოეტის შემოქმე-  
დების ერთ-ერთმა მკვდევარმა, შეიძ-  
ლება უნებლიერ, თქვა, რომ „მისი სი-  
კედილით ერთი თავით დამდაბლდა ქა-  
რთული პოეზია“: არა გვგონია. ჩვენ-  
გან წავიდა ის, რაც გალაკტიონში მო-  
კვდავი იყო, ხოლო უკვდავი ღარჩა და  
მომავალ თაობებს გადაეცემა, როგორც  
მარადიული სიმღერა სიცოცხლისა.

ქართული ლექსის ტრიუმფატორი  
თვითონ გვაიმედებს:

დამშვიდდით! მუდამ თქვენთან  
იქნება

ჩემი სიმღერა და ტკბილი ნანა.

ზღვის ჰანგებიც...



## ნაციონალური მოღვაწეობი

### ქსოვის ლექსიკისათვის პჰარაში

ხულოსა და უზახევის რაიონებში ჩაფირილი მასალების მიხედვით

აჭარულ დიალექტს ლექსიკური ფონდის სიმდიდრით ოვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართული ენის დიალექტებს შორის. ეს განსაკუთრებით კარგად ვლინდება ლექსიკის დარგობრივად წარმოდგენის დროს.

შინამრეწველობა სამეცნიერო დარგებთან ერთად ძველთაგანვე განვითარებული ტრადიციული დარგი იყო აჭარაში. ჩვენს წერილში შინამრეწველობის დარგებიდან გამოვყავით მასალები ქსოვის შესახებ; მასში მოცემული ლექსიკური ერთეულებიდან ნაწილი საერთოა, ზოგი სიტყვა კი არ გვხვდება, ან თითქმის აღარ გვხვდება ქართული ენის სხვა

დიალექტებსა და, რა თქმა უნდა, სალიტერატურო ენაშიც.

წერილში ზოგან ლექსიკური ფორმებისა და დიალექტური ნიუანსების უკეთ წარმოჩენისათვის მთხრობელთა ნაუბარს უცვლელად ვტოვვით.

\* \* \*

ზემო აჭარის ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად შინნაქ-სოვ ტანსაცმელს ატარებდა და, ამდენად, მატყლს დიდი გამოყენება ჰქონდა აჭარაში. მეცხვარეობა აქ მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგია ახლაც. ადრე მატყლისაგან ქსოვდნენ წინჯებს, თათნებს (ხელთათმანებს), კარაჭინებს (მაღალყელიან წი-

ნდებს), ყაბალახებს... საქსოვ და-ზგაზე ამზადებდნენ შალს, რო-მელსაც იყენებდნენ ტანსაცმლის შესაკერად. ფაბრიკული ნაწარ-მის ღამევიდრების შემდეგ ტანსაცმელს შინნაქსოვი შალიდან იშვიათად კერავენ. უფრო მეტად ქსოვენ წინდებს, თათნებს, კარა-ჭინებს და სხვ., მატყულს ფართოდ იყენებენ საწოლებისათვის.

ცხვარს წელიწადში ორჯერ კრეპენ დუქარდით, შემოდგომაზე და გაზაფხულზე, კაკუნას, კაკანას (კრავს) კი ერთხელ, აპ-რილში. კრავის მატყული პუჭი პუჭიახა (ხუჭუჭა), რბილი, წმინდა, ნამუცლი მატყული მოკლე რაა, ალა გულა (ნაკლებხარისხისანი); მისგან ნაქსოვი მალუ ცვდება. ცხვრის მატყული მა-გარია, ფახაცი (მსხვილბეჭვია-ნი). საერთოდ, გაზაფხულის მატ-ყული უფრო ცუდი ხარისხისაა, ვი-დრე შემოდგომისა. საქსოვად უფრო შემოდგომის მატყულს იყე-ნებენ, გაზაფხულის მატყულს კი ძვეშაგებისათვის ხმარობენ.

მატყულს წონიდნენ ოყობით. კვერცხშიც გამოწონიდნენ. 10-12 კვერცხი მატყული ნა-ხევარი ოყა. ცხვარი თუ ბალნიანია, 20-24 კვერცხ მატყულს გაიპა-რსაკა. გაპარსულ მატყულს კანძე-ბად დაკეთებენ. ერთი ცხვრის მატყული ერთი კანძია.

თუ შენახვა უნდათ, მატყულს გაჩეჩვამდე არ გარეცხავენ, შეი-ნახავენ გრილ აღვილზე. გაურე-

ცხავი მატყული დიდხანს არ გაფუ-კლება. თუ არ ინახავენ, უმომავრესობის გარეცხავენ ცივი წყლითა და საპ-ნით, მერე გამშრობენ, ანდა ჯერ ცხვარს დაბანენ, ცხვარი გაშრება და შემდეგ გაკრეპენ. „← დ შ-ბანელ ცხვარს რომ კნაჭა-ვენ და მატყულს შემდეგ რეცხავენ, მატყული შეიქეჩის. ზედდაბანილი ცხვარი კი წყალს გა-ირეკავს, გაშრება და ლამაზი მა-ტყული იქნება“.

გარეცხილ, გამშრალ მატყულს დაღენკავენ, გაღენკავენ (ხელით გაწეშავენ). გაღენკილ მატყულს გახეჩავენ საჩეჩელზე. საჩეჩელს აქვს სამი ყდა (გვერდი) და ორრიგად გაწ-ყობილი 20 — (10-10)-დან 32 — (16-16)-მდე კბილი — საჩე-ჩელის სიდიდეს გააჩნია. მატყულს ჩეჩავენ ორივე ხელით — დაფარტნიან, დაფითილავენ — ფარტენებს, ფითილებს - ფთილებს დააკეთებენ, ერთმანეთს „მიუტოლებენ და კოთხოში, კა-ლათაში ან საწრიმალოში (საწვრილმანოში) ჩათაფრავენ, ჩა-მშვინარებენ (რიგზე ჩაწყობენ). ჭურჭელს სუფთა ბადადს (ნა-ჭერს) გადათერებენ“.

აღრე, თუ ბევრი მატყული იყო დასაჩეჩი, ნადს მოიწვევდნენ. ყველა ქალს თავისი საჩეჩელი ჰქონდა. დასხდებოდნენ და ჩეჩა-ვდნენ. ჩეჩეის დროს რჩება კვი-რტლი, ჩოფური (ცუდი მატ-ყული). ამას ხელმეორედ დაჩეჩა-

ვენ, დაართავენ და ღაზ ლიდან  
მოქსოვენ კვირტლი წინ-  
დებს ს და თათნებს, რომელიც  
უფრო გამძლე და ობილია.

გაჩეჩის შემდეგ ართავენ ძაფს.  
სართავად ხმარობენ ხერტალს  
(თითისტარს). როვაზეც, თუ ბევ-  
რი ჰქონდათ სართავი ან სასწრა-  
ფო იყო, ხერტლი ნადს მო-  
იწვევდნენ. ხერტლის ნადი უფრო  
ზამთარში სალამოს მოიწვეოდა.  
მოვიდოდნენ ქალები თავთავიანთი  
ხერტლებით, დასხდებოდნენ ოთ-  
ახში და ართავდნენ. ერთ ღამეში  
ერთი ჩოხა-მალის (ჩოხა-მარ-  
ვლის) მატყლს მაინც დაართავდ-  
ნენ. ნადი დღისითაც მოიწვეოდა.  
ზოგ შემთხვევაში, თუ ნადის მო-  
წვევის დრო, ან საშუალება არ  
იყო, მეზობლებში დარიგებდნენ  
თითო კვერცხ მატყლს (გამოდის  
თითო ხერტალი ძაფი) და ისე  
ართავდნენ.

ხერტალს აქვს კვირითავი  
(კვირისთავი). მრთველი მარცხე-  
ნა ხელში დაიჭერს ფარტენას, ხე-  
რტალზე დამაგრებს ფარტენას  
წვერს და დაბრუნებს ხერტალს,  
თან ხელით „ააყოლებს ფა-  
რტენას“ „წავა წველა“  
(მატყლის ბეწვები აყვება ერთმა-  
ნეთს), ძაფი ეხვევა ხერტალზე.  
ხერტლის ბრუნვის ტემპის შეჩე-  
რებისთანავე მრთველი მარჯვენა  
ხელით აბრუნებს ხერტალს;  
რთვისას, ძაფი თუ გაწყდა, ძაფის  
წვერებს ერთმანეთზე მიაგრესს  
და გააგრძელებს რთვას. ხერტალი  
რომ აივება, ამსილი ხერტა-

ლი (სავსე ხერტალი) დამტომდება,  
ალარ დაბრუნდება. დართული მატყლი  
ფი რომ არ დაიშალოს, უკავებდება  
„წველას ამოკვირთავს“  
(კვირისთავს მოაძრობს) და ძაფს  
გადაკინთავს, გადაკლო-  
ტავს (ძაფს გადასკვნის)“.


დართული ძაფი ნართია. ნა-  
რთს ორ წვერს — ორ ხერტალს  
(შალის მოსაქსოვად ორწვერი  
ძაფია საჭირო) ან სამ წვერს —  
სამ ხერტალს (წინდისათვის) „მი-  
უტოლებენ, მიუწვერა-  
ვენ ერთმანეთს — მოყრიან  
ერთად და ამოახვევენ მურგ-  
ვად“. ამოხვეულ ძაფს დაძახა-  
ვენ (შეგრეხენ). ძაფი იძახება  
ხერტალზეც და ჭახრაკზეც.  
ხერტალზე დაძახებისას ძაფს ხერ-  
ტალზე თავს დაუმაგრებენ და ხე-  
რტალს უკულმა დაბრუნებენ. ძა-  
ფი დაიძახება. დასაძახავად ხერტ-  
ლის მსგავს ტარსაც ხმარობენ.  
ტარი ხერტალზე დიდია — სამი  
ხერტლის ძაფი ერთ ტარზე თავს-  
დება. ტარს ფეხით აბრუნებენ და  
ძახევენ ძაფს. ძაფი იძახება ჭახ-  
რაკზეც (ჭარაზე). ჭახრაკს ტარი  
და ყდაში მოთავსებული გოგო-  
რახ (ბორბალი) აქვს. გოგორას  
აქვს ფეხსვები (ხის რვალი),  
ჭაღები (სოლები), ხუნდი (ბორბლის  
შუა მსხვილი ნაწილი,  
მორგვი), ფეხი (საფერხული);  
ფეხი დაკავშირებულია კლას-  
თან და ატრიალებს ბორბალს.  
აგება, ლამბა, ლარი (გრძ-  
ლად გაბმული ძაფი) გადადის  
გოგორაზე და ეხვევა ტარზე. ჭახ-

რაკის ტარი რომ შეივსება, ამთა-  
ძრობენ და დაძახილ ძაფს მურგ-  
ვად ამოახვევენ. ხანჯახან ძაფს  
ხელზე — ცერზე და წევზე მო-  
კაპავენ და მერე ამოახვევენ  
მურგვად.

დაძახილი სამწვერი ძაფიდან  
ქსოვენ წინდებს. სამ ხერტალ ნა-  
რთში ერთი წყვილი წინდა გამო-  
ვა. წინდას ქსოვენ წინდი (ს)-  
ჩ ხირებით, ჭალებით (5 ჭა-  
ლით). წინდას იწყებენ თათის  
ქსოვით. თითო ნაქსოვი თითო  
თვალია. თათისათვის პირვე-  
ლად მოქსოვენ ნამატს-ნამა-  
ტებს (წინდის წვერს), მერე  
ტუჩს (წინდის ნაწილი ფეხის  
თითებისათვის), ტუჩის შემდეგ  
ტაბანს, ფარცხს (წინდის  
ნაწილი ტერფიდან ქუსლამდე),  
შემდეგ — ქუსლს. დაამთავრებენ  
თათის ქსოვას და შემდეგ მოქ-  
სოვენ წინდი (ს) ყალს. ყელს  
ზემოდან 3 რუნკულას, 3 რუ-  
ნკიას (მსხვილად ნაქსოვია) გა-  
უკეთებენ, ყელს გადაკვეთენ,  
გადაკნიან (რომ არ დაირღ-  
ვეს) და ბოლოს წინდიყელს დაუ-  
ტოვებენ მოგრძო ძაფს ფეხზე  
დასახვევად.

ქსოვენ თეთრ წინდებს, სავ-  
ას, გრეხილას, ასტმიტა-  
რას, ქურთულს, ჩიტით-  
ვალას, კატიფეხას, სავ-  
აჭრელს, ღაზლისჭრელს,  
წკენტიას, ჩამწილს, ლო-

რებიანს, შტრაფა და სხვ. 

მოქსოვილ წინდას გამოაცმევენ, გამოაცმევენ, გამოაცმევენ.  


შალის მოსაქსოვად (ახლა იშვი-  
ათად ქსოვენ) დაძახილ და მურგ-  
ვებად ამოახვეულ ძაფს დაჭს ე-  
ლავენ. ძაფი იქსელება დოლა-  
ბზე. დოლაბს აქვს ოთხი კუთხე  
და ლერძზე ბრუნავს. ძაფს დაამა-  
გრებენ, დოლაბს დააბრუნებენ  
და ძაფს დაქსელავენ ან დაძახილ  
ძაფს ჭერ და შლოვებენ, ფეხის  
ცერზე და მუხლზე ამოახ-  
ვევენ ძაფს და შლოებს (მულ-  
ებს) გაკეთებენ. შეიძლება  
მკლავზეც ამოახვიონ შლო. შლო-  
ებს გარეცხავენ, გამოარიბენ, მუ-  
რგებად ამოახვევენ და შემდეგ  
დაქსელავენ დორაზე. დორა  
დოლაბის მსგავსადაა გაკეთებუ-  
ლი, მაგრამ უფრო პატარაა —  
ოთხი თითო (ვერტიკალური  
გვერდი) აქვს. თითები დამაგრე-  
ბულია შუაში მოთავსებულ დი-  
რეგთან (სვეტთან). დირეგს აბ-  
რუნებენ ერთი ხელით, მეორე ხე-  
ლით კი ორი მურგვის ძაფს აწვ-  
დიან დორას და ჭვარედინად ახ-  
ვევენ — ქსელავენ. ერთი ჩხა-  
შალის ძაფს 4-5 სათში დაქსე-  
ლავენ. „დაქსელილ ძაფს ამოხს-  
ნიან, აჭაჭვავენ, ათხიზნი-  
ან (8-ის მსგავსად მოგრეხენ) და  
ნათხზენ გადაიტანენ, გადა-  
დებენ საქსურ დაზგაზე“.

1 ნაქსოვის სახეებია.

საქსუარი დაზგა (ს აფრეჭო-საფრიოქონო, საშეჭ-  
სლო, ჭერილი) ჰორიზონტულ-  
ური დანადგარია, აქვს ოთხი  
ყდა, სარარცხელი, დგი-  
მი, მაქტეჭი, მასრა, საფე-  
რხული-საფხეხური, მისა-  
ჭერილი, ლილვი, საფრეჭო-  
ზე გადამართულ ძაფს (ორ-ორ  
წვერს) ჯვარედინად დაამაგრებენ  
ყავრის ჩიტებზე (ყავრის ანატებუ-  
ზე) გაკეთებულ კბილზე და რიგ-  
რიგობით გაატარებენ დგიმში,  
დგიმიდან კი ძაფს გაიტანენ სავა-  
რცხელში. ძაფს თვლიან სავარც-  
ხლის სიღიდის მიხედვით. ორი  
ძაფი ერთი სათვალიავია. შე-  
იძლება იყოს 20-დან 40-მდე სათ-  
ვალავი. ძაფგატარებულ დგიმ-სა-  
ვარცხელს ჩასვამენ საფრეჭოში.  
სავარცხელს მჭიდროდ ჩააბამენ,  
რომ არ იმოძრაოს. ძაფის თავებს  
დაამაგრებენ ლილვზე, დანარჩენ  
ძაფს გაიტანენ ყდაში და „გადა-  
მართავენ დაზგაზე“. მე-  
ჭერილე (მქსოველი) ჩაგდება საფ-  
რეჭოში და დაიწყებს ქსოვას.  
მქსოველს „გალთაში უზის  
მაჭოჭი“. საფრეჭოს აქვს სა-  
ფერხულები, მქსოველი ფეხს და-  
ადგამს ერთ საფერხულს, „ძაფი  
პირს ააღებს“ და მქსოვე-  
ლიც მაქოჭს გაატარებს ძაფებს  
შორის. მაქოჭი არის ნართიანი  
მასრა. მქსოველი საფერხულიდან  
აიღებს ფეხს, მისაქსველს მიაჭე-  
ხებს, ძაფი მიეტკუფება (შე-  
მჭიდროვდება); მერე მეორე სა-  
ფერხულს დაადგამს ფეხს, ძაფი

ისევ პირს ააღებს, მქსოველი ჭა-  
ჭოჭს გაატარებს და ა. საფრეჭოში ჩამაგ-  
რებულია მბრუნავი ლილვზე.  
დგიმი საფრეჭოში ჩამაგრებულია  
ჩიტებით, თოკებით. ისინი  
დაკავშირებულია საფერხულებ-  
თან. საფერხულს რომ ფეხს და-  
დგამენ, ჩიტები — თოკები დგიმს  
ზევით ასწევენ და ძაფებიც იყვე-  
ბა — ძაფი პირს ააღებს, სავარც-  
ხლი კი სისწორეს იჭერს. როცა  
საფრეჭოზე გადამართული ძაფი  
დაილევა, ძაფის ბოლოებს თოქს  
წააბამენ და შალს საფრეჭოდან  
ამოჭრიან. ქსოვენ ცალმაგ და  
ორმაგ შალს. „ცალმაგი ნაქსო-  
ვი შალი სადაა, ორმაგი ნაქსოვი  
კი ნაწერივით წავა“. ცალმაგი შა-  
ლის ქსოვისას საფრეჭოში თითო  
წყვილი დგიმი, საფერხული და  
ჩიტია ჩაბმული, ორმაგის ქსოვი-  
სას კი ორ-ორი წყვილი.

ერთი ჭალი დღეში 17-30 მეტრ  
ძაფს დაქსელავს და 2-3 მეტრს  
შალს მოქსოვს.

შალს ტანსაცმლის შეკერვამდე  
მოთელავენ, მოჭეშავენ. შალს გაშლიან ფინზე, მდუღარე  
წყალს დაასხამენ და თელავენ  
ფეხით. იშვიათად „ტაჭეცს“  
(ცეტს) მიუყენებენ: ცხელ წყალს  
ასხამენ შალზე, ტაჭეცით ცემენ  
და თელავენ. შალი შედგება,  
დამძიმდება, დაზომავენ, დააღლა-  
ვენ. შალი 1,5 ადლით უნდა შეი-  
თელოს. მოთელილ შალს დაახვე-  
ვენ გრძელ ჭოხზე, დაასხამენ

მდუღარე წყალს და დატოვებენ  
ასე ერთ ღამეს. „ჯოხზე შალი  
გაისლიან ქება, და წყნა-  
რდება (გასწორდება)“. შალს  
დილით გაშლიან, გაფენენ და გა-  
აშრობენ.

გამშრალ შალს შეღებავენ.  
შალს შეღებვამდე და დედა-  
ვენ. შალი კარგად დაიდედება,  
დაიწერება თხმელის ქერქ-  
ში, ფორჩში (ქერქში). ქერქს  
მოხარშავენ, მერე წვენიდან ამო-  
ხინჭავენ (ამოყრიან) და წვენში  
ჩაყრიან შალს. შალს შიგ გააჩე-  
რებენ ორ ღამეს. შემდეგ შალს  
ამოიღებენ, წვენს გაათბობენ და

შალს ისევ ჩადებენ. ასე შალი კა-  
რგად დაიდედება, დადედმურაშვილი  
ლი კი კარგად შეიღებება.

შალს ღებავენ ნარინჯბალახში,  
კანაფში, დვალურაში ან თრიმლ-  
ში, თხმელის, რქოს (კაკლის ხის)  
ან ვაშლის ქერქში, კარჭლის წე-  
ბერაში (კაკლის წენგოში) ან ღე-  
ჭეპოში (ნაჭუჭში) და სხვ. შეღებ-  
ვისას ხმარობენ შაბს, მარილს,  
ნაცარს, მათი დამატებით შალს  
„ფერი კარგად მიებ მე-  
ბა“, მიეკიდება. საღებავად  
ასევე გამოიყენებოდა ტალახის-  
მაგვარი მიწალილა, რომე-  
ლიც ადგილზევე მოიპოვება.

—

თარიღი

**ამისან კახიძე,**  
 ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

## **საინტერესო ნაშრომი ქართული საგვორული არქეოლოგიის განვითარების შესახებ**

ქართველი ხალხი დიდი მიღწე-  
 ვებით შეხვდა სსრ კავშირის შექ-  
 მნის ნახევარსაუკუნოვან იუბი-  
 ლეს. განვლილი ხუთი ათეული  
 წელი იყო ჩვენი ქვეყნის ეკონო-  
 მიკის, კულტურის, ხელოვნებისა  
 და მეცნიერების აყვავება-აღორ-  
 ძინების ხანა. სხვა მეცნიერებათა  
 შორის უდიდესი წარმატებები  
 მოიპოვა ქართულმა საბჭოურმა  
 არქეოლოგიურმა მეცნიერებამ.  
 ისტორიული მეცნიერების სწო-  
 რედ ამ დარგის მიღწევებს ეძღვ-

ნება საქართველოს სსრ მეცნიე-  
 რებათა აკადემიის წევრ-კორეს-  
 პონდენტ, ისტორიის მეცნიერება-  
 თა დოქტორ პროფ. ა. აფაქიძის  
 ახლახან გამოსული წიგნი „ქარ-  
 თული საბჭოთა არქეოლოგიის  
 განვითარების ნახევარსაუკუნოვა-  
 ნი გზა“. ნაშრომში მოცემულია  
 საქართველოს არქეოლოგიის გა-  
 ნვითარების, მისი ისტორიის უმ-  
 ნიშვნელოვანების საფეხურების  
 მოკლე დახასიათება, „გზა, — ავ-  
 ტორის სიტყვებით რომ ვთქვათ,  
 — მეფისდროინდელი „კოლონი-

ური არქეოლოგიიდან” — ქართველთმცოდნეობის უაღრესად ეროვნულ, იმავე დროს უაღრესად დღიდე საკავშირო და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე დარგად ჩამოყალიბებამდე“.

შესავალ ნაწილში მოცემულია რევოლუციამდელი ვითარების მოკლე დახასიათება; ამ პერიოდისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული იყო უცხოელი მეცნიერების მიერ (ვირხვი, შანტრი, უკდე მორგანი) გამოგონილი თეორია იმის შესახებ, რომ თითქოს ქართველები მოვიდნენ საქართველოს მიწა-წყალზე ლითონის წარმოების გვიანდელ საფეხურზე. რევოლუციამდელი საქართველოს არქეოლოგიის დახასიათების მიზნით ავტორს მოაქვს აკად. ნ. ბერძენიშვილის სიტყვები: „პირველი არქეოლოგები აქ უპირატესად არაქართველები იყვნენ. შემთხვევითი ხალხი იყო ამ უკანასკნელთა უმრავლესობა — „არქეოლოგიის მოყვარული“ დილეტანტები (ინუინერი, ექიმი, ბუნებისმეტყველი და სხვ...) ასეთი „სწავლულები“ საქართველოს წარსულის მეცნიერული შესწავლის საქმეს ვერაფერს შემატებდნენ... ისინი საქართველოს წარსულსაც კოლონიური თვალით უცქეროდნენ. საქართველოს ისტორიაში ისინი უპირველეს ყოვლისა, უცხოურს, მოტანილს, ნასესხებს ექცედნენ... გასაგებია, რომ ასეთი „მეცნიერები“ ქართველ ხალხს, მის ეროვ-

ნულ დადგინება-განმტკიცებულს საქმეს კი არ ემსახურებოდნენ, არა მედ ჩვენი წარსულის გაჭირებულობა ებას, ჩვენი წარსულის შეურაცხოფას“. მაგრამ სრულიად შეიცვალა საქმის ვითარება საბჭოთა ეპოქაში, როცა საქართველოში ძეგლის სამეცნიერო დაწესებულებებში დაიწყო ეროვნული კადორების აღზრდა, რომელთაც თავიანთი კვლევის საგნაზ არქეოლოგია აირჩიეს, სამეცნიერო სარბიელად კი ქართველი ერის უკველესი ნივთიერი კულტურის შესწავლა გაიხადეს. დღეისათვის ქართველი მეცნიერების ხანგრძლივი და ნაყოფიერი საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებების შედეგად ქართულია არქეოლოგიურია მეცნიერებამ შოთაშვალუდებისი წარმატებები. ბუნებრივია, სრულიად ახლებურად განიხილება ჩვენი ერის ლრმა ინორიული წარსული.

ამ მიღწევათაგან პროფ. ა. აფაშიძე განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს ქართველ პალეონტოლოგთა მიერ აღმოსავლეთ საქართველოში, გარეჯის. უდაბნოში ანტროპოლოგი არსების ქვედა ყბის უნიკალურ აღმოჩენაზე — ე. წ. უდაბნოპიოვეჭე. ეს ცხადყოფს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მილიონი წლების წინათ მიმდინარეობდა გაადამიანების პროცესი, ე. ი. საქართველო შედიოდა ანთროპოგენეზის არეალში.

კიდევ უფრო მდიდარი მასალებია მოტანილი ქართველი საბჭო-

თა არქეოლოგიური მეცნიერების  
დაწინაურებაზე ჩვენი ქვეყნის  
ტერიტორიაზე ადამიანთა უძვე-  
ლეს ნაკვალევთა ძიების თვალსა-  
ზრისით. ავტორი მიუთითებს,  
რომ სადღეისოდ საბჭოთა კავში-  
რში ოღონებისათვის ქვედა-აღრუ-  
ლი ქვის ხანის (პალეოლითი) ნა-  
მოსახლართა 64 პროცენტი მარ-  
ტო საქართველოზე მოდის. მიკვ-  
ლეულია 139 ნამოსახლარი. დაახ-  
ლობით 500.000 წლის წინათ  
ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე პი-  
რელყოფილი ადამიანი 2.100 მ  
სიმაღლეზეც (წინა, სამხრეთ  
ოსეთი) ცხოვრობდა; მსგავსი შემ-  
თხვევა მთელს მსოფლიოში არა  
ცნობილი. ქართველმა არქეოლო-  
გებმა გამოყვეს ამდროინდელი  
კულტურის კერები, თემები თუ  
პროვინციები: შავიზელვისპირეთი,  
რიონ-ყვირილის აუზი, შიდა ქარ-  
თლი, ჯავახეთის ზეგანი და იორ-  
ალაზნისპირეთი.

უფრო ვრცელი ტერიტორია  
ჩანს ათვისებული ზედა პალეო-  
ლითის ხანიდან (დაახლოებით 40  
ათასი წლიდან დაწყებული). კლა-  
სიკურ-ევროპული ზედაპალეო-  
ლითისაგან განსხვავებით, ჩვენ-  
თან იქმნება განსხვავებული რე-  
გიონალური კულტურები, ჩნდება  
კომპაქტური დასახლებები ხევე-  
ბად თუ ხევის სოფლებად, რაც  
თანდათანობით ცალკეულ თემთა  
ტომებად გაერთიანების შესაძლე-  
ბლობას იძლევა. შეინიშნება ღრმა  
სოციალ-ეკონომიური და კულ-  
ტურული ძვრები. ჩნდება ზოგად-

საკაცობრიო კულტურის მნიშვნე-  
ლოვანი საფეხურის უწყვეტესობა.  
პროფ. ა. აფაქიძე მიუთითებს,  
რომ ეპიპალეოლითის, ანუ გვიან  
პალეოლითის ბოლო საფეხურზე  
განვითარებული მეზოლითური  
კულტურის ადგილობრივი ფეს-  
ვები შეინიშნება. დადგა სამეურ-  
ნეო ცხოვრებაში ძირეული. გარ-  
დატეხის, ქვის ხანის ადამიანის სა-  
მეურნეო-კულტურულ ცხოვრე-  
ბაში უზიდესი გადატრიალების  
ხანა, რაც განხორციელდა ნეო-  
ლითის, ე. ი. ახალი ქვის ხანის  
დროს. საქართველოში აღმოჩენი-  
ლი ნივთიერი კულტურის ძეგლე-  
ბის მიხედვით თავის ასახვის პო-  
ვებს ე. წ. „ნეოლითური რევო-  
ლუცია“, რაც გულისხმობს მცე-  
ნარეთა და ცხოველთა მოშინაუ-  
რებას, ე. ი. მიწათმოქმედებისა  
და მესაქონლეობის დაწყებას, სა-  
ფეიქრო და კერამიკული წარმოე-  
ბის დაწინაურებას და ა. შ. ეს  
იყო ეკონომიკური რევოლუცია,  
ხოლო სოციალური რევოლუცია  
გამოისახებოდა დედისეული გვა-  
რიდან — მატრიარქატიდან-პატ-  
რიარქატზე — მამისეულ გვარზე  
გადასცლაში. პროფ. ა. აფაქიძე  
ქართველი არქეოლოგების მიერ  
შესწავლილი ძეგლების ტოპოგ-  
რაფიის საფუძველზე მიღის დას-  
კვნამდე, რომ ნეოლითური ხანის  
ნასოფლარები კერჯერობით მაინც  
ზეგნებზე, ბორცვებზე, ზღვისპი-  
რა ტერასებზე ჩანს გავრცელებუ-  
ლი; ადრინდელი, მღვიმეებში

ცხოვრება ზღუდავდა მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას. ავტორი ამ დროისათვის ხედავს ისტორიულ პროვინციებს, უფრო მეტიც, „ქვეყანათა“ ჩანასახს. ლერწლოსილი მეცნიერი ასკვინის, როგორც საქართველოში ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე ორმოჩე- ილი და გამოკვლეული ძეგლების მიხედვით, საერთოდ, ქვის ხა- ნაში განვითარების მეტნაკლებად უწევეტად მიმდინარე პროცესი შეინიშნება. „ასე შორს მოიტოვა ქართულმა საბჭოურმა არქეოლო- გიამ ის დრო, როდესაც, რო- გორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავ- და, ერნსტ შანტრის მტკიცებით, „კავკასიაში ქვის ხანის დროს ადამიანი არ ყოფილა და მისი მკვიდრნი ლითონის მცოდნენი იყვნენ“, — დასტენს ავტორი.

საბჭოთა ეპოქაში მკვეთრად დაწინაურდა ლითონის ხანის არ- ქეოლოგიური ძეგლების კვლევა- რიება. აქაც გამოიყოფა სხვადა- სხვა საფეხური. ქვ. წ. V-IV ათას- წლეულები ჩანს დამაკავშირებე- ლი რგოლი ნეოლითისა და ადრე- ლითონის ხანის. ლითონის ხანის უადრეს საფეხურად აღიარებუ- ლია ე. წ. ხალქოლით-ენეოლითის ხანი. სარეცენზიონ შიგნში მოტა- ნილია დიდძალი მასალა ენეოლი- თის შესასწავლად საქართველო- ში, რომელიც გენეტიკურად და- კავშირებულია როგორც ნეოლი- თან, ასევე შესაბამისად ადრე- ბრინჯაოსთან. ახალი სტრატიფი- ცირებული არქეოლოგიური ძეგ-

ლების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ არც ამ ეპიდემია მომხდარა რაიმე ეთნოკური ცხოვრება. აქაურ მკვიდრთ დამუშავდება ებიათ კონტაქტები წინა აზიანთან. ადრინდელი მღვიმე-საცხოვრი- სების ნაცვლად ენეოლით-ადრე- ბრინჯაოს ხანისათვის გავრცელე- ბული ჩანს ე. წ. გორასაცხოვრი- სები, სადაც უშენებიათ როგორც მრგვალი, ასევე ოთხკუთხამრყვა- ნილობის სახლები. თითქმის ყვე- ლა საცხოვრისს აქვს თავისი კე- რა. განვითარდა კერამიკული წა- რმოება, ისახება მელითონეობა, განსაკუთრებით ენეოლითის გვი- ანი საფეხურისათვის (დაახლოე- ბით 6 ათასი წლის წინა). იზღუ- დება ქვის იარაღები.

პროფ. ა. აფაქიძე მიუთითებს, რომ ადრეული ლითონის ხანის ძეგლების პერიოდიზაციის საფუ- ძველზე დადგინდა ბრინჯაოს კუ- ლტურის საერთო სახე, შინაგანი კანონზომიერება, ლოკალური ვა- რიანტები, რომელთაც ახასია- თებს საერთო ქართული ნიშნები, რომ ქართველები აბორიგენები არიან და არა მოსულები. განსა- კუთრებით ვრცლია ჩერდება თრიალეთის ერთ-ერთ უძველეს და უბრწყინვალეს კულტურაზე, რომლის არეალი სამხრეთ საქარ- თველოსა და ალაზნისპირეთსაც მოიცავს. აქ ჩანს მთისა და ბარის სამეურნეო ერთიანობა. საზოგა- დოება განიცდის სოციალურ აღ- ზევებას. განვითარებული ჩანს კერვა, ჭედვა, ფილიგრანი, რჩილ-

ვა, სპილენძის, ვერცხლისა და ტყავის დამუშავების ნატიფი ხელოვნება. არქეოლოგიური ძეგლების შესწავლისას გამოიყენება ახალი ტექნიკური და საბუნების-მეტყველო მეთოდები.

ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევრიდან იზრდება მოსახლეობის რიცხვი, რასაც თან სდევს მიწათმოქმედების, მესაქონლეობისა და მეტალურგიის შემდგომი დაწინაურება. გვიანბრინგაო-აღრერკინის ხანაში ხდება საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომების შემდგომი კონსოლიდაცია. ჩამოყალიბებული მკვეთრი სახე მიიღო აღმოსავლურ-ქართულმა ე. წ. ძეგრიულმა და ვრცელი მიწაწყლის მომცველმა დასავლურ-ქართულმა კოლხურმა კულტურებმა. შესაბამისად წარმოშობიან კოლხური და ცენტრალური და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური გაერთიანებები. პროფ. ა. აფაქიძე ყურადღებას ამახვილებს ამ ეპოქისათვის დამახასიათებელ რიგ სიახლეებზე. ესენია:

1. ბრინჯაოს ხანის ტექნიკური რევოლუციის მაუწყებელი სამეთუნეო მორგვის ფართო გამოყენება;
2. ცხენის მოშინაურება, მისი გამოყენება სატრანსპორტოდ და საბრძოლო საქმეში. ეს იყო დიდი გადატრიალება, რამაც ხელი შეუწყო ტერიტორიულად დაშორებულ ხალხებს შორის ეკონომიკური კაშირების განმტკიცება;
3. კალიანი ბრინჯაოს (კლასიკური) გავრცელება ძვე-

ლი ქართული მეტალურგიის აღმავლობის უმნიშვნელოვანების უფეხურია (აღრე ბრინჯალურ-ლებად სპილენძში სტერლიტამბუნებს ურევდნენ); 4. ჩნდება ძაბლე უცნობი ლითონის სამკაული თუ სამეურნეო იარაღები. პროფ. ა. აფაქიძე წერს, რომ საბჭოურმა არქეოლოგამ გამოამზეურა ქართველი ტომების როლი რკინის მეტალურგიის განვითარებაში, ე. ი. ჩვენი ძველი წინაპრების თვალსაჩინო წვლილი საკაცობრიო კულტურაში. აქვეგინდა დავძინოთ, რომ საქართველოში სწორედ ამ პერიოდისათვის სტულდება შრომის პირველი (მიწათმოქმედებისაგან მესაქონლეობის გამოყოფა) და მეორე (მიწათმოქმედებისაგან ხელოსნობის გამოცალკევება) დიდი საზოგადოებრივი დანაშილების პროცესი, იქმნება პირობები თანდათანობით (განსაკუთრებით ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრიდან) ჩვენში კლასებისა და კლასობრივი საზოგადოების წარმოშობისათვის. ქართველმა არქეოლოგებმა უდიდესი მუშაობა განახორციელეს კოლხეთისა და იბერიის სახელმწიფოების უძველესი ისტორიის ამსახველი მდიდარი ნივთიერი თუ სულიერი კულტურის ძეგლების გამომზეურების მიზნით.

პროფ. ა. აფაქიძე გვპირდება სპეციალური ნაშრომი უძღვნას ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის ისტორიას

საქართველოში. ამიტომაც საქე-  
ცენზიონ წიგნში სხვა ეპოქებთან  
შედარებით საქართველოს ძევლი  
ისტორიის ეს მონაკვეთი არა  
დეტალური განხილვის საგანი.  
მოკლედაა საუბარი საქართველ-  
ოს უძველესი დედაქალაქის მცხე-  
თის არქეოლოგიურ შესწავლი-  
ლობასთან დაკავშირებით. ავტო-  
რი წერს: „1940 წ. შემოდგომით  
აღმოჩნდა და გაითხარა არმაზის-  
ხევის ერთიანვათა (პიტიახშოთა) სა-  
გვარეულო განსასვენებელი, და-  
ყურსული უმაგალითო ბრწყინვა-  
ლების, მნიშვნელობისა და ათ-  
ოლენობის ოქრო-ვერცხლის ნივ-  
თებით, რომელთაც იშვიათად თუ  
მოედებნება თანასწორი სინქრო-  
ნულ სამაროვნებზე“. ასევე ით-  
ქმის კოლხეთის ძველი ქალაქე-  
ბის, განსაკუთრებით კი, ვანის  
აღმოჩნდათა შესახებ.

სარეცენზიონ წიგნში მნიშვნე-  
ლოვანი აღგილი აქვს დათმობილი  
ქართული არქეოლოგიის, ავტო-  
რის სიტყვებით რომ ვთქვათ,  
ყველაზე ეროვნული მონაკვეთის  
ფეოდალური ხანის ძეგლების შე-  
სწავლის უმნიშვნელოვანესი მო-  
მენტების გაღმოცემას. წერილო-  
ბითი ცნობების პარალელურად,  
საბჭოთა ეპოქაში ფართოდ გაი-  
შალა ამ ეპოქის ქალაქების, სო-  
ფლების, საწარმოო კერების, ცი-  
ხე-დარბაზების, სასახლეების, სა-  
მონასტრო კომპლექსების, წყალ-  
სადენების, გზების, ქარვასლებისა  
თუ აბანოების თანმიმდევრული  
გეგმაზომიერი კვლევა. განვითარ-

და მღვიმეთმცოდნეობა — ქარ-  
თული საბჭოური არქეოლოგიის/  
ერთ-ერთი პერსპექტიულური ფილი

დასკვნით ნაწილში პატივცე-  
მული მკვლევარი ეხება საქართ-  
ველოში სამუზეუმო ფონდების  
მეცნიერულ შესწავლისა და სის-  
ტემატიზაციის, მეცნიერული ექს-  
პოზიციების მოწყობას, მხარეთ-  
მცოდნეობითი მუზეუმების ქსე-  
ლის გაფართოებას და ა. შ. ამ  
თვალსაზრისით განსაკუთრებით  
რელიეფურადაა ნაჩვენები კავკა-  
სიაში ერთ-ერთი უძველესი და  
მეთაური დაწესებულების აკად.  
ს. ჯანაშიას სახელობის საქართვე-  
ლოს სახელმწიფო მუზეუმის რო-  
ლი, სადაც გარდა საველე გათხ-  
რითი სამუშაოებისა, შეიქმნა ასე-  
ვე მეცნიერების ახალი დარგები  
ნუმიზმატიკის, გლიპტიკა-სფრა-  
გისტიკისა და პალეოგრაფიის სა-  
ხით.

აღსანიშნავია ის გარემოება,  
რომ მკვლევარს მხედველობიდან  
არ გამორჩენია აკადემიის ბათუ-  
მის სამეცნიერო-კვლევითი ინს-  
ტიტუტის არქეოლოგიური ექსპე-  
დიციის მიერ ამ ბოლო წლებში  
აქარა-გურიის ტერიტორიაზე გა-  
ნხორციელებული საველე არქე-  
ოლოგიური კვლევა-ძიების შედე-  
გები. ამ მიმართებით ავტორი გა-  
ნსაკუთრებით ყურადღებას ამახ-  
ვილებს ჩაინის უძველესი მეტა-  
ლურგიის კერებსა და ანტიკური  
ხანის ქალაქებზე, რომელთაც დი-  
დი როლი შეასრულეს ძველი კო-

ლხური სახელმწიფოს ფორმირებასა და ანტიკურ სამყაროსთან საგაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში.

ნაშრომის ღირსებას ისიც ზრდის, რომ საქართველოს არქეოლოგიის განვითარების ნახევარსაუკუნოვანი გზის კიდევ უფრო სრულყოფილი ჩვენების მიზნით ნარკვევს თან ერთვის ე. წ. „ბიბლიოგრაფიული დამატება“, რომელიც ასახავს ქართული არქეოლოგიის უმთავრეს ბეჭდურ პროდუქციას ცალკე წიგნებად თუ სხვადასხვა პერიოდულ გამოცე-

მებსა და კრებულებში გამოცემუნებული ნაშრომების სტატურთველოს არქეოლოგიულ მუზეუმში ვრცელი ბიბლიოგრაფიულ მუზეუმში ლად ქვეყნდება. ბუნებრივაა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. აფაქიძის ნაშრომი „ქართული საბჭოთა არქეოლოგიის განვითარების ნახევარსაუკუნოვანი გზა“ დიდ სამსახურს გაუწევს არა მარტო ამ დარგის სპეციალისტებს, არამედ ყველა იმას, ვინც დაინტერესებულია ჩვენი ერის მდიდარი ისტორიული წარსულით.

ვაილ 40 ქქ.

8 4/186



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ  
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ

ИНДЕКС 78118